დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2024 წლის
25 - 31 მარტი

N14 1532

ფასი 3 ლარი
და 90 თეთრი

## გასროლა მოსკოვში




8



9



## «ვარდების რევოლუციის» ბელადი «ლობიანების რევოლუციას» ამზადებს!

2

## ხელისუფლებაავ, ნუ დამალავ, რა ხდება ქუთაისის ციხეში! 3

### ზაზა პაპუაშვილი:



უკრაინამ სახელმწიფოებრიობა, ფაქტობრივად, უკვე დაკარგა!

10-11



### ვაჟო შაქარიშვილი:

პირდაპირ და მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ

12

**უკრაინული სახელმწიფო საქართველოს მტერია!!!**

### კობა არაბული:

ბატონო ირაკლი, მწერალთა ეროვნული აკადემია გთხოვთ, შეგვხვდეთ და მოგვისმინოთ!



13

## ეს გახლავთ ომისწინა ომი! 4

### ირაკლი ზაქარეიშვილი:



**საქართველოში ადამიანი თავის სიმართლეს ვერ გაიტანს!**

6-7

„დღეს გამოძიება და პროკურატურა მხოლოდ ადამიანის დადანაშაულებაზე და გაშავებაზეა ორიენტირებული!“






### ერეკლე კუხიანიძე:



14

**რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების გარეშე საქართველოს მომავალი არა აქვს!**

„რასაც რუსეთზე ვამბობდი და შემრისხეს, სახელმწიფო პოლიტიკად იქცა!“

## მერაბ კოსტავას მეუღლის უცნობი დღიურები 26

### «ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შესახებ ყველაფერი იცოდნენ:



გენერალმა გია გულუამ, გენერალმა შოთა კვირაიამ, გენერალმა ავთო იოსელიანმა, გენერალმა თამაზ ნინუამ, გენერალმა იგორ გიორგაძემ...“

20

### ირაკლი წერეთელი:



**მერაბ კოსტავას რუსუდან ბერიძე მიბეგვილი თუ ჰყავს, ახი ყოფილა მაგაზე!**

22

„შეშინებული კი ვარ, ჩემმა პირველმა ცოლმა, რუსუდან ბერიძის მსგავსად, რამე სიბინძურეები არ მომიგონოს!“

# „ვარდების რევოლუციის“ ბელადი «ლობიანების რევოლუციას» ამზადებს!

***ლობიოს ქართულ გასტრონომიაში რომ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, საყოველთაოდ არის ცნობილი, მაგრამ ქართულ პოლიტიკაშიც არანაკლებ აქტუალური გახლავთ, რაზეც თუნდაც მსჯავრდებულ სააკაშვილის ამასწინანდელი განცხადება მეტყველებს.***



კლინიკა „ვივამედის“ ლუქს-პალატაში განცხრომით მოკოტრიალე ნაცბელადმა, რომელმაც თვითგამოცხადებული კვდომის ქრონიკა რახანია, დაასრულა და ახლა საკმაოდ ფერხორციანად გამოიყურება, რამდენიმე დღის წინათ სასამართლო პროცესზე ონლაინ ჩართვისას განაცხადა:

***„დააკვირდით — სტუდენტები მასობრივად ყიდულობენ ლობიანებს და არ ყიდულობენ ხაჭაპურებს მარტივი მიზეზის გამო — ხაჭაპური ღირს 50 თეთრით ძვირი, ვიდრე ლობიანი. ასეთი ისტორიებისგან შედგება დღეს ჩვენი ცხოვრება“.***

მარტივი მისახვედრია, რისი თქმა უნდოდა მსჯავრდებულ და ბრალდებულ სააკაშვილს ლობიანსა და ხაჭაპურზე აპელირებით — **ივანიშვილის საზიზღარმა ხელისუფლებამ ქვეყანა ისე გააღატაკა, რომ ახალგაზრდები ხაჭაპურსაც კი ვეღარ ყიდულობენ და ლობიანს არიან მისეული, რათა 50 თეთრის ეკონომია გააკეთონ!**

შესაბამისად, სააკაშვილმა ირიბად მიანიშნა — **ჩემ დროს საქართველო ისე იყო აყვავებული, ლობიანს რომელი სტუდენტი გაეკარებოდა, ბედნიერი საქართველოს ბედნიერი ახალგაზრდობა ოთხად გადაკეცილ ცხელ-ცხელ ხაჭაპურებს მიირთმევდაო!**

ჰოდა, ნაცბელადის ნათქვამით ისე გამოდის, რომ მის მიერ აღორძინებული საქართველოს სიმბოლო **ხაჭაპური** ყოფილა, ხოლო ივანიშვილის მიერ დაქცეული საქართველოს სიმბოლო **ლობიანი** გახლავთ!

**მერე რა, რომ** სააკაშვილის რეჟიმმა ბევრ ახალგაზრდას პირი **ხაჭაპურითა და ლობიანით** კი არა, შავი მიწით ამოუვსო!

**მერე რა, რომ** სააკაშვილის რეჟიმმა უამრავი უდანაშაულო ახალგაზრდა, მათ შორის, ბევრი სტუდენტი პენიტენციურ დილეგში ჩაყარა და სასტიკად აწამა, ზოგიერთი მათგანი კი ცემისაგან გონების დაკარგვის შემდეგ, დღეების განმავლობაში, ციხის მორგში ცხედარზეც ჰყავდა მიბმული!

**მერე რა, რომ** სააკაშვილს უმაღლეს სასწავლებლებში თავისი ზონდერჯგუფები ჰქონდა შექმნილი ე.წ. სტუდენტური თვითმმართველობების სახით, რომლებსაც ნაცრეჟიმის ნდობით აღჭურვილი სუბიექტები ხელმძღვანელობდნენ და კრიტიკულად განწყობილ სტუდენტებს ფიზიკურად უსწორდებოდნენ არამხოლოდ ქუჩაში, არამედ პირდაპირ აუდიტორიებში.

**აბა, დემოკრატია ლობიანობა კი არ არის, დემოკრატიას სიმაგრე სჭირდება!**

სააკაშვილის იდეოლოგიურმა და პოლიტიკურმა წინაპარმა **ჯაბა იოსელიანმა** ტყუილად როდი თქვა 1992 წლის 2 თებერვალს, მშვიდობიანი მანიფესტაციის სისხლში ჩახშობის შემდეგ:

***„ვინმეს თუ ჰგონია, დემოკრატია არის ლობიოობა, ლობიოობა არ არის დემოკრატია, დემოკრატიას სიმაგრე სჭირდება. თუ დემოკრატია არ არის მაგარი, ის არის ანარქია“.***

იწვნია კიდეც საქართველომ იოსელიანისეული მაგარი დემოკრატია, **რომელიც ლობიოობა არ იყო!**

საქართველომ სააკაშვილისეული მაგარი დემოკრატიაც იწვნია და **არც ის იყო ლობიანობა!**

სამაგიეროდ, სააკაშვილის მმართველობის დროს სტუდენტები მასობრივად ყიდულობდნენ **ხაჭაპურს,** ახლა კი, სააკაშვილისვე თქმით, მასობრივად ყიდულობენ **ლობიანს!**





რა დემოკრატია და ადამიანის უფლებები, რის სამართალი და სიტყვის თავისუფლება, მთავარია, სტუდენტობასა და მოსწავლე-ახალგაზრდობას ლობიანის ჭამა არ უწევდეს!

ისე, საინტერესოა, მსჯავრდებულ სააკაშვილს ვინ მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ***„სტუდენტები მასობრივად ყიდულობენ ლობიანებს და არ ყიდულობენ ხაჭაპურებს“?*** ცხადია, „ვივამედის“ ლუქს-პალატაში მონებივრე პატიმარი ნაცბელადი მსგავს ემპირიულ დაკვირვებას თავად ვერ აწარმოებდა... ალბათ, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კორპუსებისა და სხვა სახელმწიფო ქონებების სიმბოლურ ფასად ხელში ჩამგდებმა, „საქართველოს უნივერსიტეტის“ მფლობელმა **დედა გიულიმ** მიუტანა შვილს ამბავი ხაჭაპურს დანატრებული და ლობიანს მიმძღარი სტუდენტების შესახებ.

## ჯაბასეული ლობიოობიდან მიშასეულ ლობიანობამდე

ჰო, **დედა გიულის** ხომ სულ სტუდენტებთან აქვს საქმე და გულდათუთქული შესცქერის მათ უხაჭაპურო და ლობიანიან საცოდაობას, მაგრამ ვერაფრით ეხმარება, რადგან თავადაც ათასი გასაჭირი აწევს კისერზე — აქეთ უცხოელი ლობისტები უნდა დაიქირაოს მილიონ დოლარად, იქით სააკაშვილის მიერ რუსთავის ციხეში დაორსულებული **ლიზა იასკო** უნდა უზრუნველყოს კიევის ცენტრში ძვირადღირებული ბინითა და ნახევარი მილიონი დოლარის ეკვივალენტი უკრაინული გრივნით, ცალკე **გიორგი ჩალაძის** შენახვაც დიდი ხარჯია და აბა, რამდენს გასწვდეს ეს ერთი პატიოსანი ქალი?

**არადა, რა ეშველებათ მიუწვდომელ ხაჭაპურზე ოცნებაში ლობიანით კუჭდამძიმებულ ქართველ სტუდენტებს?**

ისევ სააკაშვილმა უნდა იხსნას და გადაარჩინოს ისინი — კიევის მილიარდერთა დასახლებასა და ოდესაში თავის ვილები და პენტჰაუსები გაყიდოს, ფლორიდაში, ოკეანის სანაპიროზე დათრეული სახლიც ზედ მიაყიდოს და სტუდენტებს ის 50 თეთრი დაუსუბსიდიროს, რომლის არქონის გამოც ხაჭაპურს ვერ ყიდულობენ და ლობიანებით გააქვთ ცხოვრება.

ისე კი, როგორი უსამართლობა და სოციალური უთანასწორობაა — **სააკაშვილის თქმით, საწყალი ქართველი სტუდენტები ხაჭაპურს ვერ ყიდულობენ, თავად სააკაშვილი კი სულ მთლად ხაჭაპურიძეს ყიდულობს ვექილად!**

ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, რომ სააკაშვილს ლობიანზე აქცენტი შემთხვევით არ გაუკეთებია და გენიალური გეგმა აქვს მოფიქრებული, თუ როგორ უნდა დაამხოს მტარვალი ხელისუფლება, რომელმაც სტუდენტებს ხაჭაპურის ჭამის საშუალებაც კი მოუსპო და ლობიანების ანაბარა დატოვა... კერძოდ, **ამა წლის ოქტომბერში, საპარლამენტო არჩევნების მეორე დღესვე, ლობიანებით საგანგებოდ გამოზესკვილი ათასობით ნაცი პარლამენტის წინ შეიკრიბება და ერთდროულად იმდენ გაზს გამოუშვებს, „ქართული ოცნება“ სრული შემადგენლობით უკანმოუხედავად მოკურცხლავს ხელისუფლებიდან!**

ეს იქნება „ვარდების რევოლუციის“ ბელადის მიერ მოწყობილი **„ლობიანების რევოლუცია“,** რომელიც ქართველ სტუდენტებს **ხაჭაპურის ჭამის ბედნიერებას** დაუბრუნებს!

**ჯაბა ხუბუა**

**სააკაშვილის თქმით, საწყალი ქართველი სტუდენტები ხაჭაპურს ვერ ყიდულობენ, თავად სააკაშვილი კი სულ მთლად ხაჭაპურიძეს ყიდულობს ვექილად!**

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



საქართველო **დამოუკიდებელი სახელმწიფოა** და მოქმედებს არა დავალებებით, არამედ საკუთარი **სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად.**

„პირველი არხი“

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



არჩევნები ძლიერად უნდა მოვიგოთ. **მეორე ფრონტის გადმოტანის საფრთხე არსად წასულა,** ამიტომ საჭიროა, გონივრულად, მშვიდად და მტკიცედ გავიყვანოთ ქვეყანა სამშვიდობოს.

„ინტერპრესნიუსი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



**ყაზბეგისკენ მიმავალ გზას რუსეთისკენ მიმავალ გზად ვინც ფუთავს,** როდესაც ეს პროექტი განხორციელდება, ჩემი თხოვნა იქნება, **ძველი გზით იაროს.**

„პირველი არხი“

**მამუკა მდინარაძე**
*საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი*



**სალომე ზურაბიშვილთან** ეროვნულ თანხმობაზე საუბარი უკვე შეუძლებელია, **რიგითი რადიკალი ნაცი გახდა.**

„ინტერპრესნიუსი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



ოპოზიცია არჩევნებში გადის სლოგანით: **დავდგეთ ცალ ფეხზე და გავაკეთოთ ის, რასაც გვეტყვიან!**

„ინტერპრესნიუსი“

# სასჯელაღსრულების სისტემაში სააკაშვილის დრო არ უნდა დაბრუნდეს!

***წამების მდგომარეობაში მყოფი პატიმრის ადვოკატი ნენე გუგავა განგაშს ტეხს! ქუთაისის №2 დაწესებულებაში მყოფმა პატიმარმა გოჩა ცინდელიანმა 20 მარტიდან მშრალი შიმშილობა დაიწყო და სახელმწიფოს სხვადასხვა ინსტიტუტს, კერძოდ, საქართველოს გენერალურ პროკურატურას, საქართველოს ანტიკორუფციულ სამსახურს, საქართველოს სურსათის უვნებლობის სამსახურს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს, საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა. თუ წერილში გადმოცემული ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება, გამოდის, რომ არამხოლოდ გოჩა ცინდელიანი, არამედ ქუთაისის ციხეში მყოფი ყველა მსჯავრდებული წამების მდგომარეობაში იმყოფება!***

# ხელისუფლებავ, ნუ დამალავ, რა ხდება ქუთაისის ციხეში!

## პატიმარ გოჩა ცინდელიანის განცხადება

მოგმართავთ, რომ **№2 პენიტენციურ დაწესებულებაში არის მძიმე, გაუსაძლისი მდგომარეობა.** ამ კონკრეტული განცხადების დაწერა გადამაწყვეტინა №2 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის მუქარამ, რომ, **თუ ამ დაწესებულებაში არსებულ პირობებზე გავამახვილებდი ყურადღებას, ჩამიყვანდა დეესკალაციის ოთახში.** აქვე აღვნიშნავ, რომ ამ განცხადების დაწერამდე არაერთხელ მივმართე №2 დაწესებულების დირექციას, რომ დამხმარებოდა და მიეღოთ შესაბამისი ზომები, მოეხდინათ რაიმე სახის რეაგირება აქ არსებულ მდგომარეობაზე.

**№2 პენიტენციურ დაწესებულებაში სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა არის მძიმე. საშხაპეში ყოველ ჯერზე შედის 80 პატიმარი, ბანაობა კვირაში ორჯერაა. აბაზანას არა აქვს ვენტილაცია, არ ნიავდება, არ სუფთავდება და არის სულ სიბინძურე.** არსებული ანტისანიტარიის გამო უკვე 6 თვეა, აბაზანით არ მისარგებლია, საკანში მადუღარით ვაცხელებ წყალს და საკანში ვბანაობ. რაც შეეხება კვებას, საქართველოს სურსათის უვნებლობის სამსახურს ვთხოვ, შეამოწმეთ საკვები, მომზადების ჰიგიენა და პროდუქტების ვადები, ვინაიდან, **როდესაც სართულზე საკვები ამოაქვთ, აქვს საშინელი, გაუსაძლისი, ცუდი, უსიამოვნო სუნი, რაც გამოწვეულია საკვები პროდუქტების ვადაგასულობისა და არაჰიგიენურად მომზადების გამო.** სწორედ ამიტომ იძულებული ვარ, საკვები შევიძინო ჩემი ხარჯით ციხეში არსებულ მაღაზიაში, სადაც ძირითადად იყიდება ვადაგასული პროდუქტები, რომლებიც, სავარაუდოდ, ვერ მოხვდა დიდ სუპერმარკეტებში. **ამიტომ საკვებად ვიღებდი მხოლოდ პურს, რაც უკვე 3 დღეა, აღარ ვიღებ და ვშიმშილობ.**

რაც შეეხება სამედიცინო სერვისს! ძირითადად ხარისხიანი მედიკამენტების დეფიციტია. ყველა სახის წამლის უხარისხო შემცვლელი მედიკამენტი აქვთ, რომელიც უფრო იაფიანია და ამ მედიკამენტებზეც ხვეწნა უწევთ პატიმრებს. პრობლემაა ასევე საავადმყოფოებში გადაყვანა. **ნებისმიერი საოპერაციო თუ რენტგენოგრაფიის ექიმი სპეციალისტების კონსულტაციები ხდება თბილისში მდებარე „ვივამედის“ კლინიკაში, რაც წარმოადგენს დიდ პრობლემას პატიმრებისთვის, ვინაიდან ტრანსპორტირება ხდება არა რეანომობილებით, არამედ ჩვეულებრივი ბადრაგირების მანქანებით. ოპერაციის შემდეგ ამხელა გზაზე პატიმრებს არასათანადო ტრანსპორტირების გამო ისევ ურთულდებათ ნაოპერაციები და ისევ კლინიკაში ხდებიან დასაბრუნებლები.**

№2 პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული არის დაახლოებით 1800 პატიმარი და ჰყავთ მხოლოდ ერთი სტომატოლოგი. მასთან ვიზიტი არის ძალიან პრობლემური, ფაქტობრივად, შეუძლებელი, რადგან პატიმრებს თვეობით გვიწევს რიგში დგომა კონსულტაციის გამოც კი. ასევე არ ჰყავთ საკმარისი ექთნები.

**№2 პენიტენციურ დაწესებულებას არ ჰყავს ქირურგი. მოგეხსენებათ, რომ პატიმრები პროტესტის უკიდურესი ფორმის გამოსახატად ხშირად მიმართავენ სხეულის მძიმე დაზიანებას, რა დროსაც თითოეული წამი წყვეტს ადამიანის ბედს. ქირურგის დროული არჩარევა შესაძლებელია დასრულდეს ფატალურად, რაც არაერთხელ მომხდარა კიდეც.**

დაწესებულების სასეირნო ოთახები არის განლაგებული სახურავზე და სხვა დაწესებულებებისგან განსხვავებით, აქ არ არის არცერთი ტრენაჟორი. პატიმარი, რომელიც 23 საათი დღე-ღამის განმავლობაში ჩაკეტილია საკანში, მნიშვნელოვანია, რომ სასეირნო ოთახში დაკავდეს ელემენტარული ფიზიკური აქტივობით.

მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულება არის მომეტებული რისკის, ციხის დებულებით და პატიმრობის კოდექსის მიხედვით, პატიმარს უფლება აქვს თვეში რამდენიმეჯერ ვიდეოზარის, აქ კი ვიდეოზარის განხორციელება შეუძლებელია, ვინაიდან არ აქვთ შესაბამისი ტექნიკა.

**დაწესებულებაში გადმოყვანილ პატიმრებს ეძლევათ მეორადი ინვენტარი, ლეიბი, საბანი, ბალიში თუ სხვა რაიმე, რაც იწვევს სხვადასხვა მწერების და დაავადებების გაჩენას და გავრცელებას.**

მივმართავ ანტიკორუფციულ სამსახურს, შეისწავლოთ და გამოიძიოთ №2 პენიტენციური დაწესებულების ინფრასტრუქტურის, ინვენტარის, საკვებისა და მედიკამენტებისათვის გამოყოფილი ხარჯები ბოლო 10 წლის განმავლობაში, რამდენად სწორად დაიხარჯა და რას მოხმარდა.

## დაწესებულებაში არ უნდა იყოს ისეთი მძიმე გარემო პირობები შექმნილი, რაც პატიმრების პროვოცირებას მოახდენს, რომ იფიქრონ დანაშაულის ჩადენაზე,

**პირიქით — სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს და მუშაობდეს ამ ადამიანების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაზე.** ამ ციხეში ყველაფერი არის პირიქით. ძალიან ხშირია შემთხვევა, რომ, როგორც კი გაწვიმდება, წყალი და სინათლე ერთდროულად მიდის, ყოფილა შემთხვევა, შუქი 6-7 საათის განმავლობაში არ ყოფილა. სასმელი წყალი ზაფხულში მოდის გრაფიკით, თითქმის კვირაში 3-ჯერ წყდება.

**საკნებში არ არის ვენტილაცია, არადა, წარმოიდგინეთ, ზაფხულში თითქმის 40 გრადუსია ტემპერატურა. ამას თან ერთვის გრაფიკით წყალი.** ზაფხულში წყლის გრაფიკით მოწოდება იწვევს საშინელ ანტისანიტარიას, გაუსაძლისს ხდის ყველაფერს. მაისიდან ოქტომბრამდე თითქმის ვერ ნახავთ პატიმარს სასეირნო ოთახებში, რადგან სასეირნო ოთახები არის სახურავზე.

**ეს ყველაფერი არის წამება, ეს არ არის პატიმრობა. მე თუ კანონი დავარღვიე, ამის საზღაურად სასამართლომ მომისაჯა პატიმრობა და არა წამება.** ყოველივე ჩემ მიერ ზემოხსენებულის გათვალისწინებით გამოვაცხადე 20. 03. 2024 წელს მშრალი შიმშილობა, ვითხოვ შესაბამისი სამსახურების მხრიდან რეაგირებას.

*პატივისცემით,*
*გოჩა ცინდელიანი*
***20.03.2024***





**ნენე გუგავა, ადვოკატი:** — ჩემი დაცვის ქვეშ მყოფმა **გოჩა ცინდელიანმა** არაერთხელ მიმართა ქუთაისის ციხის ადმინისტრაციას გაუსაძლისი პრობლემების და პატიმრის უფლებების დარღვევათა შესახებ, მაგრამ ციხის დირექტორმა **გოჩა კანდელაკმა** მისი გათვალისწინება არ ისურვა. უფრო მეტიც — თუ არ გაჩუმდებოდა, პატიმარს დეესკალაციის ოთახში გადაყვანით დაემუქრა, შიმშილობის დაწყება სწორედ ამ მუქარამ განაპირობა.

**— ვინ არის პატიმარი გოჩა ცინდელიანი?**

— პირდაპირ გეტყვით — **ამ ადამიანს მთელი ცხოვრება წაართვეს, გაანადგურეს, როგორც ადამიანი!** გოჩა ცინდელიანი 2009 წლიდან არის მსჯავრდებული, ოღონდ ამჯერად მას სხვა დანაშაულებსაც ედავებიან, რაც პატიმრობის პერიოდში დაუმატეს. თავდაპირველად რაც მიუსაჯეს, იმაზე მეტი გოჩას ციხეში დაუმატეს და ციხიდან გათავისუფლება 2036 წელს უწევს! **გოჩას ფსიქიკური პრობლემები აქვს, რის გამოც 2018 წელს სამკურნალოდ ქავთარაძის ქუჩაზე, შესაბამის დაწესებულებაში გადაიყვანეს. როდესაც რაღაც პრეპარატის იძულებით გაკეთება დაუპირეს, გოჩამ წინააღმდეგობა გაუწია, რის გამოც ის საწოლზე დააბეს და ასეთ მდგომარეობაში სასტიკად სცემეს.** სამართალდამცველებმა, ნაცვლად იმისა, ნაცემი პატიმარი დაზარალებულად გამოეცხადებინათ და პატიმრის წამების გამო გამოძიება დაეწყოთ, დაედგინათ, რამდენად კანონიერად მოხდა

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

## იუსტიციის სამინისტროვ, „ვივამედის“ კლინიკა მარტო სააკაშვილისთვის გამოჰყავით? რატომ არ ხდება კლინიკაში, ჯანმრთელი სააკაშვილისგან განსხვავებით, მართლაც მძიმე ავადმყოფი პატიმრების მოთავსება?

## კვირგვინოსნები

**ვახტანგ გომელაური**
*შინაგან საქმეთა მინისტრი*



ერთი ბავშვია, არ დავასახელებ გვარსა და სახელს, **32 ყაჩაღობა აქვს ჩადენილი, 13 წლისაა, მთელი პოლიცია იცნობს.** ეგეთი რაღაც ისტორიაში, საქართველოშიც და, მგონი, ალბათ, უცხოეთშიც არ იქნება. **მოვიყვანთ, მოვა დედა, დაწერს განცხადებას, ბოდიში, ტირილი... ვუშვებთ ამ ბავშვს, ვერაფერს ვერ ვუზამთ.** ვმუშაობთ იუსტიციასთან, ჯანდაცვასთან, განათლებასთან ერთად გერმანულ მოდელზე, რომ **ცალკე გაკეთდეს საცხოვრებლები. იქნება არა „ციხე“, არამედ სახლის პირობები, სკოლა, რამდენიმე ბავშვი იქნება, მასწავლებლები, აღმზრდელები, განათლება, სპორტი.** 2-თვიანია, 6-თვიანია, 1-წლიანიც არის, მაგალითად გერმანიაში, საფრანგეთში. სხვა გამოსავალი **14 წლამდე ბავშვების** ვერ ვნახეთ, სიმართლე გითხრათ, ძალიან რთულია.

„რეზონანსი“

**რატი ბრეგაძე**
*იუსტიციის მინისტრი*



ალბათ, ყველას ახსოვს ნაცმოძრაობის დროს მათი სლოგანი — **„ნულოვანი ტოლერანტობა, ყველანი ციხეში!“** ნაცმოძრაობის დროს **პატიმრების სტატისტიკა 30 ათასამდე იყო და ჩვენს პირობებში ეს რიცხვი სამჯერაა შემცირებული.**

„რეზონანსი“

**ილჰამ ალიევი**
*აზერბაიჯანის პრეზიდენტი*



**საქართველო და აზერბაიჯანი,** როგორც ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო, ყოველთვის ერთმანეთის გვერდით არიან, **ჩვენი მეგობრობა და ძმობა ეფუძნება ღრმა ისტორიულ ფესვებს.**

„პირველი არხი“

**რა ხდება?!**

# სასჯელ-აღსრულების სისტემაში სააკაშვილის დრო არ უნდა დაბრუნდეს!

*დასაწყისი მე-3 გვერდზე*

დასაწყისი მე-3 გვერდზე

პატიმრის ფსიქიატრიულ დისპანსერში გადაყვანა, კამერების ჩანაწერები მოეთხოვათ და საქმისთვის დაერთოთ, გამოძიება, პირიქით, ფსიქიკურად ავადმყოფი და ნაწამები პატიმრის წინააღმდეგ დაიწყეს, თითქოს სასჯელაღსრულების თანამშრომლებზე ჯანმრთელმა პატიმარმა იძალადა!

მე, როგორც ადვოკატი, **გოჩა ცინდელიანის** დაცვას არა თავდაპირველი, არამედ ამ საქმის ფარგლებში ვახორციელებ. აქვე გეტყვით, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფისგან მაქვს ნებართვა, უფრო მეტიც — მისგან მოთხოვნაა, რომ მის ვინაობასა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე დაუფარავად ვისაუბრო.

**— მაგრამ, თუ გოჩა ფსიქიკურად ბოლომდე ჯანმრთელი არ არის, რამდენად შეიძლება ვენდოთ მის წერილში ჩამოთვლილ ფაქტებს?**

— **სიტუაციის მთელი ტრაგიზმი იმაში მდგომარეობს, რომ ციხის ადმინისტრაციამ ამ ადამიანს ყველა მედიკამენტი მოუხსნა და ჯანმრთელად გამოაცხადა!** უახლესი ფორმა №100-ის თანახმად, **გოჩა ცინდელიანი** ჯანმრთელად ითვლება, მაგრამ დაავადება შიზოფრენია, რითიც გოჩა ავად გახლავთ, ბოლომდე არ იკურნება! შესაბამისად, **დარწმუნებული ვარ, რომ ადმინისტრაცია ახლა შეეცდება ციხეში არსებული რეალური პრობლემების დამალვას და მთელ აქცენტს იმაზე გააკეთებს, რომ ეს პრობლემები სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან ფსიქიკურად ავადმყოფმა პატიმარმა შეთხზა!**

ყველაფრის მიუხედავად, შემიძლია გითხრათ, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი არ ტოვებს არაადეკვატურის შთაბეჭდილებას, ხოლო რეალურია თუ არა ყველა ის პრობლემა, რაც გოჩა ცინდელიანმა თავის განცხადებაში აღწერა, ძალზე მარტივად შეიძლება დადგინდეს, **თუ ციხეზე სათანადო ინსპექცია ჩატარდება!**

ფაქტია, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი 6 თვეა, პატიმრების საერთო საშხაპეში ნამყოფი არ არის; საკანში მადუღარათი აცხელებს წყალს და იქვე ბანაობს და ჰიგიენას ამგვარად იწესრიგებს. რა უნდა იმის დადგენას, საშხაპე ნიავდება თუ არა? გამწოვები მუშაობენ თუ არა? ძალზე მარტივია შემოწმება. **მკითხველი თავად დარწმუნდება, რომ განცხადება საკმაოდ გამართულად და გასაგებად არის ჩამოყალიბებული, ხოლო იქ მოყვანილი ფაქტები შეესაბამება თუ არა სინამდვილეს, ძალიან ადვილად შეიძლება ამისი გარკვევა!**

**თუ გოჩა ცინდელიანის პრეტენზიები ოდნავ მაინც შეესაბამება რეალობას, ეს იმაზე მიუთითებს, რომ თანხები, რასაც სახელმწიფო ციხეში პატიმრების მდგომარეობის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად გამოყოფს, არადანიშნულებით იხარჯება!**

**— ხომ არ გიცდიათ ციხის დირექტორთან — გოჩა კანდელაკთან შეხვედრა ამ საკითხზე და, ზოგადად, პატიმრის პრეტენზიებზე სასაუბროდ?**

— პატიმრის შიმშილობის შესახებ პარასკევს შევიტყვე. ორშაბათამდე ვერაფერს გავაწყობდი. **ორშაბათს** (გაზეთის გამოსვლის დღეს) კიდევ **ერთხელ მოვინახულებ მშრალ შიმშილობაზე მყოფ გოჩა ცინდელიანს და მერე სიტუაციის მიხედვით ვიმოქმედებ.** მესმის, რომ ზოგჯერ შეიძლება პატიმარი პრობლემას კიდეც იგონებდეს, მაგრამ ადამიანი იუწყება, რომ, როდესაც სართულზე საჭმელი ამოაქვთ, ისეთი ცუდი სუნი დგება, პატიმრებს ჭამის ყოველგვარი სურვილი ეკარგებათ და ითხოვენ, საერთოდ არ მოუტანონ ულუფა და, **ალბათ, სათანადო ორგანოები უნდა ინტერესდებოდნენ, რითი კვებავენ პატიმრებს!**

როდესაც პატიმარი მისთვის დღიურად განსაზღვრული ულუფით არ იკვებება, იძულებულია, საკუთარი ფულით შეიძინოს პროდუქტი ციხის მაღაზიაში, მაგრამ რაღა იღონოს, თუ იქაც ვადაგასული პროდუქცია იყიდება? ან იმ პატიმრებმა რაღა ქნან, ვისაც ბარათზე თანხა არ ერიცხებათ?! ვიმეორებ — **მაქვს ვარაუდი, რომ ქუთაისის ციხის ადმინისტრაცია გოჩა ცინდელიანს კვლავ ფსიქიკურად ავადმყოფ პატიმრად გამოაცხადებს, რათა მის მიერ მხილებული ციხის საზარელი მდგომარეობა და პატიმართა ყოფა-ცხოვრების პირობები როგორღაც მიჩქმალოს!**

## ბოლოთქმის მაგიერ

*ამ მასალის ავტორმა, ჟურნალისტმა* ***ზაზა დავითაიამ,*** *როგორც კი პატიმრის წერილი წავიკითხე, თვალწინ მაშინვე სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში ციხეში გატარებული წლები დამიდგა და ინტუიციამ მიკარნახა, რომ* ***ამ კონკრეტულ შემთხვევაში „ცეცხლის გარეშე კვამლი არ არსებობს!“*** *დიახ, იმ მძიმე წლებში ციხის დირექტორები სწორედ ანალოგიური მეთოდებით ახშობდნენ ციხეში არსებული გაუსაძლისი მდგომარეობით გამოწვეულ პატიმრების პროტესტს, ემუქრებოდნენ, რომ, თუ არ დაწყნარდებოდნენ, მათ ციხეში ახალ დანაშაულს გაუჩალიჩებდნენ და ისედაც ხანგრძლივ სასჯელზე კიდევ მრავალ წელს დაუმატებდნენ!* ***რა თქმა უნდა, ქუთაისის ციხის ადმინისტრაციაც და მთლიანად იუსტიციის სამინისტროც პატიმრის წერილში ჩამოთვლილ პრობლემებს კატეგორიულად უარყოფენ, იტყვიან, რომ პატიმრებში უკმაყოფილების ინსპირაციას ნაცები ახდენენ, ან, თუნდაც, პროტესტის გამომხატველი პატიმრები თითქოს ცალკეული „კანონიერი ქურდების“ მითითებას ასრულებენ...*** *არადა, ძალზე მარტივია სიმართლის დადგენა! ძალზე მარტივია პატიმრის მიერ ჩამოთვლილი პრობლემების გამჭვირვალე რეჟიმში გაშუქება,* ***ქუთაისის №2 დაწესებულებაში შესაბამისი დარგის კომისიების გაგზავნა, საკვების ვარგისიანობის, ციხის მაღაზიაში გასაყიდად გამოტანილი პროდუქტის ვადების განსაზღვრა; პატიმრების საბანაო, საშხაპე ოთახის ჰიგიენური პირობების ინსპექცია, იმის დადგენა, ქუთაისის ციხეში აქვს თუ არა პატიმარს კანონით მისთვის მინიჭებული ყველა უფლების განხორციელების საშუალება, მათ შორის, ახლობელთან ვიდეოზარისა.*** *სად გაგონილა, ევროპულ ციხეში პატიმარს ზაფხულში სასმელი წყალი შეუწყვიტო და თაკარა სიცხეში ვენტილაციის, ანუ ჰაერის ჩასუნთქვის საკითხი არ მოუგვარო?! დენი კი ციხეში სააკაშვილის რეჟიმის დროსაც კი, თითქმის არასოდეს ითიშებოდა!* ***როგორც პატიმრის წერილიდან ჩანს, ციხეში თითქმის იგივე პირობები და პრობლემები დაბრუნდა, რაც სააკაშვილის რეჟიმის დროს იყო და რიგ შემთხვევებში ადმინისტრაცია არც ფიზიკურ ზემოქმედებაზე ამბობს უარს!*** *ასეთი დამოკიდებულების დამალვასაც კი ძველი, სააკაშვილის რეჟიმისდროინდელი მეთოდებით ცდილობენ, მაგრამ* ***„შუბი ხალთაში აღარ იმალება!“*** *იუსტიციის სამინისტროვ, „ვივამედის“ კლინიკა მარტო სააკაშვილისთვის გამოჰყავით? რატომ არ ხდება კლინიკაში, ჯანმრთელი სააკაშვილისგან განსხვავებით, მართლაც მძიმე ავადმყოფი პატიმრების მოთავსება?* ***ნუთუ კანონის წინაშე საქართველოში ყველა ადამიანი თანაბარი არ არის?*** *ჯანმრთელი ტუსაღი, მარტო იმიტომ, რომ მას ამერიკისა და ევროპის კორუმპირებული წრეები ლობირებენ, ოროთახიან ლუქს-პალატაში გყავთ ტექნიკის ყველა სიახლით უზრუნველყოფილი, ხოლო ავადმყოფ პატიმრებს ამასობაში ექიმის დანახვაც ენატრებათ?* ***რას დაამსგავსეთ 2012 წლიდან სამაგალითო მდგომარეობაში ჩამოყალიბებული პენიტენციური სისტემა? საპარლამენტო არჩევნების წელია და... გეშინოდეთ შედეგების!***

*ესაუბრა* ***ზაზა დავითაია***

**მეცნიერის სიტყვა**

*ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, კურჩატოვის ინსტიტუტის დირექტორი მიხეილ კოვალჩუკი თავის საჯარო გამოსვლაში ჯერ კიდევ როდის ამახვილებდა ყურადღებას იმ საკითხებზე, რომელმაც კაცობრიობა „ციფრულ გულაგში“ შერეკა!*



## მიხეილ კოვალჩუკი

# ეს გახლავთ



დღეს მეცნიერებამ განვითარების იმ დონეს მიაღწია, რომ ერთბაშად შევიჭერით ღმერთის პერიპეტიებში. **ჩვენ ვცხოვრობთ ომის პირობებში — უფრო ზუსტად, ესაა ცივი, ჰიბრიდული ომის წინარე სტადია.** თავდაპირველად ირჩევენ სამიზნეს — ამა თუ იმ კონკრეტულ ქვეყანას, ხოლო შემდეგ იწყება მისი მაქსიმალურად დასუსტების პროცესი. **შეტევას ექვემდებარება აბსოლუტურად ყველა სფერო: განათლება, კულტურა, ეკონომიკა, მეცნიერება, თავდაცვა, უსაფრთხოება...** ეს გახლავთ **ომისწინა ომი,** რომელიც ამჟერად მიმდინარეობს და ჩვენ ამას ვერც კი ვხვდებით. თავის მხრივ, **ესაა მზადება ომის მეორე ეტაპისათვის, რაც სრულ დაპყრობა-დაუფლებას გულისხმობს.** რასაც ადრე ხელში ჩაგდება ერქვა თუ კოლონიზაცია, დღეს **ტექნოლოგიური მპყრობელობის ტაქტიკამ** ჩაანაცვლა, ანუ, რაც ომის გზით მიიღწეოდა, ამჟამად გაცილებით დახვეწილი მეთოდებით აღესრულება. მოვიყვან მარტივ მაგალითს: გავიაზროთ, რას წარ-

# ნუ მოხვდებით „ციფრულ გულაგში!“

**კვირგვინოსნები**

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



**ორი ნიკა, ორივე ანზორის ძე!** მე პირადად მივესალმები, იმიტომ, რომ ნაცი ნაცს თუ წაართმევს ხმებს, ძალიან კარგი იქნება — **მეტი ნიკა ქართულ ოპოზიციას!**

„ინტერპრესნიუსი“

**თეა წულუკიანი**
*კულტურის მინისტრი*



**ნიკა გვარამია არის სააკაშვილის შვილი და ნიკა მელია — ადეიშვილის შვილი.** ოთხივეს რაც აერთიანებს, არის ბოროტება. **ამ ბოროტებაში ისინი ერთად იყვნენ.**

„TV იმედი“

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



**ნიკა გვარამია და ნიკა მელია** დიდი ბიჭები არიან, იმედია, ყველა რისკი კარგად გათვალეს, **ახალ პარტიებს 5-პროცენტიანი ბარიერის გადალახვა ძალიან გაუჭირდებათ.**

„აიპრესი“

# ომისწინა ომი!

## ნუ გახდებით „მომსახურე ადამიანი!“

**„რუბილნიკს“ გაუთიშავ, იმავდროულად თავსაც წააცლი!**

**რას წარმოადგენს ნებისმიერი ფერადი რევოლუცია? ეს გახლავთ კოგნიტური ტექნოლოგიების გამოყენება მასობრივი ცნობიერების სამართავად.** დავუშვათ, მე მინდა ხელისუფლებაში მოსვლა — რა არის ამისათვის საჭირო? თავდაპირველად აუცილებელია თქვენი მაქსიმალურად გასულელება, საგანმანათლებლო სისტემის გამარტივება, რათა ტესტებზე ავტომატურად იძლეოდეთ პასუხს, **შემდეგ კი დაგირიგდებათ აიფონები და სადმე კოსმოსში ჩამოიკიდება მორიგი თანამგზავრი...**

ცხადია, ესაა ერთგვარი ფაშიზმი, მაგრამ იმავდროულად ეს გახლავთ თანამედროვე ცივილიზაციის, ჩვენი ძვირფასი კოლეგებისა და პარტნიორების იდეოლოგია!

მოდით, ვნახოთ, როგორ არის მოწყობილი მსოფლიო. პირველყოფილი საზოგადოების ნგრევის შემდეგ გაჩნდნენ **მონათმფლობელები,** რომლებიც **მონებზე** გაცილებით ცოტანი იყვნენ. ისინი საჭიროებდნენ მომსახურებას, სხვებს კი ქვები უნდა ეთრიათ... ეს საზოგადოებრივი წყობა ვერ შენარჩუნდა და ფეოდალური სისტემა დამკვიდრდა, ანუ საჭირო გახდა ყოფილი მონებისათვის ქონების გაყოფა... ამ წყობამაც ამოწურა თავი და მივადექით **კაპიტალიზმს,** სადაც ყველა ყოფილ **მონას** მოუხდა პატარა მიწის, პატარა მანქანის, გნებავთ, თურქეთის საგზურის ყიდვა. რატომ? იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ

**მონები ფიზიოლოგიური თვალსაზრისით იყვნენ ისეთივე ადამიანები, როგორც მონათმფლობელები. ისინი უკონტროლოდ მრავლდებოდნენ, საჭიროებდნენ კვებას და თვითგამორკვევის შედეგად მათ წიაღში იჩეკებოდა მორიგი სპარტაკი, რომელსაც თავად სურდა, მონათმფლობელი გამხდარიყო!**

ამიტომაც იყო, რომ მსოფლიოს მმართველი ელიტის სურვილი ყოველთვის გახლდათ ერთგვარი **ქვესახეობის** გამოყვანა, ანუ ისეთი **„მომსახურე ადამიანის“** შექმნა, რომელსაც ექნებოდა შეზღუდული თვითშეგნება. აი, თუნდაც **ჰიტლერის** მიზნები ავიღოთ, როცა ის საბჭოთა კავშირს დაესხა თავს. მიწისა და სასარგებლო წიაღისეულის **დაუფლებასთან** ერთად ის ჯანსაღ მამაკაცებს გერმანიაში მიერეკებოდა მძიმე სამუშაოების შესასრულებლად, ხოლო ქალებს — არიელებისაგან ახალი, ჯანსაღი მუშახელის გასაჩენად. დანარჩენებს ღუმელში წვავდნენ. ეს იყო აპრობირებული და მარტივი მოდელი.

მოადგენს ინტერნეტი. ეს გახლავთ სუფთა წყლის **ციფრული გულაგი,** მაგრამ, თუ მავთულხლართებიან გულაგებში ადამიანებს ძალით მიერეკებოდნენ, აქ ხალხი ნებაყოფლობით მოდის და ძალიან კომფორტულადაც ცხოვრობს.

**როცა ადამიანს აუხსნი, რომ ყველაფერი ვიკიპედიაში წერია და სახელმძღვანელოებში ქექვა საჭირო აღარ არის, ჩვენ ვქმნით საზოგადოებას, რომელსაც, როგორც კი**







დღეს პირველად ცივილიზაციის ისტორიაში გაჩნდა ტექნოლოგიური შესაძლებლობა **„მომსახურე ადამიანის“** გამოსაყვანად, გენომის რედაქტირების გზით. აი, ავიღოთ, რითი გვჯობნიან ამერიკელები. ისინი თამაშობენ ხანგრძლივად, დროში გაწელილად... ომის დამთავრების შემდეგ, ჩვენი ცეკვა-სიმღერის ფონზე, **ორმა ძმა დალესმა** — ერთმა ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის დირექტორმა და მეორემ — აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა პრეზიდენტ ეიზენჰაუერის დროს, **როკფელერის** სრული ფინანსური მხარდაჭერით, რომელიც 102 წლის ასაკში მე-7 გულით მიიცვალა, დაიწყო ის, რასაც ახლა ჩვენ გვათოხლებენ. მათ შექმნეს **საერთაშორისო ჯანდაცვის ორგანიზაცია,** არა ადამიანთა კურნებისათვის, არამედ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაკონტროლებლად და მასზე ზემოქმედებისათვის ვაქცინაციის გზით. და აი, ნახეთ — როკფელერის უახლოესი თანამებრძოლი **ბროკ ჩისჰოლმი** გახდა ჯანმოს პირველი პრეზიდენტი 1948 წელს. აქვეა მისი ციტატაც:

> *„იმისათვის, რათა შევქმნათ მსოფლიო მთავრობა, ხალხის ცნობიერებიდან უნდა განვდევნოთ ინდივიდუალიზმი, ოჯახური ტრადიციები, ნაციონალური პატრიოტიზმი და რელიგიური დოგმები... უნდა განადგურდეს ჭეშმარიტებისა და სიცრუის ცნებები, როგორც ბავშვთა აღზრდის საფუძველი, რწმენა უნდა ჩაანაცვლოს რაციონალურმა აზროვნებამ... აი, დაგვიანებული მიზანი, ადამიანების ქცევის შესაცვლელად“.*

დააკვირდით — ეს გახლავთ 1948 წლის მემორანდუმი! ახლა ჩავიხედოთ ამერიკის უსაფრთხოების 1984 წლის მემორანდუმში:

> *„პოლიტიკა მოსახლეობის მიმართ ხდება ფრიად მნიშვნელოვანი აშშ-ის ეკონომიკური ინტერესების დასაცავად. უნდა შეიქმნას სოციალური და ფსიქოლოგიური წინაპირობა შობადობის ვითომცდა სტიქიური შემცირებისათვის. უნდა ვიზრუნოთ, რომ ჩვენი მოქმედება განვითარებადი ქვეყნების მიერ არ იქნას აღქმული, როგორც განვითარებული ქვეყნის პოლიტიკა, მიმართული მათ წინააღმდეგ“.*

მომავალი იწყება დღეს და **ამ ბრძოლას მომავლისათვის ჩვენ ჭერჭერობით ვაგებთ,** რადგან გრძელდება საბაზისო მორალური პრინციპების რღვევა და ალტერნატიული ზოგადსაკაცობრიო მორალის დამკვიდრება, პიროვნების თავისუფლების აბსოლუტიზაცია.

**ამ ლოზუნგით ნადგურდება სახელმწიფოთა სუვერენიტეტი, იქმნება ბაზა „მომსახურე ადამიანის“ გამოსაყვანად და ხალხისაგან ვიღებთ ჯოგს, რომელსაც, რასაც გინდა, იმას უზამ!**



მოამზადა
*ნატო ფოცხიშვილმა*

## კვირგვინოსნები

**დონალდ ტრამპი**
*აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი*



ნატო სამართლიანად უნდა მოექცეს აშშ-ს, რადგან **თუ არ იქნება ამერიკის შეერთებული შტატები,** ნატო, ფაქტობრივად, ვერც კი იარსებებს.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**შარლ მიშელი**
*ევროპული საბჭოს პრეზიდენტი*



ევროპა **„ომის ეკონომიკის“** რეჟიმზე უნდა გადავიდეს, **თუ გვინდა მშვიდობა, უნდა მოვემზადოთ ომისთვის.**

„ინტერპრესნიუსი“

**პაატა მანჯგალაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი*



იქნებ ვინმემ გვიპასუხოს, **რატომ არის საქართველოში სურსათი უფრო ძვირი, ვიდრე მეზობელ ქვეყანაში?!** იმავეს ვსაუბრობთ საწვავთან დაკავშირებით — **თუ ტერმინალში მოტანილი საწვავი ღირს 1.65 ლარი,** როგორ ხდება, რომ **ბენზინგასამართ სადგურებში საწვავი უკვე 3 ლარზე მეტი ღირს.**

„აიპრესი“

**ალეკო ელისაშვილი**
*პარტია „მოქალაქეების“ ლიდერი*



მაქვს შეთავაზება იმ პარტიებთან, რომლებიც **არც ნაცები ვართ, არც „ქოცები“,** ვილაპარაკოთ გაერთიანების გზებზე — ასეთ ძალად მოვიაზრებ **„ლელოს“, გახარიას პარტიას,** საპარლამენტო **„გირჩს“, ანა დოლიძეს** და კიდევ რამდენიმე უპარტიო ადამიანს.

„ინტერპრესნიუსი“

**გრიგოლ გეგელია**
*პარტია „ლელოს“ წევრი*



ჩვენ არათუ ნელა, არამედ **საერთოდ არ მივდივართ** არც ნატოსკენ და არც — ევროპული კავშირისკენ.

„რეზონანსი“



„დღეს გამოძიება და პროკურატურა მხოლოდ ადამიანის დადანაშაულებაზე და გაშავებაზეა ორიენტირებული!“

## ირაკლი ზაქარეიშვილი:

# საქართველოში ადამიანი თავის სიმართლეს ვერ გაიტანს!



# ასეთი მართლმსაჯულება ამერიკამ მოგვახვია!

*„საქართველოში ამერიკული მართლმსაჯულება მოქმედებს, რომელიც არანაირად არ შეესაბამება ქართულ ეროვნულ ცნობიერებასა და ტრადიციებს. ასეთი სისტემა ამერიკელებმა მიზანმიმართულად მოგვახვიეს თავს, რათა საქართველოს, როგორც კოლონიის მართვა გაუადვილდეთ, —* ***ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი უფლებადამცველმა და ადვოკატმა ირაკლი ზაქარეიშვილმა:***

— საქართველოში სისხლის სამართლის კანონმდებლობა არის რეპრესიული და შედგენილია იმ მოცემულობით, რომ მართლმსაჯულების კონტროლს ახორციელებდეს პროკურატურა და არა სასამართლო! **სისხლის სამართლის კოდექსი იმგვარად არის შედგენილი, რომ დანაშაულთა უმეტესობა „მძიმე დანაშაულად“ ითვლება.**

**ჩვენში აჟიოტაჟია, რომ სასამართლოები საქმეებს არაობიექტურად იხილავენ, გადამეტებულ სიმკაცრეს იჩენენ, სინამდვილეში კი სასამართლოს კანონი ზღუდავს, რათა სამართლიანი გადაწყვეტილებები მიიღოს!**

**— რანაირად?**

— დანაშაულთა უმეტესობა ამჟამად 3 კატეგორიად იყოფა: ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე. **ნაკლებად მძიმე დანაშაულის** შემთხვევაში სასამართლოს უფლება აქვს, სასჯელით განსაზღვრული ვადა ჩაუთვალოს პირობითში და ადამიანი პატიმრობაში არ გაუშვას. მაგრამ **მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დადასტურების შემთხვევაში სასამართლო პირობითი სასჯელის დასანიშნად არ არის უფლებამოსილი.** სამაგიეროდ, ასეთი ბერკეტი გააჩნია პროკურატურას — ეს გახლავთ **საპროცესო შეთანხმება!** მასში მთავარი ის არის, რომ ბრალდებულმა დანაშაული უნდა აღიაროს. თუ ასეთი შეთანხმება გაფორმდება, პროკურატურას უფლება ეძლევა, სასამართლოს წინაშე წარადგინოს შუამდგომლობა, რათა განაჩენი დადგეს საქმის არსებითი განხილვის გარეშე.

ვთქვათ, დანაშაული ითვალისწინებს 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. სასამართლოს ხელ-ფეხი გაეხსნება, 2 ან 3 წლით თავისუფლების აღკვეთა აკმაროს, **ანუ რამდენი უნდა მიესაჯოს ადამიანს, რათა სასჯელი სამართლიანი იყოს, ეს ბერკეტი მთლიანად პროკურატურის ხელშია.** სასამართლოებს დარჩათ ერთადერთი უფლება — დაადგინონ გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენი! პრაქტიკა კი იმნაირია, რომ განაჩენთა უმრავლესობა (დაახლოებით 95 პროცენტი) — **გამამტყუნებელია...** შედეგად, **სასამართლო ვერ ნიშნავს სამართლიან სასჯელს! აი, ასეთი საკანონმდებლო სისტემა მოგვახვიეს თავს ამერიკელებმა.**

**— უსამართლობის მთავარი არსი რაში მდგომარეობს?**

— კომუნისტების დროს და შემდეგ პერიოდშიც, ვიდრე ნაცები მოვიდოდნენ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში იყო მუხლი, რომლის მიხედვითაც **სასამართლოს შეეძლო, ჩამოსცდენოდა სანქციის მინიმუმს, ანუ, ვთქვათ, კანონი ითვალისწინებდა 6-დან 9 წელს, მაგრამ სასამართლო მიიჩნევდა, რომ არის გარემოებები, რომელთა მიხედვით უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნაც შესაძლებელია...** შეეძლო, ვთქვათ, 3 წელი მიესაჯა! ამჟამად ეს ნაწილი ამოღებულია და ახლა ადამიანს იმაზე ნაკლები რომ მიესაჯოს, რასაც კანონით განსაზღვრული მინიმუმი ითვალისწინებს, აუცილებლად საპროცესო შეთანხმება უნდა გაფორმდეს, რაც მხოლოდ პროკურატურის პრეროგატივაა! ბრალდებული იძულებულია, დანაშაული აღიაროს, რათა მიიღოს შეღავათიანი სასჯელი. მაგრამ საპროცესო შეთანხმების ფარგლებში ხომ სრულიად უდანაშაულო ადამიანებიც არიან სასჯელმისჯილები? პროკურატურა მათ ეუბნება — **„შენ გემუქრება 6-დან 9 წლამდე. აღიარე დანაშაული და მოგესჯება 2-3 წელი!“** პრაქტიკა იმნაირია, თუ ბრალდებული დანაშაულს არ აღიარებს, სასამართლო მას კოდექსით განსაზღვრულ მინიმუმსაც კი არ უნიშნავს! **ბრალდებულებმა, რომლებმაც იციან, რომ სასამართლოზე გამართლების შანსი უტოპიურია, ცხადია, ურჩევნიათ, უსამართლო სასჯელი შემცირებული ვადით მოიხადონ და არჩადენილ დანაშაულს „აღიარებენ“.**

**— ვთქვათ, პროკურორი ხვდება, რომ ბრალდებული უდანაშაულოა. ნუთუ სასჯელისგან მის დასახსნელად არაფერს იღონებს?**

— ადრე გამოძიება ვალდებული იყო, საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტება დაედგინა, ანუ საქმე ეწარმოებინა არამხოლოდ **გამამტყუნებელი,** არამედ **გამამართლებელი** მიმართულებითაც. გაიხსენეთ ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღები“, სადაც გამომძიებელი ბრალდებულ ზაზას ემუდარება — თუ მართალი ხარ, რაიმე ჩასაჭიდებელი მომეცი! ამჟამად ეს გამორიცხულია და კაცი ცამდე მართალიც რომ იყოს, ვერაფერს გახდება. გამოძიებას ხელმძღვანელობს პროკურატურა და რომც იცოდეს, სახეზეა კონკრეტული პირის გამამართლებელი გარემოებები ან არსებობს უდანაშაულობის დამადასტურებელი მოწმე, არც ამ მოწმეს დაჰკითხავს და გამამართლებელ გარემოებებსაც თავად დააფარებს ხელს — დამალავს! **გეტყვის, რომ მას ეს არ ევალება! გეტყვის — დაცვის მხარეს მოაპოვებინე გამამართლებელი გარემოებები, მე მხოლოდ შენი გამტყუნება მევალებაო!**

დიახ, დღეს გამოძიება და პროკურატურა მხოლოდ ადამიანის დადანაშაულებაზე და გაშავებაზეა ორიენტირებული! უფრო უარესიც ხდება — ძალიან ხშირად დაკითხვის დროს გამოძიება და პროკურატურა გამამტყუნებელი ცრუ მტკიცებულებების მოსაპოვებლად მოწმეებზე ზეწოლას ახდენს, დაკითხვის დროს სამართლებრივი განათლების არმქონე პირების ჩვენებას ფორმულირებას უცვლის ან აიძულებს მოწმეს, მცდარ ფაქტობრივ გარემოებებზე ხელის მოწერას! **ამის შემდეგ მოწმემ ჩვენება მცირედითაც რომ შეცვალოს და ობიექტური სიმართლე მოჰყვეს, პირდაპირ სასამართლო დარბაზში დაადებენ ხელბორკილებს!**

**— ადრე როგორ იყო?**

— მოწმეს შეეძლო, განაჩენის გამოსატანად სათათბირო ოთახში სასამართლოს განმარტოებამდე მიემართა სასამართლოსთვის და ეთქვა, რომ გარკვეული მიზეზების **(მოტყუების, დაშინების, ანგარების, პირადი მოტივის)** გამო მისცა არასწორი ჩვენება, ხოლო ამჯერად ობიექტური ჩვენების მიცემა სურს! ისეც ხომ ხდება, რომ ადამიანი მისცემს ცრუ ჩვენებას და როცა ხვდება, რომ მის გამო შეიძლება უდანაშაულო ადამიანი დაისაჯოს, სინდისის ქენჯნის გამო ამბობს სიმართლეს?! **ამჟამად კანონი ითვალისწინებს, რომ წინა სასამართლო სხდომამდე არაუგვიანეს 5 დღისა, დაცვის მხარემ პროკურორს უნდა წარუდგინოს ბრალდებულის გამამართლებელი მტკიცებულებები, რომელთა წარმოჩენას სასამართლოზე აპირებს.** თუ დაცვის და ბრალდების მხარეებს შორის მტკიცებულებათა გაცვლა ამგვარად არ მოხდება, ადამიანის სიმართლე თვალსაჩინოდაც რომ ჩანდეს, მისი გათვალისწინება სხდომაზე ველარ მოხდება! ეს ნიშნავს, რომ ადამიანის სიმართლის დამტკიცება ობიექტურ გარემოებებთან შედარებით, უპირატესად, რაღაც წესებსა და ვადებზეა დამოკიდებული. **გამოდის, თუნდაც სასამართლოს სხდომამდე 2 დღით ადრე ვიდეოკადრები რომ მოვიპოვო, სადაც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის სრული უდანაშაულობა ეჭვგარეშეა, მას დაუსაბუთებელ მტკიცებულებად ჩამითვლიან, ხოლო ობიექტური სიმართლის ნაცვლად განაჩენს საფუძვლად პროკურატურის მიერ შეთხზული ტყუილები დაედება.**

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ისეა შედგენილი, რომ გამარტივდეს უდანაშაულო ადამიანის მიმართ გამამტყუნებელი შედეგის დადგომა! თანამედროვე მართლმსაჯულება მხარეთა თანაბრობის პრინციპს, ფაქტობრივად, არ ეფუძნება. **შეუდარებლად დიდი უპირატესობა აქვს ბრალდების მხარეს — პროკურატურას, რომელსაც მართლმსაჯულება მთლიანად ხელში აქვს ჩაგდებული.** პროკურატურას შეუძლია, ბრალდებულთან ნებისმიერ დროს გააფორმოს საპროცესო შეთანხმება და მიიღოს ნებისმიერი, მისთვის სასურველი განაჩენი!

**— ისეც ხომ ხდება, როდესაც ბრალდებულს საპროცესო უფორმდება და სასჯელი უმცირდება სხვა დანაშაულის გახსნის საფუძველზე პროკურატურასთან თანამშრომლობის შედეგად? ანუ ბრალდებულს შეიძლება, კაცი ჰყავს გაძარცული, მაგრამ მას საპროცესო შეთანხმებით მინიმალური სასჯელი დაეკისროს, რადგან პროკურატურას სხვა საქმეში მკვლელობა გაახსნევინოს?**

— ესეც დიდი უსამართლობაა. საპროცესო შეთანხმებაში იწერება, **„გამოძიებასთან ითანამშრომლა“,** მაგრამ ვერავინ გაიგებს, კონკრეტულად როგორ ითანამშრომლა! შეიძლება, ბრალდებულმა პროკურატურას მართლაც გაახსნევინოს სხვა საქმე, ან თავის საქმეში სხვა ფიგურანტების გამოვლენაში დაეხმაროს და სასჯელი ამით

## „თითქმის მთელი საქართველო გასამართლებულია, მთელი ქართველი ერი დამნაშავეა!“

შეიმსუბუქოს, მაგრამ არც იმის გამორიცხვა შეიძლება, პროკურატურამ ბრალდებული სასჯელის შემსუბუქების დაპირებით **ცრუმოწმედ** გამოიყენოს.

**პრაქტიკა აჩვენებს, რომ ბრალდებულების 95 პროცენტი თანხმდებიან საპროცესო შეთანხმებას მხოლოდ იმის გამო, რომ სასამართლოზე გამართლების იმედი არ გააჩნიათ.**

ამიტომ პროკურატურას მაგრამ განაჩენს მაინც დაასაბუთებენ იმგვარად (იციან, შავის თეთრად წარმოჩენის ხელოვნება), რომ სიმართლე ყირაზე დგას.

**ამას ასწავლიან იუსტიციის საბჭოში მდებარე სასწავლო ცენტრში, რომელიც მთლიანად ამერიკელების ხელშია. სწორედ იქ ასწავლიან, ვის რამდენი მიუსაჯონ და როგორ დაასაბუთონ**

გალითად, **ბინდ, ამერიკაში და ბინდ, ევროპაში ცილისწამება სერიოზულ დანაშაულად ითვლება, დიდ ჯარიმებს და მრავალწლიან პატიმრობას ითვალისწინებს, მაგრამ საქართველოსთვის დასავლეთმა სხვაგვარი კანონი ისურვა:**

**სინდისზე ხელაღებულ ადამიანს შეუძლია, დაგაბრალოს ნებისმიერი საშინელება, გესროლოს ლაფი და, თუ მას საგამოძიებო ორგანოები**

**შელახვის გამო ვუჩივლოთ?**

— სასამართლოში „გამოხატვის თავისუფლება“ იმ რანგშია აყვანილი, რომ ასე ადვილად ცილისწამებას ვერ გაასაჩივრებ. ამას გარდა, როცა უსინდისო, რაღაცას გაბრალებს, შენ გიწევს მტკიცება, რომ „ზღარბი არ ხარ“ და მისი მონაჩმახი არის ცილისწამება. ამას დიდი დრო სჭირდება. ნათქვამია, **ვიდრე სიმართლემ ნაბადი მოიცვა, მანამდე ტყუილმა დედამიწა შემოიარაო.** დღეს რომ უსინდისო ადამიანი საჯაროდ რაღაცას დაგაბრალებს, რის გაბათილებასაც 2-3 წლის ბრძოლის შედეგად როგორღაც მოახერხებ და უსინდისო ადამიანი კანონის ვალდებულებით ერთ აბზაცს დაწერს, რომ ოდესღაც **„გამოქვეყნებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება“,** ამით პატივს და ღირსებას ვე-

თვის, ვისაც გარკვეული მატერიალური შესაძლებლობები, ასევე სამართლებრივ სფეროში სათანადო განათლება გააჩნია და, იმავდროულად, საზოგადოებისთვის მეტ-ნაკლებად ცნობადიც არის. უბრალო ადამიანების ათასობით განცხადება პროკურატურის არქივებში მტვრიან თაროებზე დასაწყობად არის განწირული, რადგან პროკურატურა სამართლიანობის აღსადგენად თავისი ინიციატივით მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში იწუხებს თავს.

თუ ბრალდებულს ფული არ აქვს, კარგ ადვოკატს ვერ იქირავებს. თანაც, ბრალდებულმა უნდა შეძლოს ისეთი ადვოკატის დაქირავება, ვინც პროკურატურასთან არ არის შეკრული და არ არის ორიენტირებული საპროცესო შეთანხმებაზე. ადვოკატის ჰონორარი, მის მი-

მართლის დადგენას კი არა, მათი პატრონების მიერ საქმის ჩაწყობას ემსახურებიან. ეს „ბიზნესი“ საკმაოდ მომგებიანია. **მოქალაქეებმა იციან, რა შემთხვევაში რომელ საადვოკატო ბიუროს უნდა მიაკითხონ, რათა საქმე მის სასარგებლოდ გაჩარხოს. ამას გარდა, პროკურატურას ჰყავს ამ უწყებასთან შეკრული ადვოკატებიც, რომლებიც შენ გამო არ იბრძოლებს, საქმეს ბოლომდე არც გაეცნობა, რაღაც პატარა შეღავათზე დაგითანხმებს და იმაზეც, ფულთან ერთად, მადლობასაც გადაგახდევინებს!** ასეთ ადვოკატებს, სამწუხაროდ, საქმეები „თავზე აყრიათ“, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში ხშირად დაცვის მხარეც არ არის მონდომებული სიმართლის ბოლომდე და ობიექტურად დასადგენად!

თვით სასამართლო მანამდე ვერ იქნება დამოუკიდებელი, ვიდრე კანონით მოქმედების თავისუფლება და სამართლიანი **(გამამტყუნებელი ან გამამართლებელი)** სასჯელის დანიშვნის უფლება მიეცემა. ზეწოლის ირიბი ბერკეტები არსებობს ობიექტური მოსამართლეების მიმართაც, როცა კანონი საშუალებას იძლევა, ვთქვათ, თელავის მოსამართლე, რომელსაც სისტემატურად გამოაქვს ობიექტური განაჩენი, მესტიაში გადაიყვანონ. წარმოიდგინეთ, ოჯახიანად უნდა აბარგდეს, დისკომფორტი შეუქმნას თავსაც და ოჯახსაც! სხვა ბერკეტებიც არსებობს, რომელთა გამო მოსამართლეს ურჩევნია, პროკურორის თვალებში იყოს მიჩერებული და ცხოვრება არ გაირთულოს.

სააკაშვილის რეჟიმის დასრულების მიუხედავად, 2003-2023 წლებში მსჯავრდებული ადამიანების სტატისტიკას თუ გამოითხოვთ, საზარელ სურათს დაინახავთ — **თითქმის მთელი საქართველო გასამართლებულია, მთელი ქართველი ერი დამნაშავეა!** დიახ, ახალი ხელისუფლების პირობებშიც სასამართლო წინ დიდად არ წაწეულა. განსხვავება დაახლოებით 20 პროცენტია, იმის ხარჯზე, რომ იშვიათი შემთხვევების გარდა, ბრალდებულებზე ფიზიკურად აღარ ძალადობენ. თუმცა, გამოძიების არაობიექტურობა და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მაჩვენებელი თითქმის იგივე ნიშნულზე დარჩა. **მართლმსაჯულება, ძირითადად, მაინც გამამტყუნებელ განაჩენებზეა ორიენტირებული!**



**„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ისეა შედგენილი, რომ გამარჯვდეს უდანაშაულო ადამიანის მიმართ გამამტყუნებელი შედეგის დადგომა!“**



**„სასამართლოებს დარჩათ ერთადერთი უფლება — დაადგინონ გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენი!“**

უყოყმანოდ თანხმდებიან შემოთავაზებულ პირობებზე, ხელს აღებენ სხვა ადამიანს, რომლის დანაშაულის კი არა, არსებობის შესახებაც მანამდე არაფერი სმენიათ. სხვა საკითხია, რომ სასამართლომ შეიძლება, რამდენიმე დანაშაულის ბრალდებით დაპატიმრებული გაამართლოს, მაგრამ რომელიმე ბრალდებაში მაინც გაამტყუნებს. **სასამართლოებს უჭირთ ბოლომდე გამამართლებელი განაჩენების გამოტანა!**

**— მაგრამ გამამართლებელ განაჩენებთან დაკავშირებით სააკაშვილის რეჟიმისდროინდელი სტატისტიკა ხომ უკეთესობისკენ შეიცვალა...**

— შეიცვალა, მაქსიმუმ, 20 პროცენტით. **მოსამართლეებს შეიძლება შუამდგომლობებში დაყენებული პროკურორის სისულელე დააკმაყოფილოს და, პარალელურად, დაცვის მხარეს უარი განუცხადოს მნიშვნელოვანი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, რაზე დაყრდნობითაც მერე გამამართლებელი განაჩენის გამოტანა მოუწევდა.** ისეც აკეთებენ, რომ საქმეში არანაირი მტკიცებულება არ არსებობს,

**არაობიექტური განაჩენი.**

**— ამერიკელებს ამით რა ხეირი? საკუთარ ქვეყანაშიც ასეთი მიდგომები აქვთ?**

— ამერიკაში მმართველ წრეებს ხალხი საერთოდ არ აინტერესებთ! მაგრამ სისტემური კრიზისი, რაც საქართველოში მძვინვარებს, ამერიკაში არ არის. **ამერიკელების ხელმძღვანელობით შეიქმნა საქართველოში ის უსამართლო კანონმდებლობა, რომლითაც ჩვენი „მართლმსაჯულება“ ხელმძღვანელობს.** საქართველოში სოციალური გაჭირვება ხელოვნურად არის ინსპირირებული, დამატებით, ამერიკა კონტროლის ბერკეტებს ქმნის, რომ ე.წ. მესამე ხარისხის ქვეყნებში ხელში ჰყავდეს საზოგადოება. მა-

**დაიბარებენ, ამოეფაროს ჟურნალისტის მანდატს, ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან ხელი დაიბანოს და ინფორმაციის წყარო (რაც ხშირ შემთხვევაში საერთოდ არ არსებობს) არ დაასახელოს!**

მე ამ საქციელს **„ელისტრაქოს სინდრომს“** ვუწოდებ.

**— მაგრამ ხომ არის გზა, ასეთს პატივისა და ღირსების**

რავინ აღიდგენს! პირდაპირ გეუბნებით, რომ ცილისწამებისგან თავის დაზღვევის მექანიზმის სისუსტე მიზანმიმართულად არის განსაზღვრული, რათა საქართველოში მუდმივად იყოს „ტალახის სროლის“ თავისუფლება; **რათა, ვინც არ აწყობთ — გააშავონ, დაამცირონ, დაბულინგონ, საზოგადოების თვალში გააბიაბრუონ, ჩაწიხლონ და მორალურად გაანადგურონ!**

**— ვთქვათ, ალალ-მართალი მოქალაქე აღმოჩნდა საბრალდებო სკამზე. რა შანსები აქვს, რომ თავისი სიმართლე ბოლომდე დაასაბუთოს და სათანადო მორალური და მატერიალური კომპენსაციაც მიიღოს?**

— ამის მიზერული შანსი არსებობს, ოღონდ მხოლოდ მათ-

ერ გამამართლებელი მტკიცებულებების შეგროვება ენერგიის და დროის მნიშვნელოვან დანახარჯს, ასევე სერიოზულ ფინანსებს უკავშირდება, რაც ღარიბისთვის ხელმისაწვდომი არ არის.

**ადვოკატების დიდი ნაწილი საპროცესო შეთანხმებებზეა გადასული, ეს გაცილებით იოლი და მათთვის მატერიალურად მომგებიანია, ვიდრე დაცვის ქვეშ მყოფი პირის უდანაშაულობის მტკიცება.** საქართველოში 3 ათასი ადვოკატია, აქედან ნახევარზე მეტი თბილისზე მოდის, თუმცა, სასამართლოებში 30-მდე ერთი და იგივე ადვოკატები დაიარებიან. ეს იმის ბრალია, რომ საადვოკატო ბიუროებს თანამდებობის პირები ქმნიან და ეს ბიუროები სი-

**„ახალი ხელისუფლების პირობებშიც სასამართლო წინ დიდად არ წაწეულა!“**

# P.S.

— მტკიცებით ნაწილში იურიდიული მეცნიერება საერთოდ დაქცეულია, რადგან მტკიცების სტანდარტი ბოლომდე მოშლილია და ამისი თვალსაჩინო ერთ-ერთი მაგალითი არის **სასამართლო ექსპერტიზა.** ამ თემაზე მომავალში გესაუბრებით! უბრალო მოქალაქეს ძალზე ცოტა შანსი რჩება, რათა საქართველოში საკუთარი სიმართლე ბოლომდე გაიტანოს. ფაქტია — სისხლის სამართლის კანონმდებლობა საქართველოში მთლიანად უნდა შეიცვალოს, რათა შესაძლებელი გახდეს ნებისმიერ საქმეზე ობიექტური სიმართლის დადგენა და ეს ყველა მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი იყოს! — **დასძინა საუბრის დასასრულ უფლებადამცველმა.**

*ესაუბრა*

**ზაზა დავითაია**

*1914 წლის 28 ივნისს სარაევოში მომხდარ გასროლასა და 2024 წლის 22 მარტს მოსკოვში, „კროკუს სითი ჰოლში“, მომხდარ გასროლას ერთმანეთისგან 110 წელი აშორებს.*

# გასროლა




მაშინ **ბოსნიელმა სერბმა გავრილო პრინციპმა** სარაევოში მოკლა **ავსტრო-უნგრეთის ტახტის მემკვიდრე, ერცჰერცოგი ფრანც ფერდინანდი** და მისი ულამაზესი მეუღლე **სოფი,** რომელიც ორსულად იყო... **გავრილო პრინციპმა** მაშინვე საწამლავი დალია, მაგრამ მხოლოდ ღებინება დაეწყო. ამის შემდეგ მან რევოლვერით სცადა თავის მოკვლა, მაგრამ ბრბომ შეიპყრო, სასტიკად სცემა და პოლიციას ჩააბარა. საწამლავმა არ იმოქმედა არც მეორე მკვლელზე — **ნედელკო გაბრინოვიჩზე,** რომელმაც ასევე გადაყლაპა კალიუმციანიდის აბები.

დაკითხვისას **გაბრინოვიჩმაც და პრინციპმაც** აღიარეს, რომ მათ მთავარ მიზანს შეადგენდა არა ფრანც ფერდინანდის მკვლელობა, **არამედ გერმანიის მოკავშირე ავსტრო-უნგრეთის იმპერიის მიერ დამოუკიდებელი სერბეთისთვის ულტიმატუმის წაყენება და მისი დამცირება, რაც მოხდა კიდეც და სწორედ ასე დაიწყო პირველი მსოფლიო ომი.**

**გავრილო პრინციპი და ნედელკო გაბრინოვიჩი** ციხეში დაიღუპნენ, ხოლო „სარაევოს გასროლის“ პოლიტიკური შემოქმედი, **27 წლის სერბი ნაციონალისტი ვლადიმერ გაჩინოვიჩი** მოულოდნელად ავად გახდა და 1917 წლის აგვისტოში გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა...

ბუნებრივად დაისმის კითხვა — **ვინ იხეირა და ვის აწყობდა ყველაზე მეტად პირველი მსოფლიო ომის გაჩაღება?**

პასუხი მარტივია — **რა თქმა უნდა, იმას, ვინც მსოფლიოში თავის გავლენები შეინარჩუნა, ხოლო კონკურენტები მიწასთან გაასწორა და დაშალა!** ასეთი სახელმწიფო გახლდათ **დიდი ბრიტანეთის უზარმაზარი იმპერია,** რომელმაც პირველი მსოფლიო ომით დაანგრია და დაშალა როგორც **ავსტრო-უნგრეთის იმპერია,** ისე **რუსეთის იმპერია, ოსმალეთის იმპერია** და **კაიზერული გერმანიის იმპერია,** ხოლო თავად მსოფლიო პოლიტიკის ავანსცენაზე შემოიყვანა სულ უფრო და უფრო მზარდი მილიტარისტული განწყობების მქონე ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც ახალი ანგლოსაქსური იმპერია და დიდი ბრიტანეთის მსოფლიო „დერჟავის“ მოდერნიზებული მიმიკრია...

•

დიდი ქარტეხილებისა და არეულობის ჟამს, როცა იმპერიას რაღაც რადიკალური გადაწყვეტილების მიღება ძალიან უჭირს, რუსეთის სპეცსამსახურები საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ტერაქტების მოწყობასა და შენობების აფეთქებაში დახელოვნებული არიან. ასე მოხდა უკრაინაში, როცა ფაშისტებთან კოლაბორაციაში მყოფ „ბანდერელებს“ „სს“-ის ფორმაში გადაცმული **ენკავედელები** დაერივნენ და ასე მოხდა ჩეჩნეთის მეორე ომის დაწყების წინაც. გახსოვთ, ალბათ, მაშინ მოსკოვში მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსები ააფეთქეს და მომხდარი **ჩეჩენ ტერორისტებს** დააბრალეს. აქედან გამომდინარე, **რაც 2024 წლის 22 მარტის საღამოს „კროკუს სითი ჰოლში“ მოხდა, თავდაპირველად იწვევდა ერთგვარ ცდუნებას, გვეფიქრა, რომ ეს ყველაფერი შესაძლოა, „ტრადიციული რუსული პოლიტიკური ხაზის“ გაგრძელება იყო და „რუსებმა მოაწყვეს“, მაგრამ მოულოდნელად გაჩნდა ცნობა, რომ „მოსკოვის გასროლის“ უკან სირიის ასაოხრებლად ამერიკელების მიერ შექმნილი და დაფინანსებული ე.წ. ისლამური სახელმწიფოც შეიძლება იდგეს.**

თუ უკრაინაში ატეხილ ომს კარგად დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ამ ბრძოლაში რუსეთი მარტოა, ხოლო ანგლოსაქსი იმპერიალისტები და **„ევროპელი ონავრები“,** როგორც მათ თავის დროზე ილია ჭავჭავაძე უწოდებდა, ისევე ერთად დგანან, როგორც **ყირიმის ომში,** როცა პირსისხლიანი **ნიკოლოზ პირველის** რუსეთი ინგლისმა და საფრანგეთმა მკაცრად დასაჯა.

როცა **პეტრე პირველი** „ჩრდილოეთის ომში“ რუსეთის საუკეთესო თაობებს წინა ხაზზე მიერეკებოდა, მის გვერდით ქრისტიანი ძმა, **რუსეთის იმპერიის პირველი გენერალ-ფელდცოიხმაისტერი, საქართველოს უბედური და უიღბლო მეფის არჩილ მეორის შვილი და სახელოვანი ვახტანგ მეხუთე შაჰ-ნავაზის შვილიშვილი ალექსანდრე ბაგრატიონი იდგა.** „ჩრდილოეთის ომი“ **1700 წლის 19 აგვისტოს** დაიწყო და **19 ნოემბერს** ნარვასთან რუსეთის არმიამ კატასტროფული მარცხი განიცადა. კერძოდ, რუსი სარდლების — **დე კრიოსა და ადამ ვეიდეს** ღალატით რუსეთი დამარცხდა და **ალექსანდრე ბაგრატიონი** თავის მეზარბაზნეებთან ერთად დაატყვევეს. პეტრე მზად იყო, მეგობრის გამოსახსნელად მაშინვე გაეხადა მისი წონა ოქრო, მაგრამ შვედეთის გაწუწკებული მეფე **კარლოს მე-12** ქართველი პრინცის სანაცვლოდ 10 ტონა ოქროსა და 70 შვედი ოფიცრის გათავისუფლებას მოითხოვდა.

**პეტრემ** სიყრმის მეგობრის გამოსახსნელად, რომელიც მას ევროპაში მოგზაურობის დროს თან ახლდა, მთელი რუსეთის მასშტაბით დაიწყო ოქროს შეგროვება. როცა ამის შესახებ სტოკჰოლმის ციხეში მყოფმა **ალექსანდრე ბატონიშვილმა** შეიტყო, პეტრეს საიდუმლოდ შეუთვალა — **„არათუ სათქმელად, ფიქრადაც არ მომსვლია, რაიმე ზარალი მოუვიდეს სახელმწიფოს ჩვენ გამო, თუნდაც სხვაზე ათჯერ უკეთესნი ვიყოთ. ჩვენ ამისათვის ვართ მოწოდებულნი, ვითმინოთ და მოვკვდეთ ხელმწიფისა და მამულისათვის!“**

ვფიქრობთ, იმ ერსა და ქვეყანას, რომელმაც რუსეთის იმპერიას პირველი გენერალ-ფელდცოიხმაისტერი და ასეთი ვაჟკაცი აღუზარდა, კრემლი ასე სამარცხვინოდ არ უნდა ექცეოდეს და საქართველოს აფსუებსა და უთვისტომო ჯაყოებს ასე უსისხლოდ და ულმერთოდ არ უნდა აჯიჯგნინებდეს, მაგრამ, რომ იტყვიან, ახია ჩვენს თავს!

**პეტრე პირველმა** ერთგული, მამაცი და კეთილშობილი მეგობრის გადასარჩენად 10






**პეტრე პირველი, ეკატერინე მეორე, პეტრე ბაგრატიონი, იოსებ სტალინი**

## კვირგვინოსნები

**დიმიტრი მედვედევი**
*რუსეთის უსაფრთხოების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე*



**Террористы понимают только ответный террор.** Никакие суды и расследования не помогут, если силе не противопоставить силу, а смертям — тотальные казни террористов и репрессии против их семей. Все они должны быть найдены и беспощадно уничтожены, как террористы. Включая официальных лиц государства, совершившего такое злодеяние. **Смерть за смерть!**

**ბესიკ ალადაშვილი**
*უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი*



**რუსებმა მთლიანად გამოიყენეს სააკაშვილის რესურსი,** მაგრამ, როგორც ჩანს, ჯერ ბოლომდე არ გამოუყენებიათ. **მათ რომ სააკაშვილი არ სჭირდებოდეთ, უკრაინაშივე მოხდებოდა მისი ლიკვიდაცია,** მაგრამ ხომ ხედავთ, მერე კონტეინერით გამოგვიგზავნეს.

„თბილისელები“

**ზურაბ აბაშიძე**
*დიპლომატი*



რუსეთი რას წარმოადგენს, კარგად ვიცი, მაგრამ **გინება და თვალში თითის ჩხერა რომ სიკეთეს არ მოგვიტანს,** ეს დავინახეთ. რუსეთსა და **პუტინზე** ხისტ შეფასებებს მათგან ვისმენთ უხვად, ვინც **ჩვენი ტერიტორიის 20 პროცენტი ჩააბარა და ზედ ეკონომიკის დიდი ნაწილიც მიაყოლა. იცოცხლე, ტელეკამერებთან სულ რუსულ ტანკებს ჭამენ.**

„კვირის პალიტრა“

**ნატა ფერაძე**
*აქტივისტი*



**ნაციონალურ მოძრაობას ვერ ვპატიობ კონკორდატს,** მაშინ დადებულ ნაღმს, რომელიც ანელებს ქვეყნის განვითარებას და **რუსეთის ტროას ცხენია საპატრიარქო.** ნახევარუჯრედიანი **ხაზეიშვილი** და მისი მართული პარტია ამას არ აღიარებს.

„იმედინიუსი“

# მოსკოვში




ტონა ოქრო შეაგროვა და **ალექსანდრე ბაგრატიონი** ტყვეობიდან დაიხსნა, მაგრამ 1711 წლის თებერვალში დაავადმყოფებული ქართველი პრინცი კუნძულ პიტეოსზე გარდაიცვალა. **პეტრე პირველმა** ძვირფასი მეგობრის ნეშტი მოსკოვში გადაასვენა და დიდი პატივით დაკრძალა დონის მონასტერში.

**პეტრე დიდმა** იცოდა ქრისტიანი ძმის ფასი. ამიტომაც იყო, რომ 1721 წელს, როცა „ჩრდილოეთის ომი“ დიდებით განასრულა, საზეიმო სუფრა მოსკოვთან ახლოს, ქართველთა კოლონიაში, სოფელ ვსეხსვიატსკოეში გაშალა, სადაც **ალექსანდრეს და, ულამაზესი ქეთევან ბაგრატიონი** ცხოვრობდა და გამარჯვების სადღეგრძელოს წარმოთქმისას ფეხზე წამომდგარმა შესვა ქრისტიანი ძმის — **ალექსანდრე ბაგრატიონის** შესანდობარი!

ამ ამბიდან გაივლის, სულ რაღაც, **224 წელი და 1945 წლის 24 ივნისს** ქართველი სტალინი, რომელმაც ყველაზე უკეთ იცოდა ქრისტიანი ძმის ფასი, გამარჯვების პარადის შემდეგ გამართულ უზარმაზარ ბანკეტზე შესვამს **რუსი ერის სადღეგრძელოს.** სტალინს იმედი ჰქონდა, რომ რუსეთი დიად გამარჯვებას დაუფასებდა, მაგრამ მისი სახელი ისტორიის სახელმძღვანელოებიდან ამორეცხეს, ხოლო საფლავი ნაგვით აუვსეს.

დღეს ვითარება ასეთია — სტალინის სახელი რუს ხალხში ნელ-ნელა თავის კუთვნილ დიდებას იკრებს, მაგრამ რუსეთის ხელისუფლება, რომელმაც მაროდიორ და ხალიჩების ქურდ ჟუკოვს „წითელ მოედანზე“ ძეგლი დაუდგა, სამარცხვინოდ დუმს და ბელადის სახელს 9 მაისს გამართულ პარადზეც კი არ ახსენებს!

1812 წელს, როცა რუსეთს ნაპოლეონი უტევდა, ღმერთკაცობამდე მისულ საფრანგეთის იმპერატორს 12 ქართველი გენერალი ებრძოდა, მათ შორის, დიდების შარავანდედით სიცოცხლეშივე ბრწყინავდა კიდევ ერთი ქრისტიანი ძმა, გენერალი **პეტრე ბაგრატიონი.** მისი უკანასკნელი სიტყვები, გრაფ როსტოპჩინისადმი მიწერილი, ამ ცოტა ხნის წინათ გავიხსენეთ — **„მშვიდობით, მეგობარო!.. ვკვდები არა ჭრილობებით, არამედ მოსკოვით!“**

ვერც გენერალ-ფელდცოიხმაისტერი **ალექსანდრე ბაგრატიონი,** ვერც გენერალი **პეტრე ბაგრატიონი** და ვერც გენერალისიმუსი **სტალინი** ვერასდროს იფიქრებდნენ და წარმოიდგენდნენ, რომ ქრისტიანი ძმა — რუსეთი ქართველებს ენგურთან, ფრონესთან, ლიახვთან და ქსანთან გზებს ჩაუხერგავდა და უძველეს ქართულ ქალაქებში — ქრცხინვალში (ცხინვალი), დიოსკურიასა და პიტიუნტში შესვლას აუკრძალავდა, საიდანაც ქართველებმა **ეპისკოპოსი სტრატოფილე** 325 წელს ნიკეაში, მსოფლიოს პირველ საეკლესიო კრებაზე გაგზავნეს და ქრისტიან ძმასთან, ბიზანტიის იმპერატორ **კონსტანტინე დიდთან** მოკითხვა დააბარეს!

რუსეთის ხელისუფლებას იმის ჭკუაც კი არ ჰყოფნის, სხვა თუ არაფერი, ახალგორის რაიონი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს მაინც გადასცეს. ამ ნაბიჯით ის მთელი საქართველოს გულს მოიგებდა, მაგრამ არა და არა — **აგერ წინა კვირას ოკუპირებულ ცხინვალსა და აფხაზეთში საარჩევნო უბნები უკვე მერამდენედ გაგვიხსნა და რუსეთის პრეზიდენტის არჩევნები კიდევ ერთხელ ჩაგვიტარა.**

კრემლი არ ეშვება იმ იმპერიულ ცუდმედიდობას, რომელმაც რუსეთი ბევრჯერ კინაღამ დაღუპა. **თეირანის კონფერენციის მსვლელობისას სტალინმა აუდიენცია ითხოვა და ფეხით ეახლა ირანის შაჰს, რომელიც მაშინ არაფერს წარმოადგენდა. სამაგიეროდ, ამით ბელადმა ირანის ახალგაზრდა შაჰის სახით მეგობარი შეიძინა მაშინ, როცა დღევანდელი რუსეთი ყოველ ნაბიჯზე მტრებს იძენს!**

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი რუსთხელმწიფის ტრიუმფით იმიტომ დასრულდა, რომ მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგს გვერდით ედგნენ კავკასიელი თუ ბალკანელი ქრისტიანი ძმები, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, ქართველები, რომლებსაც ცალკე თავისი ხვაშიადი კლავდათ და თურქეთის მიერ მიტაცებული ტაო-კლარჯეთის დაბრუნება სურდათ.

სამაგიეროდ, **რუსეთი მარტო დარჩა 1853-1856 წლების ყირიმის ომში, რომელსაც ინგლისმა ჯერ მთელი ჩრდილოეთ კავკასია აუმხედრა, ხოლო პარალელურად საფრანგეთი და მთელი ევროპა, მათ შორის, სარდინიის სამეფოს ჯარებიც კი მიუქსია და 1855 წლის აგვისტოში სევასტოპოლი აიღო.** სევასტოპოლის მდგომარეობა რომ უიმედო იყო, პირსისხლიანმა იმპერატორმა **ნიკოლოზ პირველმა** ყველაზე უწინ იგრძნო. ეს ის ნიკოლოზია, რომელსაც სამარცხვინო ქართველმა თავადებმა კოჯრის ციხეში **მაიკო ორბელიანი** გააუპატიურებინეს. **სევასტოპოლს რომ ვერაფერს შველოდა, 1855 წლის მარტში ნიკოლოზ პირველს ნერვიულობისგან გული გაუსკდა და ჩვენი ჭირიც წაიღო.**

უკრაინაში ატეხილი ომი სწორედ ყირიმის ომის ნიშნებს ატარებს. თუ ეს ყველაფერი ატომურ ომში არ გადაიზარდა და პლანეტის არსებობა ერთხელ და სამუდამოდ არ დასრულდა, უნდა ვიფიქროთ, რომ, როგორც ამ 170 წლის წინათ სევასტოპოლს შემოეწყვნენ ინგლისელები, ფრანგები და დანარჩენი ევროპელები, სწორედ ისე შემოეწყობიან ისინი უკრაინას და იომებენ რუსეთის წინააღმდეგ, რომელიც დარჩენილია მარტო, რადგან გარშემო ყველა ქრისტიანი ძმა მომდურებული და განაწყენებული ჰყავს!

დღევანდელი რუსეთი დარჩენილია **პეტრე პირველის, ეკატერინე მეორის, პეტრე ბაგრატიონისა და სტალინის** მსგავსი ლიდერისა და მხედართმთავრის გარეშე, რაც უდიდეს საფრთხეს ქმნის! **ნატოელი ბლადოჩინებისა და ფიურერების ბოლოდროინდელი განცხადებები ცხადყოფს, რომ ქვეყანა ჩათრეულია ხანგრძლივ ომში, რომელიც შესაძლოა, რუსეთისათვის კატასტროფული შედეგებით დასრულდეს!** რუსეთმა კიევი რომც აიღოს, უკრაინა მაინც დაკარგული აქვს, რადგან კრემლს თუნდაც დემოგრაფიული თვალსაზრისით არ გააჩნია იმის რესურსი, უკრაინის უზარმაზარი ტერიტორია აითვისოს, ხოლო უკრაინის ომში ოდიოზური **კიმ ჩენ ინის** ჩრდილოეთ კორეისა და ჩინეთის იმედად ყოფნა, რომელიც პოტენციურად და გეოპოლიტიკურად რუსეთის დაუძინებელი მტერია და კრემლისთვის შენელებული მოქმედების ნაღმს წარმოადგენს, ვერაფერი ნუგეშია!

**სწორედ ეს ფიქრები ამეკვიატა მოსკოვში მომხდარი გასროლის შემდეგ, რომელსაც დაახლოებით ასზე მეტი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა და ეს წერილი რომ გამოქვეყნდება, ღმერთმა უწყის, კიდევ რამდენი ადამიანი იქნება დაღუპული!**

***დიტო ჩუბინიძე***



სერგეი შოიგუ, სერგეი ლავროვი, ვლადიმერ პუტინი

## კვირგვინოსნები

**დავით ქაჭარავა**
*პოლიტიკური პარტია „ხალხის ძალის“ წევრი*



**რაც უფრო მალე გასამართლდება ნაციონალური მოძრაობა,** მით სწრაფად და მარტივად **წავა ქვეყანა წინ.**

„იმედინიუსი“

**თამთა მეგრელიშვილი**
*პოლიტიკური პარტია „ხალხის ძალის“ წევრი*



იცნობდეთ ქვეყნის მოღალატეებს: **ვაშაძეს, წითლიძეს, კორძაიასა და ბოტკოველს,** რომლებმაც ევრონესტში **მხარი არ დაუჭირეს „ქართული ოცნების“ რეზოლუციის ინიციირებას, რომელიც საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას და ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას ეხებოდა.**

„იმედინიუსი“

**გურამ მაჭარაშვილი**
*პოლიტიკური პარტია „ხალხის ძალის“ წევრი*



საქართველოს პარლამენტში არის პიროვნება, რომელმაც თავის დროზე შეძლო და **საქართველოს ყველა მოქალაქე „მილიონერი“** გახადა. თუმცა, ამ **„მილიონერ“, ნახევრადმშიერ ადამიანს,** საღამოს, „ლამფის“ შუქზე, **რომანტიკა** ნამდვილად არ ახსენდებოდა. აბა, თუ მიხვდებით, ვინ არის ეს პიროვნება? **რომან გოცირიძე,** რომელმაც თავი საზოგადოებას **კუპონიზაციით** დაამახსოვრა.

„იმედინიუსი“

**რომან გოცირიძე**
*„ევროოპტიმისტების“ წევრი*



„ქართულმა ოცნებამ“ **ევროკავშირს რეკომენდაციები** თავზე გადაახია.

„ინტერპრესნიუსი“

— არავითარი არეულობა არ გველოდება და არანაირი უბედურება არ გვემუქრება! — **აცხადებს ქართული თეატრისა და კინოს ერთ-ერთი გამორჩეული არტისტი, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი ზაზა პაპუაშვილი, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს ეხმიანება:**



# ზაზა პაპუაშვილი:

# „თუ ქართული სასამართლო უცხოელების ხელში აღმოჩნდება, ეს საქართველოს დაღუპვა იქნება! რას მიქვია, ვიღაც კრეტინმა ბრიტანელმა თუ ამერიკელმა შემიმოწმოს, ჩემს ოჯახში როგორი სამართალი მაქვს!“

# უკრაინამ სახელმწიფოებრიობა, ფაქტობრივად, უკვე დაკარგა!

— ოპოზიციად წოდებული ძონძების უბადრუკი ფაფხური ქვეყანას ვერაფერს დააკლებს! ამ დაქირავებული ზომბების პატრონებიც მიხვდნენ, რომ დასახულ მიზნებს ვერ მიაღწევენ და მათ მიერ „მეხუთე კოლონაზე“ დახარჯული ფული წყალშია გადაყრილი. ერთადერთი, რაც აოხრებულ და აყროლებულ ვაიოპოზიციას ჯერ კიდევ შეუძლია, საქართველოს შეურაცხყოფა და ქართველი ხალხის ნერვებზე თამაშია.

**— თუმცა, არსებობს მოლოდინი, რომ ხელისუფლების მიერ ლგბტ პროპაგანდის საწინააღმდეგო კანონის მიღებას ისეთივე ვნებათაღელვა მოჰყვება, როგორიც გასული წლის მარტში ე.წ. აგენტების კანონმა გამოიწვია, როცა მომიტინგეებმა რუსთაველის გამზირი ლამის გადაწვეს და პოლიციელებს „მოლოტოვის კოქტეილებს“ ესროდნენ...**

— თუ ვინმეს შარშანდელი მარტის მოვლენების გამეორება სურს, ნუ დაავიწყდება 30 აპრილი, როცა რესპუბლიკის მოედანზე 50 ათასი ადამიანი შევიკრიბეთ და მტრისა და მოყვრის გასაგონად ვთქვით, რომ ვინც საქართველოს სუვერენიტეტისა და ეროვნული ღირებულებების გათელვას შეეცდება, კარგი დღე არ დაადგება, რადგან ჩვენი სამშობლოსა და ოჯახების ღირსებას ნებისმიერი ხერხით დავიცავთ!

რაც შეეხება ლგბტ პროპაგანდის აკრძალვას, ამას ბევრი ლაილაი არ სჭირდება, „ქართული ოცნება“ პირდაპირ საქმეზე გადავიდეს და მიიღოს კანონი, რომელიც საქართველოს ფსევდოლიბერალური სიმყრალისაგან დაიცავს!

**— საქართველოში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ქართული მართლმსაჯულების მიერ ძებნილი ზურაბ ადეიშვილის ევროპულმა ვოიაჟმა, როცა იგი გერმანიის პარლამენტის საპატიო ლოჟაში დასვეს და ევროკავშირის სტრუქტურებში მაღალი დონის აუდიენციები გაუმართეს. როგორია ამ ფაქტის თქვენეული შეფასება?**

— შეიძლება, გაგიკვირდეთ, მაგრამ არც გერმანიის ხელისუფლებასთან და არც სხვა ევროპულ სტრუქტურებთან არ მაქვს პრეტენზია იმის გამო, რომ უკრაინის დელეგაციაში მყოფ ადეიშვილს ხვდებიან და ესაუბრებიან... მე, პირველ რიგში, ჩვენს ხელისუფლებასთან მაქვს კითხვები: **12 წლის განმავლობაში რა გავაკეთეთ იმისათვის, რომ ადეიშვილისა და კეზერაშვილის მსგავს კრიმინალებს ევროპაში არ „ებულავათ“? რატომ ვერ მოვახერხეთ მათი ექსტრადირება?**

## რატომ მოხდა ისე, რომ ადეიშვილი და კეზერაშვილი ინტერპოლის წითელი ცირკულარიდან ამოიღეს და რატომ გავჩუმდით მაშინ, როცა იგივე ადეიშვილი უნგრეთის ხელისუფლებამ შეიფარა?

არადა, ინტენსიურად უნდა გვემუშავა იმაზე, რომ ადეიშვილის, კეზერაშვილისა და სხვა ნაცკრიმინალების მამხილებელ მასალებს უცხოური მედიის ფურცლებზე, ტელეეკრანებსა თუ საიტებზე ეტრიალა; საერთაშორისო საზოგადოებისა და პოლიტიკური წრეების გასაგონად გამუდმებული განგაში უნდა გვქონოდა ატეხილი, რათა **ადეიშვილ-კეზერაშვილებს** მართლმსაჯულებისაგან თავის დაღწევა ვერ მოეხერხებინათ. არ იყო ეს საქართველოს ხელისუფლების პასუხისმგებლობა? ვფიქრობ, რომ იყო და ამიტომაც ვერ მექნება პრეტენზია გერმანიისა თუ სხვა ქვეყნების ხელისუფლებებთან.

**— უკრაინა რომ საქართველოდან გაქცეული ნაცკრიმინალების ასპარეზად იქცა, ესეც ჩვენი ხელისუფლების პასუხისმგებლობაა?**

— უკრაინას, როგორც სახელმწიფოს, სერიოზულად ვერც განვიხილავ, რადგან მისი სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა და ეკონომიკა განადგურებულია. **ვფიქრობ, უკრაინამ სახელმწიფოებრიობა, ფაქტობრივად, უკვე დაკარგა!**

**— თუმცა, უკრაინის ხელისუფლებას მაინც ცხელა იმისათვის, რომ არახამიასა და მისნაირების პირით საქართველოსაგან სააკაშვილის გადაცემა და რუსეთთან პირდაპირი ფრენების შეწყვეტა მოითხოვოს!**

— ვიღაც უსახური და დეგენერატი არახამიას განცხადებებს ყურადღება არ უნდა მივაქციოთ, რადგან არც მას და არც რომელიმე სხვა ქვეყნის პოლიტიკოსს არავინ ეკითხება, რა პოლიტიკას გაატარებს დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველო. საერთოდ, მოდით, ერთხელ და სამუდამოდ ვისწავლოთ **არახამიასა და მისნაირი არამკითხე იდიოტების იგნორირება!**



ვოლოდიმირ ზელენსკი და დავით არახამია

# „მოდით, ერთხელ და სამუდამოდ ვისწავლოთ არახამიასა და მისნაირი არამკითხე იდიოტების იგნორირება!“

## კვირგვინოსნები

**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*



**უკრაინა გადაიქცა ქართველი კრიმინალების თავშესაფრად,** დაწყებული **მიხეილ სააკაშვილით** დასრულებული **გიორგი ლორთქიფანიძითა** და კიდევ სხვა მაღალჩინოსნით, მათ შორის გამორჩეული ფიგურა **ზურაბ ადეიშვილია.**

„TV იმედი“

**სოზარ სუბარი**
*პოლიტიკური პარტია „ხალხის ძალის“ თავმჯდომარე*



**ნაციონალური მოძრაობა უნდა გასამართლდეს და გასამართლდება კიდეც.** 2008 წლის ომი იყო სამშობლოს ღალატის უპრეცედენტო აქტი. **თუ არ გვეცოდინება სიმართლე,** ძნელი იქნება, ნდობის აღდგენაზე ველაპარაკოთ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ თანამემამულეებს.

„პირველი არხი“

**ლევან თევზაძე**
*უზენაესი სასამართლოს მოსამართლე*



უკრაინაში ე.წ. ვეტინგი **ზურაბ ადეიშვილის** პირველმა მოადგილემ **ნონა წოწორიამ** ჩაატარა, ძალიან მალევე **მათი შერჩეული უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს.**

„რეზონანსი“

**მამუკა ნოზაძე**
*უფლებადამცველი*



**ადეიშვილი** დამნაშავეა, მას **მძიმე დანაშაულები აქვს ჩადენილი.** მას „რუხ კარდინალს“ უწოდებდნენ, **პირდაპირ მისი განკარგულებით დევნიდნენ ადამიანებს, ავიწროებდნენ ბიზნესს...** ხელისუფლებას ზეწოლა რომ მოეხდინა იმ ქვეყნებზე, რომლებიც **ადეიშვილს** მფარველობდნენ, შედეგიც იქნებოდა. ვფიქრობ, მაინც **კოჰაბიტაციის ბრალია ყველაფერი.**

„კვირის პალიტრა“

ოტების იგნორირება! **რაც შეეხება სააკაშვილს — ამ „ვივამედელ“ ძონძს — მას არანაირი ფასი აღარა აქვს, გამოიყენეს და ახლა საფრთხობელასავით უგდიათ იქ, მაგრამ უკვე საფრთხობელადაც ველარ გამოდგება!**

**— ამბობთ — სხვა ქვეყნების პოლიტიკოსებს არავინ ჰკითხავს, საქართველო რა პოლიტიკას გაატარებსო, მაგრამ ნაცოპოზიცია დაჟინებით ითხოვს, რომ სწორედ უცხოელებმა გადაწყვიტონ, ვის უნდა ეცვას საქართველოში მოსამართლის მანტია... რას იტყვით ე.წ. ვეტინგზე და ემხრობით თუ არა, რომ ქართული სასამართლო ევროპელებისა და ამერიკელების მიერ შემოწმებულ-შერჩეული კადრებით დაკომპლექტდეს?**

— ე.წ. **ვეტინგი** აბსოლუტური იდიოტიზმი და საქართველოს სუვერენიტეტის წინააღმდეგ მიმართული კიდევ ერთი დანაშაულია, რომლის ჩადენასაც ერთი მუჭა ნაბიჭვრები და სალახანები ცდილობენ. პირდაპირ ვაცხადებ — **თუ ქართული სასამართლო უცხოელების ხელში აღმოჩნდება, ეს საქართველოს დაღუპვა იქნება!** რას მიქვია, ვიღაც კრეტინმა ბრიტანელმა თუ ამერიკელმა შემიმოწმოს, ჩემს ოჯახში როგორი სამართალი მაქვს! სად ხდება ეს? რომელი დამოუკიდებელი ქვეყანა აძლევს ამის უფლებას სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს? ქართულ სასამართლოს უნდა განაგებდეს საქართველო და ქართველი ხალხი, რადგან ჩვენი წინაპრების არაერთი თაობა სწორედ იმას შეეწირა, რომ დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო გვქონოდა!

**— საპარლამენტო არჩევნებამდე სულ უფრო ნაკლები დრო რჩება და პირდაპირ გკითხავთ — 2024 წელს საქართველოში ხელისუფლება შეიცვლება?**

— თუ პირდაპირ მეკითხებით, მეც პირდაპირ გიპასუხებთ — **2024 წელს საქართველოში ხელისუფლება არ შეიცვლება!** ან რითი უნდა შევცვალოთ და ვისით უნდა შევცვალოთ ხელისუფლება? რა ძალა მოვიყვანოთ ქვეყნის სათავეში? კოალიციურ მთავრობას გვიჩიჩინებენ, მაგრამ ვინ არის და სად არის ეს კოალიცია, როცა ე.წ. ოპოზიციონერები ერთმანეთის ლანძღვის გარეშე ერთ ნაბიჯს ვერ დგამენ? **გვარამიამ და მელიამ ვითომ ერთობა გამოაცხადეს და 10 წუთის შემდეგ გვარამიამ მელიას თავზე დაასვარა.** ოპოზიციაში არ არის ერთი სერიოზული ადამიანიც კი, ვისთანაც განათლების, ჯანდაცვის, ხელოვნების, სპორტის საკითხები შეიძლება გადაწყვიტო! მშიშრები და მონები არიან, რომლებსაც არავითარი ავტორიტეტი არ გააჩნიათ, არც ხელოვნება უყვართ, არც — სპორტი და არც — საქართველო. ასე რომ, კოალიციურ მთავრობაზე საუბარი მხოლოდ უნიჭო ჭრიჭინია და მეტი არაფერი.

# „მე, პირველ რიგში, ჩვენს ხელისუფლებასთან მაქვს კითხვები:

## 12 წლის განმავლობაში რა გავაკეთეთ იმისათვის, რომ ადეიშვილისა და კეზერაშვილის მსგავს კრიმინალებს ევროპაში არ „ეგულავათ“? რატომ ვერ მოვახერხეთ მათი ექსტრადირება?“

**— პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს ოპოზიციის ერთ-ერთ პოტენციურ ლიდერად განიხილავენ და არც მას მიიჩნევთ სერიოზულ ძალად?**

— ე.წ. პრეზიდენტს არაფერი ესმის, ვერაფერში ერკვევა და მხოლოდ დაკვეთებითა თუ მითითებებით მოქმედებს. ან კი

### სალომე ზურაბიშვილი როგორღა არის პრეზიდენტი, როცა ქუჩაში გამოსულმა 50 ათასმა



ზურაბ ადეიშვილი გერმანიის ბუნდესტაგში უკრაინის დელეგაციასთან ერთად. 2024 წელი



ქართული სახელმწიფოს მიერ **ძებნილი დავით კეზერაშვილი** და **აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი მაღალჩინოსანი კურტ ვოლკერი** ლონდონის ერთ-ერთ კაფეში. 2022 წელი

# „სააკაშვილს — ამ „ვივამედელ“ ძონძს — არანაირი ფასი აღარა აქვს, გამოიყენეს და ახლა საფრთხობელასავით უგდიათ იქ!“



### ადამიანმა, მისივე ამომრჩეველმა, უთხრა – ჩვენი პრეზიდენტი აღარ ხარო?! როგორღა არის პრეზიდენტი, როცა კონსტიტუციას ცინიკურად არღვევს და პარლამენტში იმპიჩმენტს მხოლოდ ნაცების წყალობით გადაურჩა?!

**— როგორ ფიქრობთ, პრეზიდენტი ზურაბიშვილი სააკაშვილს შეიწყალებს?**

— სააკაშვილის შეწყალებას აზრი არა აქვს, რადგან მეორე დღესვე ციხეში შეაბრუნებენ, როგორც არაერთ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულს. ამდენად, სააკაშვილი რომ შეიწყალოს, სალომე ზურაბიშვილი ან ავადმყოფი უნდა იყოს, ან ქართველი ხალხის ჯიბრით მოიქცეს ასე, ან კიდევ უცხოელების დაკვეთა შეასრულოს... პირადად მე არც ერთი მაღელვებს, არც — მეორე და არც — მესამე, მთავარია, მშვიდად ვიყოთ, ერთმანეთს პატივი ვცეთ, სიყვარულით გადავირჩინოთ თავი და ამ ჭინკებსა და ჯოჯოხეთის მაშხალებზე საერთოდ აღარ ვიფიქროთ!

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**მეუფე იაკობი**
*ბოდბელი ეპისკოპოსი*



მოიფიქრეს რაღაც, **მოსამართლეები არ მოსწონთ** და მოდით, უცხოელი ხალხი ჩავრიოთ და იმათ თქვან, ვინ არის კეთილსინდისიერი და ვინ — არაო. **ის საშინელი სასამართლო აღარ გვაქვს, რომელიც პროკურატურის ნოტარიუსი იყო,** ამიტომ ისეთ რაღაცებში არ უნდა ჩავერიოთ, რაც ჩვენი საქმე არ არის.

„აიპრესი“

**ლევან ალაფიშვილი**
*კონსტიტუციონალისტი*



მოსამართლეები ვალდებული არიან, დაამტკიცონ, **პენსიონერმა მშობლებმა დიდი ქონება საიდან აჩუქეს!** თუ მოსამართლეს ქრთამი აქვს აღებული და ეს დადასტურდა, **ის სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა მიეცეს.**

„ახალი თაობა“

**დავით ბერძენიშვილი**
*რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი*



ამომრჩევლის უმრავლესობა ოპოზიციურია, ვნახოთ, **ოპოზიციას ეყოფა თუ არა ჭკუა, უნარი, გონება** იმისთვის, რომ თავადაც იყოს ამ ოპოზიციური ამომრჩევლის ღირსი!

„ახალი თაობა“

**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტოლოგი*



**უცებ თუ სააკაშვილი ციხიდან გამოუშვეს,** მაშინ შეიძლება არჩევნებზე მაღალი აქტივობა იყოს **„ოცნების“ ამომრჩევლის მობილიზების ხარჯზე.**

„ახალი თაობა“

**ანა ნაცვლიშვილი**
*„ლელოს“ წევრი*



ქვეყანას პარლამენტი რომ ჰყავდეს, **განგაშის ზარებს უნდა სცემდეს.** საჭიროა, ხელისუფლებამ დროულად მიიღოს შესაბამისი ზომები **ნარკოდანაშაულთან ბრძოლის** მიმართულებით.

„ახალი თაობა“





# ვატო შაქარიშვილი:

# პირდაპირ და მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ უკრაინული სახელმწიფო საქართველოს მტერია!!!

***მორიგი ანტიქართული და ანიტსახელმწიფოებრივი მავნებლობა ნაცსექტის პოლიტიკური დოქსოპულოებისაგან — გასულ კვირას ბრიუსელში, ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეაზე, მხარი არ დაუჭირეს რეზოლუციას, რომელიც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და ევროპულ ინტეგრაციას ეხებოდა.***

*უფრო კონკრეტულად, ევროპარლამენტში გამართულ ასამბლეაზე ქართული საპარლამენტო ოპოზიციის ოთხმა წარმომადგენელმა —* ***გიორგი ვაშაძემ, გიორგი გოტკოველმა, ანა წითლიძემ და თამარ კორძაიამ,*** *უკრაინულ დელეგაციასთან უნისონში, ყველაფერი ქნეს, რომ საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელ* ***მაკა ბოჭორიშვილს*** *რეზოლუციის ინიცირება ვერ მოეხერხებინა.*

*აღსანიშნავია, რომ ბრიუსელიდან დაბრუნებულ ნაცდეპუტატებს, რომლებმაც თავიანთ უკრაინელ მოკავშირეებთან ერთად კიდევ ერთხელ გაილაშქრეს საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მოქალაქეთა ჯგუფმა ობსტრუქცია მოუწყო —* ***ვაშაძეს, გოტკოველს, წითლიძესა და კორძაიას*** *„მონები“, „მოღალატეები“ და „გაყიდულები“ უძახეს, საბოლოო ჯამში კი პოლიციის ჩარევა გახდა საჭირო, რათა ნაცსექტის წარმომადგენლებს აეროპორტიდან უვნებლად გამოეღწიათ.*

***სწორედ ამ თემით დავიწყეთ საუბარი საზოგადოებრივი მოძრაობა „საქართველო უპირველეს ყოვლისა“-ს ერთ-ერთ დამფუძნებელთან და ლიდერთან ვატო შაქარიშვილთან:***

— რაც კოლექტიური ნაცმოძრაობის წარმომადგენლებმა ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეაზე ჩაიდინეს, საქართველოს სახელმწიფო ინტერესების პირდაპირი ღალატია. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ **ესენი არიან დაქირავებული აგენტები,** რომლებსაც საქართველოს მტრობაში უხდიან ფულს, ზოგ მათგანს **რუბლებს** ურიცხავენ, ზოგს — **დოლარებს** და ზოგსაც — **ევროებს.** ეს ფარისევლები პარლამენტში თავიანთ ფრაქციებს ხან **„ევროოპტიმისტებს“** არქმევენ და ხან — **„შარლ მიშელის ჯგუფს“,** რეალურად კი, ყველანაირად ცდილობენ, საქართველოს ევროინტეგრაციას ხელი შეუშალონ.

**— ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეაზე უკრაინული დელეგაციის მხრიდან კიდევ ერთხელ გაჟღერდა ბრალდება, რომ საქართველო რუსეთს სანქციების გვერდის ავლაში ეხმარება, თუმცა, ამის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება არც ამჯერად წარმოუდგენიათ...**

— პირდაპირ და მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ **უკრაინული სახელმწიფო საქართველოს მტერია!!!** ცალმხრივი ცივი ომი, რომელსაც უკრაინის ხელისუფლება საქართველოს წინააღმდეგ აწარმოებს, ჯერ კიდევ **პოროშენკოს** მმართველობის დროს დაიწყო, როცა საქართველოში უამრავი დანაშაულის ჩამდენი სააკაშვილი და მისი ბანდა — ქართველი ხალხის მწამებელი ჯალათები — არამხოლოდ შეიფარეს, არამედ მაღალ თანამდებობებზე დანიშნეს. ისიც უნდა ითქვას, რომ **საქართველოდან გაქცეული ნაცკრიმინალების უკრაინაში აღზევება გლობალური ომის პარტიის სათავო ოფისებში — ბრიუსელსა და ვაშინგტონში გადაწყდა.** სწორედ იქ დაიგეგმა საქართველოში დესტაბილიზაციისა და არეულობის გამოსაწვევი სპეცოპერაციაც, როცა ექს-პრეზიდენტი სააკაშვილი უკრაინიდან საქართველოში „პრეზიდენტის“ ფირმის არაყნებთან და ხაჭო-მაწვნებთან ერთად გამოგვიგზავნეს.

იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანი **დანილოვი** და სხვა მაღალჩინოსნები პირდაპირ გვეუბნებოდნენ — **მარტო უკრაინელი ქალები და ბავშვები რატომ უნდა იხოცებოდნენ, თქვენი ქალები და ბავშვებიც შესწირეთ ამერიკის ინტერესებსო!**

როცა კიევში ყველა ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობა დაიკეტა და საელჩოებმა გუდა-ნაბადი აიკრეს, საქართველოს ელჩი უკრაინის დედაქალაქში დარჩა და უდიდესი საფრთხის ქვეშ ეხმარებოდა როგორც საქართველოს მოქალაქეებს, ისე უკრაინელებს, მაგრამ ზელენსკის ხელისუფლებამ საპასუხოდ რა გაგვიკეთა? წარმოუდგენელი ბრალდებით — თითქოს სააკაშვილი ციხეში კვდებოდა — ჩვენი ელჩი უკრაინიდან გამოაძევა.

**— რეალურად, როგორია დღეს უკრაინის მდგომარეობა და მის ხელისუფლებას რამდენად აქვს იმის ფუფუნება, რომ საქართველოსთან პოლიტიკური ომისა და სააკაშვილის ადვოკატობისათვის ეცალოს?**

— უკრაინა კატასტროფულ მდგომარეობაშია და უკვე მილიონამდე მსხვერპლი ჰყავს! 10 მილიონი ადამიანი ქვეყნიდან არის გაქცეული, ამდენივე მოქალაქე კი ქვეყნის შიგნით დევნილად იქცა. **უკრაინას სამხედრო მობილიზაციის რესურსიც კი აღარ გააჩნია და ადამიანები სახლებიდან იარაღის მუქარით გამოჰყავთ, რათა ფრონტის წინა ხაზზე გაგზავნონ,** სადაც გარდაუვალი სიკვდილი ელით. ნატოს, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და ევროკავშირის ხელმძღვანელობამ არაერთხელ განაცხადა — უკანასკნელ უკრაინელამდე ვიბრძოლებთო და ასეც იქცევიან — **უკრაინელ ხალხს საზარბაზნე ხორცად იყენებენ.**

გარდა ამისა, ეკონომიკურმა სანქციებმა, რომლებიც ევროკავშირმა რუსეთს დაუწესა, თავად ევროკავშირის ქვეყნები უფრო დააზიანა, ვიდრე რუსეთი. მეტიც, ოფიციალური მონაცემებით, გასულ წელს რუსეთის ეკონომიკამ დაახლოებით 3-პროცენტიანი ზრდა განიცადა, ხოლო ევროპის წამყვანი ქვეყნების, მაგალითად, გერმანიის ეკონომიკა მკვეთრ ვარდნას განიცდის, იზრდება ფასები და კომუნალური გადასახადები, საშუალო და მსხვილი ქარხნები კი თავიანთ წარმოებებს აჩერებენ ან სხვა ქვეყნებში გადააქვთ, რაც მთელ ევროპაში სამუშაო ადგილების შემცირებას იწვევს.



**— ამ ფონზე ადვილი წარმოსადგენია, რა დაემართებოდა საქართველოს ეკონომიკას, თუკი რუსეთს სანქციებს დავუწესებდით!**

— აღსანიშნავია, რომ ამერიკისა და ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციები ყველა რუსულ პროდუქციას არ ეხება და ისინი რუსეთისაგან კვლავ ყიდულობენ ქიმიურ სასუქებსა თუ სხვადასხვა სახის ნედლეულს, რაც მათი ეკონომიკისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. მაგალითად, ფინეთის ეკონომიკის მინისტრმა სულ ახლახან განაცხადა, რომ არ შეზღუდავენ რუსეთიდან ნიკელის იმპორტს, რადგან ეს მათ ეკონომიკას სჭირდება. ამ ფონზე, **სრულიად ამაზრზენი გახდა და უკვე ყელში ამოვიდა ევრობიუროკრატიის ფარისევლობა,** როცა საქართველოს რუსეთისათვის სანქციების დაწესებას უკიჟინებენ, არადა, თავადაც კარგად იციან, რომ ეს რუსეთს ვერაფერს დააკლებს, ქართულ ეკონომიკას კი ჩამოშლის და გაანადგურებს.

**— არჩევნების მოახლოებასთან ერთად ოპოზიციის ფლანგზე გარკვეულ გადაჯგუფებებს ვხედავთ — ვიღაცები იშლებიან, ვიღაცები ერთიანდებიან, გუშინდელი ნაცები დღეს „ახლებს“ ირქმევენ და ა.შ. როგორ უყურებთ ამ პროცესს?**

— უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ყოფილი ნაცი არ არსებობს! თუ ოდესმე მხარს უჭერდი, ამართლებდი ან თუნდაც დუმილით ხვდებოდი იმას, რომ ადამიანებს ციხეში ცოცხებითა და „დუბინკებით“ აწამებდნენ და აუპატიურებდნენ, ნაცი ხარ და მორჩა, ამ დამღას ვერაფრით მოიშორებ!

**„ყოფილი ნაცი არ არსებობს და გვარამიას რებრენდინგი ყოვლად შეუძლებელია!“**

**გვარამია, მელია და სხვები,** რომლებიც ახლა არანაცობას იჩემებენ, ნაცრეჟიმის ნაწილაკები იყვნენ და როგორი რებრენდინგიც არ უნდა ჩაიტარონ, ბოლომდე ნაცებად დარჩებიან. საერთოდ, **გვარამიას** რებრენდინგი ყოვლად შეუძლებელია და იგი ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილის თვალში ყოველთვის სისხლიანი რეჟიმის პროკურორი და ზონდერმედიის უსტაბაში იქნება. მიუხედავად იმისა, თუ რა ფერის ლოგო და რომელი საარჩევნო ნომერი ექნებათ, **გვარამიასა და მისნაირთა კოლექტიური სახე მუდამ იქნება ის ყავარჯნიანი ჯალათი, რომელიც 35 ლარის სანაცვლოდ მაგიდაზე დაგმულ კაცებს აუპატიურებდა.**

„ლელოს“ ლიდერი **მამუკა ხაზარაძეც** იჩემებს — ნაცი არ ვარო, არადა, 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებში ნაცმოძრაობის მერობის კანდიდატის — **ნიკა მელიას** მოადგილეობის კანდიდატი იყო, უფრო ადრე კი **ადეიშვილის** პროკურატურის ერთ-ერთი განშტოება გახლდათ თავისი „თიბისი ბანკით“, სადაც ღამით ხელბორკილდადებული ადამიანები მიჰყავდათ და იძულებით უფორმებდნენ საკრედიტო ხელშეკრულებებს, რომელთა საფუძველზე მათ ბიზნესებს ხაზარაძე ეპატრონებოდა.



**„მამუკა ხაზარაძე იჩემებს – ნაცი არ ვარო, არადა, 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებში ნაცმოძრაობის მერობის კანდიდატის – ნიკა მელიას მოადგილეობის კანდიდატი იყო!“**

მოკლედ, სასაცილოა, როცა ასეთი „სივის“ პატრონები ცდილობენ, საზოგადოებას თვალებში ნაცარი შეაყარონ, თითქოს ნაცებისაგან განსხვავდებიან.

**— რა შანსები აქვთ მათ 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში?**

— ოპოზიციური პარტიების უდიდესი ნაწილი საარჩევნო ბარიერსაც კი ვერ გადალახავს და ვერც **ბოგანო ხაბეიშვილის** ხელში ჩავარდნილი ნაცმოძრაობა მიაღწევს რაიმე წარმატებას, თუმცა, მოდუნების უფლება არც ხელისუფლებას აქვს და არც — საზოგადოებას, რადგან ამ ბოროტი ძალის უკან დიდი ფული, მედიარესურსი და საგარეო მხარდაჭერა დგას.

2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში საბოლოოდ უნდა დავასრულოთ და ქართული პოლიტიკური სივრციდან განვდევნოთ ნაცმოძრაობა და მასთან დაკავშირებული ტოქსიკური ძალები, რომლებიც ქვეყანას მშვიდად ცხოვრებისა და სწრაფი ტემპებით განვითარების საშუალებას არ აძლევენ!

*ესაუბრა*
***გიორგი ძაძამია***



# კობა არაბული: უმორალო ვაკუუმში ჩარჩენილი ერი ვერ გადარჩება!

***მწერალ კობა არაბულს ბოლოს 2023 წლის მიწურულს ვესაუბრეთ. მას შემდეგ ქართულ პოლიტიკაში ბევრი რამ შეიცვალა — მესამედ დაბრუნდა ბიძინა ივანიშვილი, ხოლო საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრი ჰყავს. რას ფიქრობს და როგორ ეხმიანება 2024 წელს განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ:***

— პირდაპირ გეტყვით — **ბიძინა ივანიშვილის** მესამედ მოსვლა შემთხვევითი არ ყოფილა. იგი გამოჩნდა დანგრეული მორალური სივრცისა და ერის შემოქმედებითი აურის აღსადგენად. **გორგასალმა** შექმნა თავისი დრო და სახელმწიფო, **აღმაშენებელმა** — თავისი, **რუსთაველმაც** შექმნა სულიერი, მხატვრულ-მეტაფორული ეპოქა, ხოლო **ილია მართალმა** — საკუთარი დრო უდროო დროში ერის გადასარჩენად! თავის მხრივ, **ბიძინა ივანიშვილმაც** შექმნა თავისი დრო და სახელმწიფო ამ საუკუნეში.

**„დროის“** შექმნას ადამიანის გენია სჭირდება. იყო ბაბილონის კოშკის ფინიკიელი არქიტექტორი **სნეფერუ,** იყვნენ შატილისა და მუცოს, ვარძიისა და შიომღვიმის შემქმნელებიც, იყო და არის ანატორის მისტიური აკლდამების იდუმალი არქიტექტორიც. ქართველი ერის გადარჩენაში ლომის წილი ჩადო ბიძინა ივანიშვილმა, შეძლო სატანური აურის დაძლევა და ქართველი ერი, ფაქტობრივად, პროკრუსტეს სარეცლიდან ააყენა!

**— პირდაპირ გკითხავთ, რატომ დაბრუნდა მესამედ ბიძინა ივანიშვილი?**

— დღესაც მავანი ერთი და იმავე წრეზე გვატარებს და ცდილობს, წარსულის ჯურღმულში დაგვაბრუნოს. არადა, ჩვენ გვაქვს ხიფათის დაძლევის მითოლოგიური მაგალითიც: ამირანის მითში უსუფი ემუქრება შიკრიკს: *„გ ზანი გაიხვენ შიკრიკო, თუ არ ხარ თავის მისანი, თორე აგიღე, გაგთალე, ვით საკიდობნე ფიცარი. მესამედ იქავ მოვედით, გუშინ რომ დავჭკარ ისარი“.* არის რაღაც კავშირი და სიმბოლიკა ამ მითსა და ბიძინა ივანიშვილის მესამედ დაბრუნებას შორის. ეს გახლავთ სასიკვდილო მუქარა შიკრიკისადმი, რომელიც სამ საკრალურ მეომარს ღალატობს, გზას ურევს და ერთსა და იმავე წრეზე ბრუნვაში გაჰყავს დრო, რათა დევის თავიდან გამოსულმა ჭიებმა დაზრდა მოასწრონ.

თავის დროზე „ქართულმა ოცნებამ“ და ივანიშვილმა შეიწყალეს დამარცხებული ურჩხულები, კოჰაბიტაციის ჩრდილში მოაქციეს, რამაც ქვეყნის ნგრევის ჟინი გაუძლიერათ და ხელახლა გაცოცხლდნენ. მითის მიხედვით, მათთან სასტიკი ომია მოსალოდნელი, რათა ქვეყანა ფაშისტურ-ლიბერალური ურჩხულის კლანჭებიდან გამოვიდეს და გადარჩეს.

ივანიშვილისთვის და მისი მთავრობისთვის ეს ომი საკმაოდ რთული იქნება, რადგან მსოფლიოს შავი ენერგია უპირისპირდებათ. ამიტომაც საჭიროა, აღიმართოს ერის ინტელექტუალური, ზნეობრივი და კულტურული დაცვის პირამიდა, რომელიც ჩაახშობს გლობალური მსოფლიოს ძალადობას, პროლეტკულტელთა და ნაციონალთა ღალატს და მაზომბირებელი მასმედიის ზემოქმედებას.

**ნაციონალთა დანატოვარი დარჩა, როგორც შხამიანი გველის გადავლილი ხილი. ვერაფერი შევცვალეთ, ვერაფერი აღვადგინეთ ვერც – განათლებაში, ვერც – მეცნიერებაში, ვერც – კულტურასა და მწერლობაში.**

დავით აღმაშენებლის ძეგლიც კი ვერ დავაბრუნეთ კუთვნილ ადგილზე. იქამდეც კი მივედით, რომ სკოლებში დაამკვიდრეს გაშარჟებული რუსთაველის ანეკდოტები. **„ნახეს უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა პირსა, მივიდნენ და შემოარტყეს, რა გატირებს შეჩემისა“.** ასეთი შემორტყმული, ტვინგადაბრუნებული იდიოტების ხელშია სკოლა და ასე იქნება, ვიდრე მწერალთა ლაშქარი და მართალი სიტყვა არ აჯანყდება!

დღეს **ივანიშვილი** აკერია ენაზე **ხაზარაძეს, ხოშტარიას, ბოკუჩავას, პაატა მანჯგალაძეს, ვაშაძეს...** თან სძულთ და თან უყვართ, რაკიღა ბოლომდე არ მოახრჩო. სააკაშვილს ხომ პირდაპირ ციხის აგარაკზე ამყოფებს სათაგურის თაგვივით. სწორედ ეს გახლავთ პარადოქსი და ივანიშვილისეული პარადიგმა, რომელიც ძნელად არის შესაცნობი.

**— შეგიძლიათ, ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან მიმართოთ ახალ პრემიერს — ირაკლი კობახიძეს!**

— **ბატონო ირაკლი,** მწერალთა ეროვნული აკადემია გთხოვთ აუდიენციას ერის სულიერ და ზნეობრივ პრობლემებზე სასაუბროდ. შეგვხვდით და მოგვისმინეთ ამ გადამწყვეტ ეტაპზე! ხანძთელის, რუსთაველის, ილიას, ვაჟას სამშობლო ფარნავაზიდან მოყოლებული დღემდე სიტყვის ძალითა და სულიერი სინერგიით გადარჩა.

ხაზგასმით მინდა, აღვნიშნო:

**ნაცლიბერასტების მსგავსი დაუძინებელი მტერი საქართველოს არ ჰყოლია თემურ ლენგის, ჯალალედინისა და შაჰ აბასის დროსაც კი.**

თუ ეს ანტიძალა არ გავიდა ეროვნული პოლიტიკიდან, არც კულტურა გვექნება, არც — მწერლობა და არც — ეკლესია! **უმორალო ვაკუუმში ჩარჩენილი ერი ვერ გადარჩება!**

*ესაუბრა*

***ნატო ფოცხიშვილი***

**„ასე იქნება, ვიდრე მწერალთა ლაშქარი და მართალი სიტყვა არ აჯანყდება!“**



**„ბიძინა ივანიშვილმა ქართველი ერი, ფაქტობრივად, პროკრუსტეს სარეცლიდან ააყენა!“**

**„ბატონო ირაკლი, გთხოვთ, შეგვხვდეთ და მოგვისმინოთ!“**




# ვარსკვლავებზე დაციკლიკაძებული

**დავით ლიკლიკაძეს უთქვამს:** „თუკი რუსეთში მოგზაურობა გინდათ, გირჩევთ, წითელ მოედანზე გახვიდეთ, იქ კრემლს ნახავთ, კრემლის თავზე ვარსკვლავია. ჰოდა, აიღეთ ეს ვარსკვლავი და გაირჭეთ ტრა...ში“! **(ცენზურა ჩვენია. რედ.).**




☺

ძველებს უთქვამთ — **ყველა სოფელს თითო გიჟი უნდა ჰყავდესო.**

რათა მარტო სოფელს? **ქალაქსაც უნდა ჰყავდეს თითო კი არა, სამ-სამი და ხუთ-ხუთი გიჟი.**

ჰოდა, აგერ, **ქუთაისს ჰყავს კიდევაც ერთ-ერთი გამოჩენილი ჩიტირეკია,** რომელიც ხან რომელ არხზე უზით და ხან — რომელზე... ოპოზიციურია თუ პოზიციური, ყველგან მიღებული პერსონაა. თავიდან აცხადებდნენ — ჟურნალისტიაო, მერე უფრორე მაგრად რო გაუტია, შოუმენიაო...

☺

**ჩემს ბავშვობაში სოფელში ეგეთი ვინმე თუ გამოჩნდებოდა, ეგრევე „03“-ს გამოიძახებდნენ, ზოლიან ხალათს უკუღმა ჩააცმევდნენ, სიღნაღში მოკლეზე გააქანებდნენ, იქ ცოტა ხანს დააყოვნებდნენ, თვალებში ჩახედავდნენ, იატაკზე ცარცით გაუხაზავდნენ, აცაბაცა რო გაივლიდა, პირს გაალებინებდნენ, აბი-გლუკოზას გადააყლაპებდნენ და ჰაიდა — გაჩიანის ფსიქიატრიულში!**

ახლა დრო შეიცვალა, ახლა ეგეთები თავისუფლად დაპარპაშებენ, არც ზოლიანი ხალათი აცვიათ და არც დამაწყნარებელს ყლაპავენ.

რათა?

იმათა, რომე... „ვინებიც“ ამას ტელევიზორში იწვევენ და ხან ჰკუასაც კი ეკითხებიან, ისინიც გაჩიანში არიან გადასაყვანები!

☺

დაბოლოს... **როგორცა სჩანს, ამას უკვე გამოცდილი აქვს უკანალში ვარსკვლავის ქიმის გარჭობა და ამიტომაც ურჩევს საზოგადოებას, თქვენც გაირჭვეთო.**

**ტიპი დაუკრეფავში გადაიჭრა და იმასაც კი ვერ მიხვდა, რომ ნატოსაც წვეტებიანი ვარსკვლავი აქვს, ოღონდ ოთხქიმიანი და თანაც ლურჯი!**

☺

ისე კი, რა ვარსკვლავებზე **დაიციკლიკაძე? უბრალო სარი რო გაირჭო, ვერა?**

# კაცი ვერ გახადეს!

აქ რო იყო, ხო ურიკინებდა, სადაც გადაიხვეწა, იქ უარესად ურიკინებს. ადრე სუ **ბიძინა ივანიშვილს** იწვევდა დუელში, ახლა **ილია თოფურიას** გადაეკიდა — შენთან ჩხუბი მინდა, უნდა გცემო-ვო.



☺

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ **თოფურიამ** თავი გაუყადრა და ამასთან ერთად რინგზე გავიდა.

რა მოხდება?

არც არაფერი, ხელის ერთი მოქნევისთანავე გაიშხლართება, სასწრაფოდ რომელიმე კლინიკაში გადაიყვანენ, ტელევიზორში **ვარელი ბელბახიანი** გამოვა და გამოაცხადებს, უნამუსო თოფურიამ იმპოტენტ კაცზე ხელი ასწიაო.

☺

**გოგიიიიიი!**

გახსოვს, ერთმა ქალმა იღლიაში რომ შეგიღიტინა და ბეჭებზე დაგდო? ნუთუ საპყრობილემ ან გადასახლებამ მაინც **კაცი ვერ გაგხადეს?**



***საკმაო დრო გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისის საკრებულოს წევრს ერეკლე კუხიანიძეს ეგრეთ წოდებული ვაჟა ექიმის, იგივე ვაჟა გაფრინდაშვილის მისამართით დაფიქსირებული მკვეთრად უარყოფითი პოზიციის გამო გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარეობა დაათმობინეს და გაემიჯნნენ. საბედნიეროდ, ჩვენს რესპონდენტს ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადასული ექიმ-პროვოკატორის მიმართ დამოკიდებულება არ შეუცვლია:***



## ერეკლე კუხიანიძე:

# რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების გარეშე საქართველოს არავითარი მომავალი არა აქვს!

— ეგრეთ წოდებული **ვაჟა ექიმი** ნამდვილად აგენტია და მოქმედებდა ვიღაცის დავალებით. ნაცებს ასეთი გეგმა ჰქონდათ — უნდოდათ, გამოეწვიათ საერთაშორისო სკანდალი, **ვაჟა გაფრინდაშვილი** ცხინვალის ციხიდან გმირის მანტიით დაეხსნათ, რომელსაც ხალხი გაჰყვებოდა და დაამხობდა ხელისუფლებას! სინამდვილეში მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო — ე.წ. **ვაჟა ექიმმა** ჩაისვარა, ცხინვალის რეჟიმის ე.წ. პრეზიდენტის სახელზე შეწყალება გააშანშალა და ასე ჩასვრილგაბახებული გადმოგვიგდეს საოკუპაციო ხაზს აქეთ!

ყველაზე მეტად გული რაზე მწყდება, იცით? ისტორიას არ ახსოვს, ვინმე საკუთარ გუნდს ისე გაეწიროს, როგორც მე დამიპირისპირდნენ **ე.წ. ვაჟა ექიმის** მისამართით გაკეთებული სამართლიანი განცხადების გამო. არ გრცხვენიათ, ხალხო? როცა დაინახეთ, რომ ეს კაცი გაქანებული ნაცი და პროვოკატორია, კაცური სინანული მაინც არ დაგეუფლათ, ეს ადამიანი ტყუილად რატომ მოვკვეთეთო?

**— მაინც რატომ მოგიძულეს?**

— უპირველესად, ნაცების შიშის გამო გამემიჯნნენ! **სააკაშვილსაც** ამ შიშის გამო ამყოფებენ სასათბურე პირობებში. არადა, კაცი არის მოღალატე, რომელმაც დავითგარეჯის სიმაღლეები აზერბაიჯანს გადასცა და ტელევიზიითაც აღიარა. მარტო ამ დანაშაულისთვის ეკუთვნის სამუდამო პატიმრობა, მაგრამ გაშვებული ჰყავთ დასასვენებლად კურორტზე. ის მოღალატე კარტოგრაფებიც, რომლებმაც დანაშაულებრივი ბრძანება შეასრულეს — **ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა** — სამწუხაროდ, გარეთ არიან!

ჩემი ინფორმაციით, ამერიკელების მიერ გაქეზებული სააკაშვილი ცხინვალში ომის დაწყებას არა ზაფხულში, არამედ 2008-2009 წლების ზამთარში ან, უკიდურეს შემთხვევაში, გაზაფხულზე გეგმავდა, როცა კავკასიონზე თოვლის გამო ტექნიკის გადაადგილება ჭირს. რუსებმა ეს შეიტყვეს, მოახდინეს ამ ავადმყოფის პროვოცირება და 2008 წლის აგვისტოში, როცა ჩრდილოეთ კავკასია სამხედრო წვრთნების გამო რუსული ტანკებით იყო გადაჭედილი, სააკაშვილს ცხინვალში ომი დააწყებინეს!

**— კი მაგრამ, რაში სჭირდება ამერიკას საქართველოს გაწირვა და რუსების ხელით ჩვენი მიწასთან გასწორება?**

— მაშინ კითხვას შემოგიბრუნებთ — **რაში სჭირდება ამერიკას უკრაინის მიწასთან გასწორება?** ამერიკას ევროპის ნომერ პირველი ეკონომიკის პატრონი — გერმანია ოკუპირებული აქვს და ქვეყანაში რაც უნდა, იმას გააკეთებს. საფრანგეთი უარეს დღეშია. ამერიკა უკრაინას იმდენ და იმ ტიპის იარაღს აწვდის, რომ ომი რუსეთსა და უკრაინას შორის გაიწელოს და აბსოლუტური უპირატესობა ვერცერთმა მხარემ ვერ მოიპოვოს. ეს ყველაფერი ანგრევს ევროპას როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად და აძლიერებს ამერიკის შეერთებულ შტატებს. აქედან გამომდინარე, თუ რუსეთის წინააღმდეგ გლობალურ საომარ კამპანიაში საქართველოც იქნება ჩათრეული, ამერიკის ინტერესები უფრო მყარად იქნება დაცული. აი, ამას ემსახურება საქართველოს მიერ „ნატო-ნატოს“ ძახილიც.

**— არჩევნებზე რას ელით? როგორც წესი, ახლაც ყველა იმას გაიძახის, რომ საშემოდგომოდ საქართველოს ისევ არევენ!**

— ერთ მხარეს დგას „ქართული ოცნება“, მეორე მხარეს — პირსისხლიანი ნაცები და ამ დროს **ბიძინა ივანიშვილი** გვეუბნება — შუა უნდა გაიკრიფოსო! **ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი მესამე ძალა განადგურდება, რადგან ნაცების შიშით ხალხი ყოველთვის „ქართულ ოცნებას“ მისცემს ხმას და გაამარჯვებინებს!** ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც გადამიარეს, იყო ის, რომ სულ გავიძახოდი და ახლაც ვამტკიცებ — **რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების გარეშე საქართველოს არავითარი მომავალი არა აქვს!** სასაცილოა, მაგრამ, რასაც რუსეთის შესახებ ვამბობდი და შემრისხეს, სახელმწიფო პოლიტიკად იქცა! რომ გაიძახიან — რუსეთმა გეორგიევსკის ტრაქტატი დაარღვიაო! — გეორგიევსკის ტრაქტატი რუსეთმა კი არა, **გიორგი მეთორმეტემ** დაარღვია, როცა რუსეთს ხვეწნა დაუწყო — რაც გინდა ის უყავი ჩემს ქვეყანას, ოღონდაც სცანი ჩემი და ჩემი შვილების კანონიერი უფლებები ბაგრატიონთა სამეფო ტახტზეო! დიახ, **გიორგი მე-12** მუხლებზე დაჩოქილი ეხვეწებოდა რუსეთს — მთელი ქვეყანა წაიღეო! ახლა აღარ უნდათ ამ ამბების გახსენება? ნუთუ დავიწყებას მიეცა ის ამბავი, რომ იმ პერიოდში მართლაც რუსეთმა გადაგვარჩინა, თორემ 1795 წლის სექტემბერში თბილისში რამდენი გზაც შემოდიოდა, ყველა მკვდრებით იყო მოფენილი. სხვათაშორის, ბოლოს **ზვიად გამსახურდიაც** მიხვდა, რომ დასავლეთმა მოატყუა. ჩანაწერი არსებობს, სადაც ზვიადი დასავლეთს სატანას უწოდებს! მიუხედავად ამისა, არ ვარ იმის მომხრე, რომ ამერიკას სატანა ვეძახოთ, რადგან ზუსტად ისევე გაგვანადგურებენ, როგორც რუსეთმა გაგვანადგურა, როცა დავუპირისპირდით.

***ესაუბრა***
***დიტო ჩუბინიძე***

# გენერალისიმუსი

№18 (254) ★ 2024 წლის 25 მარტი ★ გამოდის 2003 წლიდან


*„რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებში ვლადიმერ პუტინმა გაიმარჯვა, ამერიკაში კი დონალდ ტრამპის გამარჯვებას ველოდები! პუტინისა და ტრამპის ტანდემი პლანეტაზე ლიბერასტულ დღის წესრიგს დაუსვამს წერტილს და კაცობრიობას განვითარების ბუნებრივ კალაპოტში დააბრუნებს!“* ***— ამ სიტყვებით დაიწყო საუბარი კასპის რაიონის ყოფილმა გამგებელმა, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, სახელოვანმა სამბისტმა***

***ოლეგ იაქძე:***

# რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებში პუტინმა გაიმარჯვა, ამერიკაში კი ტრამპის გამარჯვებას ველოდები!

## ოლეგ იაქძე:



— რამდენიმე დღის წინათ **ვლადიმერ პუტინი,** რომელსაც თითქმის მთელი გლობალისტური სამყარო დაუპირისპირდა, ერთსულოვნად, მესამე ვადით აირჩიეს პრეზიდენტად.

მიმაჩნია, რომ ეს ფაქტი ნიშნავს მსოფლიოში ამერიკის ჰეგემონიის დასრულებას, ევრაზიიდან ამ ურჩხულის გაძევებას; ასევე თანამედროვე ლიბერასტული ფაშიზმისგან მსოფლიოს განკურნების დასაწყისს! ჩვენ მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების ზღვარზე ვიმყოფებით. იმედი ვიქონიოთ, რომ საქართველო ბოლოს და ბოლოს დასავლეთის უღელს გადააგდებს და თავის ბუნებრივ, ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს პლანეტის პოლიტიკურ რუკაზე!

**— რატომღაც, ყველას, ვინც ლგბტ დღის წესრიგს ეწინააღმდეგება, რუსეთუმედ აცხადებენ. ეს აპრობირებული ტაქტიკაა?**

— პლანეტის მოსახლეობამ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში კარგად დაინახა, თუ ვინ არის კაცობრიობის მტერი და მოამაგე. ლგბტ დღის წესრიგი — ეს არის კაცობრიობის თანამედროვე ავთვისებიანი სიმსივნე, რომელიც მიზნად ისახავს მთელ მსოფლიოში ღვთის და ბუნების ძალების მიერ დადგენილი წესრიგის, ზნეობრივი ნორმების მოშლას. საქართველოში დატრიალებულ ყველა უბედურებასაც დასავლეთიდან თავს მოხვეული ლგბტ დღის წესრიგი განაპირობებს, რის შედეგადაც ინგრევა ოჯახები, იკარგება ქალისა და მამაკაცის ბუნებით დადგენილი დანიშნულება. ეს ტენდენცია მარტო საქართველოში კი არა, უკვე ევროპაში და თვით ამერიკაშიც, მოსახლეობის პროტესტის საფუძველი ხდება. **ბარაქალა იმ ქვეყნებს, მათ შორის, რუსეთს, რომლებიც ლგბტ დღის წესრიგს საკანონმდებლო დონეზე ებრძვიან!**

**— „არა რუსულ კანონს!“ — ლიბერასტების ამ ლოზუნგის გარშემო გაერთიანებამ ჩააგდო კანონპროექტი, რომელიც უცხოეთიდან დაფინანსებული რეზიდენტული ორგანიზაციების გამოსავლენად შემუშავდა.**

— ანალოგიური შინაარსის კანონი მსოფლიოს წამყვანმა ქვეყნებმა მიიღეს. არადა, თუ უცხოეთიდან რეზიდენტების დაფინანსებას სამართლებრივი ფორმებით არ შევაჩერებთ, ისინი მომავალი თაობის დიდ ნაწილს დაღუპავენ და ჩვენი სახელმწიფოებრიობა ამით დასრულდება! აქვე პირდაპირ გეუბნებით და ასევე დაწერეთ: **ამერიკის პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი არ უნდა იყოს, რადგან წინა არჩევნებში გაიმარჯვა დონალდ ტრამპმა, რომელსაც არჩევნების შედეგები ტოტალურად გაუყალბეს!** დონალდ ტრამპი, რომელიც კონსერვატიულ ღირებულებებს ანიჭებს უპირატესობას, ამჟამად დიდი უპირატესობით გამოირჩევა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ლიბერასტული დღის წესრიგი სულაც არ არის ამერიკელი ხალხის არჩევანი. სხვათაშორის, იგივე ტენდენცია შეიმჩნევა თანამედროვე ევროკავშირის ქვეყნებშიც. **ჩემი პროგნოზით, მიმდინარე წელს შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნებში ტრამპის არჩევას ალტერნატივა არ გააჩნია.** ამის შემდეგ მსოფლიოში რუსეთისა და ამერიკის პრეზიდენტების ტანდემით განპირობებული ახალი ერა დადგება, რომელიც პლანეტას მშვიდობას მოუტანს. **აქი, ტრამპს არაერთხელ უთქვამს, რომ პრეზიდენტად მისი არჩევის შემდეგ უკრაინაში სისხლისღვრა რამდენიმე საათში დასრულდება!** იმავდროულად, კაცობრიობა დაუბრუნდება თავისი განვითარების ბუნებრივ, კონსერვატიულ კალაპოტს.



**„ტრამპს არაერთხელ უთქვამს, რომ პრეზიდენტად მისი არჩევის შემდეგ უკრაინაში სისხლისღვრა რამდენიმე საათში დასრულდება!“**

**— პუტინმა ძალაუფლება განიმტკიცა. როგორ აისახება ეს ფაქტი უკრაინის მოვლენებზე?**

— აქამდეც ვამბობდი, რომ ამ ომიდან რუსეთი, მინიმუმ, ხარკოვს და ოდესას დაიბრუნებს-მეთქი და ახლა უკვე ეჭვგარეშეა, რომ ძველი სახით უკრაინა, როგორც სახელმწიფო — არსებობას ველარ გააგრძელებს. იმის მიუხედავად, რომ ლამის მთელ მსოფლიოს ებრძვის, ამ ომში რუსეთს მაინც უპირატესობა აქვს, მაგრამ **მკვეთრი გარდატეხა უახლოეს პერიოდში მოხდება და შესაძლოა, რუსეთი კიევსაც დაეუფლოს.** გაზაფხულის მიწურულს უკვე გამოიკვეთება ამ ომის დასრულების რეალური პერსპექტივა და ცვლილებები, რომლებიც თანამედროვე ევროპის რუკაზეა მოსალოდნელი. **შეუძლებელია, გაიმარჯვოს იმ ძალამ, რომელიც ტოლსტოის და დოსტოევსკის ებრძვის მარტო იმიტომ, რომ ეს ბუმბერაზი შემოქმედები რუსები იყვნენ!** ზელენსკის რეჟიმის საბოლოოდ დამარცხება უპირობოდ დააჩქარებს პოზიტიურ პროცესებს საქართველოსთან მიმართებაში.

**— კერძოდ? რას გულისხმობთ?**

— ძალიან დიდი ალბათობით, საუბარი ჩამოვარდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე.


***გაგრძელება „გენერალისიმუსის“ მე-2 გვერდზე***


## არის ასეთი აზრი! ★




**„შეუძლებელია, გაიმარჯვოს იმ ძალამ, რომელიც ტოლსტოის და დოსტოევსკის ებრძვის მარტო იმიტომ, რომ ეს ბუმბერაზი შემოქმედები რუსები იყვნენ!“**

# ოლეგ იაძე:

# მკვეთრი გარდატეხა უახლოეს პერიოდში მოხდება და შესაძლოა, რუსეთი კიევსაც დაეუფლოს!




*დასაწყისი „გენერალისიმუსის“ პირველ გვერდზე*

ერთადერთი, რაც რუსეთს საქართველოს მიმართ აღიზიანებს — ეს არის სწრაფვა ნატოსკენ. თავის მხრივ, რუსეთი საკუთარი უსაფრთხოების ნებისმიერი საშუალებით დაცვაზე უარს არასოდეს იტყვის. თუ საქართველო ნატოსთან ფლირტს და რუსეთის მიმართ ამ საფრთხით მანიპულაციის მავნე პოლიტიკას შეწყვეტს, რუსეთი საკუთარი უსაფრთხოების მიზნით, თავად იქნება დაინტერესებული, რომ სამხრეთით მეზობლად ჰყავდეს ეკონომიკურად სტაბილური, ერთიანი და შიდა კონფლიქტების არმქონე სახელმწიფო.

**— ნაციონალური მოძრაობის ფესვებზე ახალ-ახალი პარტიები ამოიზარდნენ, მათ შორისაა პარტია „ახალი“.**

— როგორ შეიძლება, **ნიკა გვარამია** ისე შეიფუთოს ახალ ტყავში, რომ ვერ ამოიცნო?

ნაცების ფესვებზე ამოყრილი ყლორტების ნაყოფი მხოლოდ ღალატი და ორგულობაა, აკი ამჯერადაც „კოლექტიური ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებმა უკრაინელი ამფსონების მონაწილეობით ბრიუსელში საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუციის ჩაგდებას მიაღწიეს!

**— რა შედეგს ელით საქართველოს საპარლამენტო არჩევნებზე?**

— ჩემი აზრით, ამ არჩევნებში „ქართული ოცნება“ ისეთი შედეგებით გაიმარჯვებს, როგორიც აქამდე არ ჰქონია! „ოცნების“ ე.წ. ლიბერასტული ფრთა ჩამოიშლება და საქართველოს ახალი ხელისუფლება თავიდან ბოლომდე კონსერვატიულ კალაპოტში მოექცევა. ასეა თუ ისე, „ქართული ოცნება“ მაინც ბიძინა ივანიშვილის სახელთან ასოცირდება, რომელსაც ტრადიციული ქართული ოჯახი ჰყავს.

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

## იმ სახეების გათვალისწინებით, რომლებსაც ამ პარტიაში ვხედავ, „ახლები“ კი არა, „ახვრები“ უნდა ერქვათ!



პარტია „ახალის“ სახეები და ზურაბ ადეიშვილის ძველი მოადგილეები — მაია კოპალეიშვილი და ნიკა გვარამია

**არის ასეთი აზრი! ★**



ნადეჟდა ალილუევა, იოსებ სტალინი, კლიმენტი ვოროშილოვი და ეკატერინა ვოროშილოვა

# ვინ იყვნენ სტალინის მეგობრები?

***საქართველოს გენერალიტეტის მემატიანე, ცნობილი ჟურნალისტი და მწერალი ლევან დოლიძე იმ ადამიანების შესახებ გვესაუბრება, რომლებთანაც იოსებ სტალინს განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებდა:***



## ლევან დოლიძე:

## ტროცკი და მისი ხროვა უბინძურესი ტაქტიკით მოქმედებდნენ – მოკლავდნენ ვინმეს და მერე მკვლელობას სტალინს დააბრალებდნენ!

— **ლავრენტი ბერია** სტალინის სულიერი მეგობარი არ ყოფილა, რადგან მათ შორის დიდი ასაკობრივი სხვაობა იყო, თუმცა, **ალექსანდრე ეგნატაშვილთან, ფიოდორ სერგეევთან, მიხეილ ფრუნზესთან, სერგეი კიროვთან, ანდრეი ჟდანოვთან, ალექსანდრე შჩერბაკოვთან, ალექსანდრე გოლოვანოვთან, კონსტანტინე როკოსოვსკისთან, ალექსანდრე ვასილევსკისთან, ბორის შაპოშნიკოვთან, ალექსეი ანტონოვთან და კლიმენტი ვოროშილოვთან** ბელადს ძალიან ახლო მეგობრობა აკავშირებდა. **ფრუნზე,** რომელსაც 1925 წლის 26 იანვარს სტალინმა ყველა ის თანამდებობა ჩააბარა, რომელიც ადრე **ლევ ტროცკის** ეჭირა, ბელადის მარჯვენა ხელი იყო. ეს უნიჭიერესი ახალგაზრდა იმავე წლის 31 ოქტომბერს 40 წლის ასაკში კუჭის ოპერაციის დროს გარდაიცვალა. ერთი წლის შემდეგ ფრუნზეს მეუღლემ თავი მოიკლა და ასე დარჩათ მცირეწლოვანი შვილები უპატრონოდ.

**— ფრუნზეს სიკვდილი ტროცკისტი ექიმების ბრალი ხომ არ იყო?**

— არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ ეს სწორედ ტროცკისტებმა ჩაიდინეს, თუმცა, ამ გარეწრებმა მერე ყველაფერი თავდაყირა დააყენეს და ფრუნზეს სიკვდილი ისევ და ისევ სტალინს დააბრალეს! საერთოდ, ტროცკი და მისი ხროვა უბინძურესი ტაქტიკით მოქმედებდნენ — მოკლავდნენ ვინმეს და მერე მკვლელობას სტალინს დააბრალებდნენ! ფრუნზეს ადგილი **ვოროშილოვმა** დაიჭირა და მისი ორივე შვილი — თემური და ტატიანა იშვილა. მანამდე, 1918 წელს, ვოროშილოვის ცოლმა ოთხი წლის ობოლი ბავშვი — პეტია იშვილა. სწორედ მისი შექმნილია მძიმე ტანკები — **„ი.ს.“** („იოსებ სტალინი“) და **„კ.ვ.“** („კლიმენტი



ლევ ტროცკი

**მკვლევარის სიტყვა ★**

ვოროშილოვი").

1920 წელს **კლიმენტი ვოროშილოვმა** კიდევ იშვილა 10 წლის ლუგანსკელი მუშის, **ლავრენტი ნესტერენკოს** შვილი, 10 წლის **ლეონიდ ნესტერენკო,** რომელიც ხარკოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი გახდა. ასე რომ, ვოროშილოვის ოჯახში ოთხი ნაშვილები ბავშვი იზრდებოდა.

გამორჩეული ურთიერთობა ჰქონდათ **სტალინსა და კლიმენტი ვოროშილოვს.** ისინი ერთმანეთს პირველად 1906 წელს, კომპარტიის მეოთხე ყრილობაზე სტოკჰოლმში შეხვდნენ. ამ შეხვედრის შესახებ ვოროშილოვი წერს: *„ჩვენ სწრაფად დავმეგობრდით და მალევე შევიტყვე, რომ ჩემი ახლო მეგობარი ქართველია და მას იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი ჰქვია!"* ცნობისათვის, ბელადი „სტალინი" 1913 წლის 12 იანვარს გახდა, ხოლო როცა ვოროშილოვი გაიცნო, მას ჯერ კიდევ „კობა" ერქვა.

ყველა მოგონებით და დოკუმენტით დასტურდება, რომ სტალინი განსაკუთრებით ხარობდა, როცა ლენინგრადიდან მოსკოვში **სერგეი კიროვი** ჩამოდიოდა. როცა ეს ხდებოდა, **სტალინი და კიროვი,** ფაქტობრივად, სულ ერთად იყვნენ და ბელადი მას თავის ოჯახში მასპინძლობდა. განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა **ანდრეი ჟდანოვსაც,** რომელიც პოლიტბიუროს წევრთა შორის ერთადერთი იყო, ვინც ფორტეპიანოზე უკრავდა და თავისი მაღალი ინტელექტითა და მსოფლმხედველობით გამოირჩეოდა. ჟდანოვის ცოლისძმა გახლდათ **ალექსანდრე შჩერბაკოვი** — მოსკოვის ოლქის პირველი მდივანი, რომლის სახელიც ნაძირალა **ნიკიტა ხრუშჩოვმა** მოსპო და ისტორიიდან ამოთხარა. თუ სადმე შჩერბაკოვის სახელობის ქუჩა, სასწავლებელი, მეტროსადგური იყო და თუ რამ შჩერბაკოვს ჰქონდა დაწერილი, ხრუშჩოვმა ყველაფერი გაანადგურა.

სტალინი მეგობრების მიმართ ძალიან გულისხმიერი იყო. ბელადს უკან დახევაც შეეძლო და ბოდიშის მოხდაც. აი, მაგალითად, **კონსტანტინე როკოსოვსკი** ციხიდან რომ გამოვიდა, სტალინმა მალევე მიიღო. **როკოსოვსკის,** რომელიც თავიდან ბოლომდე გამართლდა, მისთვის ერთი სიტყვაც არ უთქვამს, რომ ნაძირალა **ნიკოლაი ეჟოვის** ხალხი აწამებდა და კბილები ჩაულეწეს... სტალინმა ეს ყველაფერი იცოდა და როკოსოვსკის პატიება სთხოვა! აწამეს მარშალი **კირილ მერეცკოვიც...**

**— მერეცკოვი რატომღა აწამეს?**

— 1941 წლის ივნისში, ომის დაწყებიდან მეექვსე დღეს, როცა ბელორუსიის ფრონტი ჩავარდა და გენერალმა **დიმიტრი პავლოვმა** და სხვებმა პოზიციები მიატოვეს, ვიღაცამ თქვა, თითქოს **კირილ მერეცკოვიც** იყო გარეული ამ ღალატში. **მერეცკოვი** საშინლად აწამეს, ფეხები გადაუმტვრიეს, მაგრამ არ გატყდა და გამართლდა. სტალინმა ეს ყველაფერი იცოდა. ამიტომ **კირილ მერეცკოვი** ერთადერთი მხედართმთავარი იყო, რომელსაც სტალინი უფლებას არ აძლევდა, პატაკი ფეხზე მდგარს ჩაებარებინა და ყოველთვის აიძულებდა, დამჯდარს ესაუბრა, რადგან მის ჯანმრთელობასა და გადამსხვრეულ ფეხებს უფრთხილდებოდა.

საბჭოთა კავშირის შორეული ავიაციის მთავარი მარშალი **ალექსანდრე გოლოვანოვი** იმოდენა იმპერიაში ერთადერთი კაცი იყო, რომელიც მხოლოდ სტალინს ემორჩილებოდა. დიდი სამამულო ომი სულ რაღაც ორი კვირის დაწყებულიც კი არ იყო, როცა ესტონეთიდან, კერძოდ, კუნძულ



აბელ ენუქიძე, იოსებ სტალინი და მაქსიმ გორკი

# „კლიმენტი ვოროშილოვისა და მისი ცოლის უშვილობის მიზეზი ჩვენი გარყვნილი და უზნეო თანამემამულე აბელ ენუქიძე იყო, რომელიც სტალინმა დახვრიტა!"

საარემაადან, აფრენილმა საბჭოთა თვითმფრინავებმა მთელი ცენტრალური ევროპა გადასერეს და ბერლინი დაბომბეს. ეს იყო წარმოუდგენელი რამ, რასაც გერმანიის მოსახლეობასა და განსაკუთრებით ბერლინელებში დიდი პანიკა მოჰყვა. რომ იცოდეთ, 1939 წელს, როცა ფაშისტები პოლონეთში შევიდნენ, ნახევარი მილიონი პოლონელი ებრაელი საცხოვრებლად საბჭოთა კავშირში გადმოვიდა და უამრავი აგენტი და ჯაშუშიც შემოჰყვათ. აღარაფერს ვამბობ აქაურ აგენტებზე. მაგალითად, ცნობილი ფეხბურთელი **ნიკოლაი სტაროსტინი** და მისი ძმა სამშობლოს მტრობდნენ, რისი დამადასტურებელი დოკუმენტებიც ბერიამ სტალინს პირადად მიუტანა. სტაროსტინს ცოლი პირდაპირ ეუბნებოდა — **ებრაელების ბინები დავიკავოთ, ისინი აქ არასოდეს დაბრუნდებიან!** ფეხბურთელი თუ კარგი იყო, სხვა საკითხია, მაგრამ პოლიტიკურად სტაროსტინები საზიზღარი ადამიანები იყვნენ.

**— თქვენ ზემოთ ფიოდორ სერგეევი ახსენეთ, ვინ იყო ეს კაცი?**

— **ფიოდორ სერგეევი** იყო სტალინისა და კიროვის უახლოესი მეგობარი, ძველი ბოლშევიკი და რევოლუციონერი, რომელიც სტალინთან ერთად უკრაინასა და ცარიცინში იბრძოდა. **ფიოდორ სერგეევი** გახლდათ სტალინის შვილობილის — **არტიომ სერგეევის** მამა, რომელმაც სტალინს დაუბარა — **ომია, როდის რა მოხდება, ღმერთმა უწყის და თუ მოვკვდი, ჩემი ბიჭი გაზარდეო!** სტალინმა მეგობარს პირობა მისცა, რომ შვილს გაუზრდიდა... ამ ამბიდან ორ თვეში, 1921 წლის 24 ივლისს, **ფიოდორ სერგეევი** ავიაკატასტროფაში მოჰყვა, ხოლო ცოტა ხანში მისი მეუღლეც დაიღუპა. ასე აღმოჩნდა რამდენიმე თვის **არტიომ ფიოდორის ძე სერგეევი** სტალინის ოჯახში. ბელადმა დანაპირები შეასრულა და მეგობრის შვილი თავისთან წაიყვანა. ბავშვს სიყვარულით **„ტომიკს"** ეძახდნენ და **ვასილისთან** ერთად იზრდებოდა. ბიჭები ერთი ხნისანი იყვნენ. ერთხელ სტალინმა პატარა „ტომიკს" ჰკითხა — „ტომიკ", რა გაჩუქო? — თქვენ ძალიან მანებივრებთ, მე ყველაფერი მაქვს! — უპასუხა ბავშვმა. — რასაც ახლა მოგცემ, ის არ გაქვს! — უთხრა სტალინმა და „მაუგლის" წიგნი აჩუქა. „ტომიკის", ანუ იმავე არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ **არტიომ სერგეევის** განცხადებით, მამამისი ტროცკის ინიციატივით მოკლეს! **არტიომ სერგეევი** 2008 წელს გარდაიცვალა და არასოდეს უთქვამს, რომ სტალინის ოჯახში გაიზარდა. ის ძალიან მოკრძალებული კაცი იყო და არც სტალინზე დასცდენია არასოდეს აუგი. საერთოდ, მაშინ პოლიტბიუროს წევრები ობოლ ბავშვებს იშვილებდნენ ხოლმე. ზემოთ ბევრი ვისაუბრეთ კლიმენტი ვოროშილოვის ოჯახზე, რომელსაც საკუთარი შვილები არ ჰყავდა და ოთხი ბავშვი იშვილა. **ბევრმა არ იცის, რომ კლიმენტი ვოროშილოვისა და მისი ცოლის უშვილობის მიზეზი ჩვენი გარყვნილი და უზნეო თანამემამულე აბელ ენუქიძე იყო, რომელიც სტალინმა დახვრიტა!**

**— როგორ, რანაირად?**

— **კლიმენტი ვოროშილოვის** მეუღლე გახლდათ ოდესელი ებრაელი **გიტლია დავითის ასული გორბმანი.** ეს ქალი ფიზიკურად არ ბრწყინავდა, შეიძლება ითქვას, შეუხედავიც კი იყო, მაგრამ სულიერად ასხივებდა. გიტლია 13 წლის იყო, როცა 1900 წელს ასთმით მამა გარდაეცვალა. 15 წლის ასაკში მან ოდესის პროფსასწავლებელი დაასრულა და მკერავად დაიწყო მუშაობა. მალე ებრაელი გოგონა რევოლუციურ მოძრაობაში ჩაერთო. ოდესა მაშინ ტროცკისტების ბუნაგი იყო. მეფის „ოხრანკამ" გიტლია დააპატიმრა და არხანგელსკის გუბერნიაში გადაასახლა, სადაც პოლიტიკურ სასჯელს იხდიდა ცნობილი ქართველი რევოლუციონერი **აბელ ენუქიძე.** იგი ძალიან სიმპათიური კაცი იყო, რაც 20 წლის გიტლიას შეუმჩნეველი არ დარჩენია და მალე მათ შორის ურთიერთობა დამყარდა. **აბელ ენუქიძე** გიტლია გორბმანზე ათი წლით უფროსი იყო... გიტლია აბელისგან დაორსულდა. როცა მან აბელს ამის შესახებ უთხრა, აბელმა აიძულა, აბორტი გაეკეთებინა. ასე მოიშალა ახალგაზრდა გოგონამ მუცელი. ეტყობა, აბორტის დროს ექიმმა რაღაც დაუზიანა და იმის შემდეგ მას შვილი აღარ გაუჩნდა!

**— კლიმენტი ვოროშილოვი გიტლიას ცხოვრებაში მერე გამოჩნდა?**

— 1909 წლის ბოლოს დაჩაგრული გიტლიას ცხოვრებაში გამოჩნდა **კლიმენტი ვოროშილოვი,** რომელიც ასევე არხანგელსკში გადაასახლეს. მათ ერთმანეთი შეუყვარდათ და ცხოვრების ბოლომდე დიდი სიყვარული ჰქონდათ. გიტლია რომ გათავისუფლდა, ოდესაში ჩავიდა და ახლობლებთან თქვა, რომ ქრისტიანი კაცი უყვარდა. ებრაელმა ნათესავებმა მას ქრისტიანთან ურთიერთობა კატეგორიულად აუკრძალეს, მაგრამ გიტლიამ არ დაიშალა, თვენახევრის შემდეგ მიატოვა მზიური ოდესა და **ვოროშილოვთან** არხანგელსკში ჩავიდა.

ჟანდარმი, რომელიც ვოროშილოვს ჰყავდა მიჩენილი, კატეგორიულად მოითხოვდა გიტლიას უკან დაბრუნებას. ახალგაზრდებმა ასეთი რამ მოიფიქრეს — რომელიღაც ჟურნალიდან იმპერატორ ნიკოლოზ მეორის სურათი ამოჭრეს, კედელზე გააკრეს, ადგილობრივი გლეხები, მოწმეები მოიწვიეს და მცირე პურ-მარილის თანხლებით ქორწილი გადაიხადეს.

მოვიდა ის ჟანდარმი და დაიწყო ძველებურად ლანძღვა-გინება, რომელიც ამჯერად **კლიმენტი ვოროშილოვმა** გააჩერა და აქეთ მოსდო შარი — **როგორ ბედავ მეფის სურათის წინაშე, ამდენი ხალხის თანდასწრებით გინებასო!** ჟანდარმი შეშინდა, რადგან მეფის სურათის წინაშე გინებისათვის რუსეთის იმპერიაში ხალხს ხვრეტდნენ და გიტლიას ნება დართო, ვოროშილოვთან დარჩენილიყო!

1910 წელს გიტლია გორბმანი მართლმადიდებელ ქრისტიანად მოინათლა, ეწოდა **ეკატერინე** და კლიმენტი ვოროშილოვზე ჯვარი დაიწერა. ეს რომ მისმა ებრაელმა ნათესავებმა შეიტყვეს, გიტლია დაწყევლეს, მოკვეთეს და ებრაული წესით მისი ტანსაცმელი დაიტირეს. 1910 წლის სექტემბერში ვოროშილოვი პატიმრობიდან გათავისუფლდა და მეუღლესთან ერთად არხანგელსკიდან წამოვიდა.

**— კლიმენტი ვოროშილოვმა იცოდა, აბელ ენუქიძემ გიტლიას რაც გაუკეთა?**

— ცხადია, იცოდა, რადგან გიტლიამ ქმარს ყველაფერი უამბო... აქედან გამომდინარე, ვოროშილოვსა და აბელ ენუქიძეს შორის ცუდი ურთიერთობა იყო. უბედურება ის გახლდათ, რომ ორივე „ცაკ"-ში მუშაობდა. გიტლიას ისე უყვარდა მეუღლე, რომ მთელი სამოქალაქო ომის განმავლობაში ვოროშილოვს გვერდიდან არ მოშორებია და კლიმენტის სადაც კი გაგზავნიდნენ, ყველგან თან ახლდა. **კლიმენტი ვოროშილოვი** თითქმის 35 წლის განმავლობაში — პოლიტბიუროს წევრი, ხოლო 15 წელი წითელი არმიის ხელმძღვანელი იყო, რაც საბჭოთა კავშირის ისტორიაში რეკორდული მაჩვენებელია.

**„კირილ მერეცკოვი ერთადერთი მხედართმთავარი იყო, რომელსაც სტალინი უფლებას არ აძლევდა, პატაკი ფეხზე მდგარს ჩაებარებინა და ყოველთვის აიძულებდა, დამჯდარს ესაუბრა, რადგან მის ჯანმრთელობასა და გადამსხვრეულ ფეხებს უფრთხილდებოდა!"**



კირილ მერეცკოვი

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

# გიორგი ბეზირგანის პასუხები მკითხველს ★

## მსმენია, რომ 37 წელს რეპრესირებული იყვნენ არა მარტო მოლოტოვისა და კალინინის ცოლები და კაგანოვიჩის ძმა, არამედ მიქოიანის შვილებიც. ეს სიმართლეა?


სტალინი, კალინინი, კაგანოვიჩი, მოლოტოვი

**მოლოტოვის** ცოლი 1948 წელს იქნა რეპრესირებული (გადაასახლეს), ხოლო **„საკავშირო მამასახლისის“ ცოლი — 1938 წელს. კაგანოვიჩის** ძმამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა და თავისი საქმის გამოძიებას არ დაელოდა. ის დაპატიმრებული არ ყოფილა. სიკვდილის შემდეგ მთლიანად რეაბილიტირებულია.

ახლა **მიქოიანის** შვილებზე ვისაუბროთ. **„რეპრესირებულები“** მეტად ხმამაღლა ნათქვამია. მაგრამ რაღაც მსგავსს ადგილი მართლაც ჰქონდა. თუმცა, სანამ ამას მოგითხრობთ, გეტყვით, რომ **ი. სტალინს** ძალზე ყურადღებით ეჭირა თვალი მაღალი პარტიული და სახელმწიფო მუშაკების შვილებზე, რათა ისინი ღირსეულად მოქცეულიყვნენ, რომ მათთვის რაიმე განსაკუთრებული პირობები არ შეექმნათ. საკუთარ შვილებს, როგორც ცნობილია, არ ანებივრებდა. მეტიც, რკინის ხელით ეჭირა და თანამოსაგრეებისგანაც იმავეს მოითხოვდა. **ბელადის ქალიშვილი სვეტლანა ალილუევა** მოგვითხრობს, რომ ომის წლებში კუიბიშევიდან, სადაც სხვებთან ერთად ევაკუაციაში იყო, მამის მოსანახულებლად მოსკოვში ჩამოვიდა. როცა სკოლის ამბებს უყვებოდა, სადაც ყველა ხელმძღვანელის შვილები შეკრიბეს, **სტალინს** სახე შეეცვალა: **„ოჰ, თქვე წყეულო კასტა...“** მაგრამ ამ დროს მასთან სასწრაფო მოხსენებით შევიდნენ და საუბარი არ გაგრძელდა.


ანასტას მიქოიანი

მაგრამ მას თავისებური გაგრძელება ჰქონდა, აი, რა გარემოებებში. **1943 წელს** საავიაციო მრეწველობის სახკომის **ალექსეი შახურინის** შვილმა, **18 წლის ვლადიმერმა** რევოლვერიდან გასროლით მოკლა თავისი შეყვარებული — **მექსიკაში** ელჩად დანიშნული დიპლომატის **კონსტანტინე უმანსკის** ქალიშვილი. ეს მოსკოვში, ბოლშოი კამენნის ხიდის საფეხურებზე მოხდა. მეორე ტყვია უმცროსმა **შახურინმა** თვითონ დაიხალა.

ამ ინციდენტის შეტყობისთანავე **სტალინმა** პირველ რიგში **შახურინი** სახკომის მოვალეობიდან გაათავისუფლა და შემთხვევის გამოძიება ბრძანა. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. გამოძიებამ, რომელსაც სსრკ პროკურატურა ატარებდა, დაადგინა, რომ უმცროს შახურინს რევოლვერი **მიქოიანის** ერთ-ერთმა შვილმა — **18 წლის ვანომ** გადასცა. პროკურატურაში დაკითხვისას ვანომ აღიარა, რომ იარაღი მან და **14 წლის სერგომ „სახლში იპოვეს“**. შედეგად ორივე **„ბოროტმოქმედი“** ლუბიანკაზე რამდენიმე თვე აყურყუტეს, ხოლო შემდეგ სტალინაბადში (დუშანბეში) გადაასახლეს. ერთი წლის შემდეგ ისინი შეიწყალეს.

**აი, ასე იქნენ „რეპრესირებული“ ანასტას მიქოიანის შვილები.**

## სტალინის მემკვიდრედ ფორმალურად გიორგი მალენკოვი ითვლებოდა. მან შეცვალა კიდეც ბელადი სსრკ-ის ხელმძღვანელის პოსტზე. მაგრამ დიდხანს ვერ გაძლო. რით ახსნით ამას? გთხოვთ, აგრეთვე, დაწვრილებით გვიამბოთ ამ ადამიანზე



**გიორგი მაქსიმილიანის ძე მალენკოვი,** რომელსაც ერთგვარი დონდლოობისა და ქალურობისთვის პარტიულ წრეებში **„მალანია“** შეარქვეს, პარტიასა და სახელმწიფოში მართლაც მეორე კაცად ითვლებოდა. ჯერ კიდევ **სტალინის** სიცოცხლეში მას ორი წამყვანი პოსტი ეკავა — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის და ცკ-ის მდივნის (ფაქტობრივად — მეორე). **სტალინის** არყოფნისას მას მიჰყავდა როგორც მთავრობის, ასევე ცკ-ის სამდივნოს და პოლიტბიუროს სხდომები. ხოლო მე-19 ყრილობაზე პირველად გამოვიდა ბელადის ნაცვლად საანგარიშო მოხსენებით. ბუნებრივია, **სტალინის** გარდაცვალების შემდეგ *(აქ აღარ შევეხებით მისი სიკვდილის ყველა იდუმალ გარემოებას და ამაში „ოთხეულის“ — მალენკოვის, ბერიას, ხრუშჩოვის და ბულგანინის როლს)* **მალენკოვი** სათავეში ჩაუდგა მთავრობას და პარტიას. თუმცა, ცოტა ხნით. უკვე **1953 წლის სექტემბერში** მან ცკ-ის პირველი მდივნის პოსტი **ხრუშჩოვს** დაუთმო, ხოლო დაახლოებით ერთ წელიწადში მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობაც დაკარგა. მოგვიანებით **ხრუშჩოვმა** ის, როგორც **„ანტიპარტიული ჯგუფის“** წევრი, **მოლოტოვთან, კაგანოვიჩთან** და **შეპილოვთან** ერთად პარტიიდან გარიცხა.

იმის გასაგებად, თუ რატომ იყო **მალენკოვის** კარიერა დიდ პოლიტიკაში ესოდენ სწრაფმავალი, ჯერ ერთი, უნდა გავითვალისწინოთ, რომ **„მემკვიდრეობით“** გიგანტური ქვეყნის მიღებამდე მას დამოუკიდებლად არაფრისთვის უხელმძღვანელია, მხოლოდ პარტიული კანცელარიის ბეჯითი და შემსრულებელი მუშაკი იყო; და მეორე — რომ მის გვერდით ყოველთვის იყო **„წამბიძგებელი“**, პიროვნება, რომელზეც დაყრდნობა შეეძლო.

დიმიტრი შეპილოვის თქმით *(რომელიც მრავალი წელი მუშაობდა ცკ-ში მისი ხელმძღვანელობით)*, **მალენკოვი „სხვისი ნების იდეალური და ნიჭიერი შემსრულებელი იყო და ამ როლში ბრწყინვალე ორგანიზატორულ შესაძლებლობებს, საოცარ შრომისუნარიანობას და გულმოდგინებას ამჟღავნებდა.“**

რაც შეეხება **„წამბიძგებელს“**, ასეთი **მალენკოვისთვის** მისი ცოლი **ვალერია გოლუბცოვა** იყო — პარტიული მუშაკი, რომელიც ყველანაირად **„უბიძგებდა“** ქმარს წინ, თვითონ კი ჩრდილში რჩებოდა. სწორედ მან შეუწყო ხელი პარტიულ ასპარეზზე **მალენკოვის** ზეასვლას, იმას, რომ 20-იანი წლების შუაში მისი ქმარი **სტალინის** პირად სამდივნოში მოხვდა, როგორც ბელადის ერთ-ერთი თანაშემწე. **სტალინმა** დააფასა აპარატის მუშაკის შემსრულებლური ნიჭი და დროთა განმავლობაში მის დაწინაურებას შეუდგა. ამგვარად, **სტალინის** გვერდით **მალენკოვი** თავს მყარად გრძნობდა და ზედმიწევნით და უზადოდ ასრულებდა მის ყველა მითითებას.

ბელადის სიკვდილის შემდეგ **მალენკოვი,** ზუსტად ასევე, **ბერიას** ნების შემსრულებელი გახდა. ფორმალურად მას პირველი პოსტი ეკავა, მაგრამ, ფაქტობრივად, იმას ასრულებდა, რასაც **ბერია** უბრძანებდა, რომელიც სამი თვის განმავლობაში *(1953 წლის მარტიდან ივნისის ბოლომდე)* პარტიისა და ქვეყნის ხელმძღვანელი იყო. **მალენკოვის „დაცემა“** იმ მომენტიდან იწყება, როდესაც მან **ბერია ხრუშჩოვსა** და მის ბანდას **„მიჰყიდა“**. ასეთი საიმედო საყრდენის დაკარგვის შემდეგ **მალენკოვი** ზედიზედ უთმობს პოზიციებს ვირეშმაკა **ხრუშჩოვს.**

**„ის ყოველგვარ დიქტატორულ თვისებებს მოკლებული იყო,** — წერს შეპილოვი, — **შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ეს არ იყო პატივმოყვარე ადამიანი და რომელიმე ძლიერი ნებისყოფის ადამიანზე დაყრდნობის მოთხოვნილება ჰქონდა. და ისიც ეყრდნობოდა: სტალინს, ბერიას, მერე ხრუშჩოვს...“**

**ხრუშჩოვზე** „დაყრდნობა“ მის დასასრულად იქცა.

## იმ ბრალდებებს შორის, რომლებიც ხრუშჩოვმა ბერიას სიკვდილის შემდეგ წაუყენა, აზერბაიჯანის მუსავატური დაზვერვის და საქართველოს „მენშევიკური ოხრანკის“ სასარგებლოდ ჯაშუშობაც იყო. მუსავატებთან დაკავშირებით დღეს შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ბერია იქ ბაქოს ბოლშევიკთა იატაკქვეშა ცკ-ის გადაწყვეტილებით ჩაინერგა. მენშევიკებთან მუშაობაზე რას გვეტყვით? ამას იმით ადასტურებენ, რომ საქართველოში დაპატიმრების შემდეგ ის მაშინვე გაუშვეს

**1920 წელს ტფილისში** არალეგალური მუშაობისთვის გაგზავნილი **ბერია** მენშევიკებმა მართლაც ორჯერ დააპატიმრეს. თუმცა, რა თქმა უნდა, არავითარ **„მენშევიკებზე მუშაობაზე“** საუბარიც არ შეიძლება. მეტიც, საბჭოთა ხელისუფლების მიერ *(ბაქოში ის უკვე დამყარებული იყო)* ტფილისში გაგზავნილი, ის დიდ სამუშაოს აწარმოებდა საქართველოში ანტიმენშევიკური აჯანყების მოსამზადებლად. ამ საქმიანობას რსფსრ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენლობა (საელჩო) ხელმძღვანელობდა **კიროვის** მეთაურობით. **ბერია** ტფილისში ბოლშევიკთა პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის საგანგებო წარმომადგენლის რანგში ჩავიდა. მაგრამ მალე საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ დააკავა. რამდენიმე დღეში ის გაათავისუფლეს და საქართველოს დაუყოვნებლივ დატოვება მოსთხოვეს. თუმცა, **ბერია** დარჩა და სხვისი გვარით გააგრძელა მუშაობა, როგორც ვითომდა რუსეთის წარმომადგენლობის თანამშრომელმა. ის ისევ დააპატიმრეს და ქუთაისის ციხეში მოათავსეს. მაგრამ იქ სულ რამდენიმე თვე გაატარა. თავისი აგენტის ჩავარდნა რომ შეიტყო, **კიროვმა** საქართველოს მთავრობას შემდეგი ოფიციალური ნოტა გაუგზავნა:

**„საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში რსფსრ-ის მუდმივი წარმომადგენლობის ხელთ არსებული ცნობებით, ქუთაისის ციხეში პატიმრობაში იმყოფებიან ნიკოლოზ ნოზაძე, ნოე თოდუა, გიორგი ჩუბინიძე, ბაგრატ ცომაია, ლავრენტი ბერია. ყველა მათგანს საქართველოს სამხედრო-საველე სასამართლომ თითქოსდა შეიარაღებული აჯანყების მზადებისთვის მიუსაჯა. რამდენადაც ზემოთ დასახელებულ მოქალაქეებს, როგორც რუსეთის ბოლშევიკური პარტიის წევრებს, რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული ხელშეკრულების მე-10 მუხლის საფუძველზე სასჯელისაგან გათავისუფლების უფლება აქვთ, რსფსრ-ის სრულუფლებიან წარმომადგენლობას არ შეუძლია, მათი შემდგომი პატიმრობა ხელშეკრულების დარღვევად არ განიხილოს“.**


**ბერიას მკვლელობიდან (1953 წლის ივნისი) სულ მალე ბაგიროვი, როგორც „ხალხის მტერ ბერიას ბანდის“ წევრი, დახვრიტეს.**

მოსკოვი. იანვარი 1934 წელი. ფოტოზე მარცხნიდან — ბაგიროვი, ბერია, ეჟოვი, ხანჯიანი, ეიხე

საქართველო-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების მე-10 პუნქტი საქართველოში ბოლშევიკთა საქმიანობის ლეგალიზებას ითვალისწინებდა, და თუმცა, ქუთაისის ციხის ტუსაღები მართლაც აწარმოებდნენ ძირგამომთხრელ მუშაობას, რესპუბლიკის მთავრობამ, რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭების თავიდან აცილების მიზნით, **ბერიას** და სხვების გამოშვება ბრძანა. **ბერიას** კვლავ შესთავაზეს საქართველოს დატოვება. ის ბადრაგით მიიყვანეს სადგურში და **ბაქოში** გაამგზავრეს. აქ კი მძაფრი დეტექტივი იწყება. **ბაქოს** ვაგზალში **ბერიას** ჩეკისტები აკავებენ და ციხეში აგდებენ. ბაქოს ЧК ვერ გაერკვა, თუ **ბერია,** როგორც გაშიფრული აგენტი, იზოლაციას ექვემდებარებოდა, ვერ ვიტყვით, მაგრამ **„ბოლშევიკთა კავკასიის კომიტეტის წარმომადგენელმა“** მხოლოდ საკანი გამოიცვალა. საქმე შეიძლება ტრაგიკულად დამთავრებულიყო — ЧК-ს სარდაფი ქუთაისის ციხე როდია! — აზერბაიჯანის ЧК-ს უფროსის მოადგილე **ჯაფარ ბაგიროვი** რომ არა. მან არა მარტო გაათავისუფლა ტუსაღი, არამედ იქვე დანიშნა ის ჯერ სამეურნეო ნაწილის გამგედ, მერე კი — თავის მოადგილედ. ასე დაიწყო № 1 ჩეკისტის თავბრუდამხვევი კარიერა.

იმ დღეებში, როდესაც **ბერია** ამიერკავკასიას ჩაუდგა სათავეში, **ბაგიროვი** აზერბაიჯანის ხელმძღვანელი იყო. მათ პირადი მეგობრობა აკავშირებდა. როდესაც **1953 წლის მარტში ბერიამ,** ფაქტობრივად, სრული ძალაუფლება მოიპოვა, მან **ბაგიროვი** სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმში (პოლიტბიუროში) წევრობის კანდიდატად შეიყვანა. **ბერიას** მკვლელობიდან (1953 წლის ივნისი) სულ მალე **ბაგიროვი,** როგორც **„ხალხის მტერ ბერიას ბანდის“** წევრი, დახვრიტეს.

2024 წლის 25 მარტი, №18 (254)

**სარედაქციო კოლეგია**

**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ფეისბუქი: **www. facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**




# შევარდნაძის საიდუმლო

დასაწყისი იხ. „ა–დ“. 2023 წლის №46–49, 51–52, 2024 წლის №1–13

***ალბათ, ბევრ ჩვენგანს სმენია — ისეთი განცდა მაქვს, საქართველოს ისევ შევარდნაძე მართავსო, ანუ 1972 წლიდან მოყოლებული, როდესაც შევარდნაძე საბჭოთა საქართველოს ლიდერი გახდა, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, საქართველოში ყველაფერი თითქოს სწორედ შევარდნაძის გარშემო ტრიალებს — მისი გარდაცვალებიდან ლამის ათწლეულის გასვლის შემდეგაც კი. ამიტომ იმის გააზრება, ამ 50 წლის განმავლობაში რა მოხდა, რა ხდება და რა მოხდება მომავალში, სწორედ „შევარდნაძის საიდუმლოს“ ამოხსნით თუ შეიძლება.***

## ედუარდ შევარდნაძე:
## წმინდა სამების ტაძრის მშენებლობის მთელი ტვირთი ბიძინა ივანიშვილმა საკუთარ თავზე აიღო!

**ედუარდ შევარდნაძე** თავის მემუარებში **თენგიზ აბულაძის** ეპოქალურ ფილმთან — **„მონანიებასთან“** დაკავშირებული ისტორიული პერიპეტიების გახსენების შემდეგ პირდაპირ ღმერთთან საკუთარი ურთიერთობის აღწერაზე გადადის. აკი, „მონანიების“ გადაღებაში შეტანილი წვლილის ხაზგასმისას ღიად აღნიშნა, რომ ეს მისი პირადი მონანიებაც იყო ღვთისა და ერის წინაშე.

ჰოდა, თავისი მემუარების მომდევნო თავსაც პირდაპირ ასე დაარქვა: **„გზა ღმერთისკენ“** და ფილმის ფინალური სცენა მოიშველია:

> ***„თენგიზ აბულაძის „მონანიება“, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა საზოგადოების ცნობიერებაზე, მეტად მნიშვნელოვანი, კონცეპტუალური ფრაზით მთავრდება: „რა საჭიროა გზა, რომელიც ტაძრამდე არ მიგვიყვანს?!“***
>
> *ერთი შეხედვით, თითქოს შიშველი მითითებაა, მაგრამ ათეისტურ საზოგადოებაში, ეტყობა, სწორედ ასე ხისტად უნდა დასმულიყო ეს კითხვა. უღმერთო ადამიანები უნდა ჩაფიქრებულიყვნენ არამარტო იმ გზაზე, რომელმაც ისინი ჩიხში შეიყვანა, არამედ უზენაესზეც, გზის დასაწყისშივე რომ უთხრეს უარი.*
>
> ***მეც ამ საზოგადოების ნაწილი ვიყავი. ათეისტი. ათეისტი იყო მამაჩემიც. დედაჩემი მორწმუნე გახლდათ, ჩუმად ლოცულობდა ხოლმე.***
>
> ***არ ვიტყვი, რომ მხოლოდ ამ ფილმის და ამ ფრაზის გამო — ალბათ, სხვა მიზეზებითაც, მოსკოვში ყოფნისას სერიოზულად დავფიქრდი იმაზე, რისთვის მოვედით ამქვეყნად და საით მივდივართ...“*** *(ე. შევარდნაძე, „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“, გვ.105).*

რა თქმა უნდა, სხვა ადამიანის ღმერთისკენ სავალი გზის შეფასება ერთობ დელიკატური საქმეა, რადგან ძალიან პირადული და ფაქიზი თემაა! თუმცა, რაკიღა შევარდნაძე თავის საღმრთო განცდებს საჯაროდ განიხილავს, ჩვენც დავსვათ ლოგიკური და ლეგიტიმური კითხვები.

ერთობ საგულისხმოა, რომ შევარდნაძე მხოლოდ მოსკოვში, ანუ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად გადასული დაფიქრდა ადამიანისა და უფლის საკრალურ ურთიერთობაზე, ზოგადად, ადამიანის რაობაზე. თუმცა, დასაკონკრეტებელია, ცხოვრების რომელ ეტაპზე ეწვია ჭმუნვა: როდესაც საბჭოთა იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო თუ, როდესაც თანამდებობიდან ხმაურიანი გადადგომის შემდეგ მოსკოვურ ბინაში ფიზიკურ უსაფრთხოებაზეც უნდა ეზრუნა? ისიც ცხადია, რომ პუტჩის დღეებში არც მისი დაპატიმრება გაუკვირდებოდა ვინმეს — აკი, მაშინ თვით **მიხეილ გორბაჩოვიც** გამოკეტეს ყირიმის აგარაკზე. თუმცა, შევარდნაძე ამ დეტალებს არ აკონკრეტებს და მოკლედ მოგვახსენებს — **მხოლოდ მოსკოვში დავფიქრდი, რატომ გავჩნდი ამქვეყნად და როგორია ჩემი გზა ღმერთისკენო?!**

ამის შემდეგ მემუარისტი ღმერთისკენ შემობრუნების დასტურად დასძენს:

> ***„საქართველოში რომ დავბრუნდი, პირველი, რაც გავაკეთე, მის უწმინდესობას, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს ვეახლე, მე მას დიდი ხანია, ვიცნობდი და დიდ პატივს ვცემდი.***
>
> ***კათოლიკოს-პატრიარქთან საუბარმა და შემდგომში მასთან შეხვედრებმა სხვა სიმშვიდე და სინათლე შემოიტანა ჩემს სულში. მოვინათლე კიდეც. ჩემი ნათლია ილია მეორე გახდა, ჩემი ნათლობის სახელი — გიორგი, სახელი, რომელიც ქართველებისთვის ბევრს ნიშნავს...***
>
> ***ვერ ვიტყვი, რომ ღრმად მორწმუნე გავხდი, მაგრამ სული ჩემი ისწრაფვის ღვთისკენ. მე მწამს და ეს სიმშვიდითა და რწმენით მავსებს“*** *(იქვე, გვ. 106).*

მემუარისტი კი ამბობს, პირველი, რაც საქართველოში დაბრუნებულმა გავაკეთე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ვეახლე და, ასე ვთქვათ, ღმერთისკენ შემოვბრუნდიო, მაგრამ პრინციპული მნიშვნელობისაა, გავიხსენოთ **„შევარდნაძის მეორედ მოსვლის“** ეს დეტალი:

პირველი, რაც მან 1992 წლის 7 მარტს — საკუთარი მეუღლის დაბადების დღეზე, ახლად ნაპუტჩარი თბილისის აეროპორტში, მოსკოვიდან ჩამოფრენილმა გააკეთა, იყო ის, რომ მასთან დასახვედრად გამოფენილ „წითელ ინტელიგენციას“ ტელეკამერების წინ საჯაროდ გადაუხადა მადლობა, იარაღი რომ აიღო ხელში „საქართველოს პროვინციული ფაშიზმისგან გასათავისუფლებლად“.

ცეკას პირველი მდივანი შევარდნაძე საბჭოთა საქართველოდან 1985 წელს გადავიდა მოსკოვში და 1992 წელს სულ სხვა საქართველოში დაბრუნდა — ქვეყანაში, სადაც მას უკვე აღარ ადგა თავზე ცეკას მდივნის ძლევამოსილების გვირგვინი. ის კი არა, აქ მასზე მეტი გავლენა არათუ **ჯაბა იოსელიანსა და თენგიზ კიტოვანს,** არამედ თბილისის კომენდანტ **გელა ლანჩავასაც** კი ჰქონდა... **ამიტომაც საჭირო იყო ხალხისათვის იმის დემონსტრირება, რომ ის ყავლგასული კომუნისტური იდეებით გაძეძგილი შევარდნაძე კი არა, პატრიარქის მიერ ხელდასხმული ღვთისმოსავი ედუარდ-გიორგი გახლდათ!**

ამის შემდეგ შევარდნაძე იხსენებს, **„ღვთისკენ სავალ გზაზე“** უკვე 1995 წელს პატრიარქთან ერთად როგორ გადაწყვეტს სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობას და სწორედ აქ ახსენებს პირველად **ბიძინა ივანიშვილს:**

> ***„გადავწყვიტე, დახმარებისთვის ქართველი ბიზნესმენებისთვის მიმემართა და მათთან საშუამავლოდ მაშინ საქართველოში ნაკლებად ცნობილ, მაგრამ რუსეთის მასშტაბით ერთ-ერთ წარმატებულ ქართველ ბანკირს ბიძინა ივანიშვილს მოვუხმე. ვთხოვე, იქნებ ორგანიზება გაუკეთოთ ქართველ ბიზნესმენებს, რათა ტაძრის აშენება ქართულმა ბიზნესმა ითავოს-მეთქი. ჩვენ საკმაოდ კარგი ურთიერთობა გვქონდა ერთმანეთთან და ამანაც მათქმევინა, მაგრამ რას ვიფიქრებდი, თუ ძირითად ტვირთს თავის თავზე სწორედ ის აიღებდა“*** *(იქვე, გვ. 106).*

როგორც მემუარისტი იხსენებს, ბიძინა ივანიშვილმა ამ შეთავაზებაზე ასე უპასუხა — **ორი დღე მადროვეთ, დავითვლი ყველაფერს და დაგირეკავთო:**

> *„მართლაც, ორ დღეში დამირეკა, მერე მოვიდა და მითხრა:* ***„მე დავაფინანსებ ტაძრის მშენებლობას, დაფინანსება კი იმაზე მეტი იქნება, ვიდრე გგონიათ“.*** *მართლაც, ათეულობით მილიონზე მეტი დაჯდა.*
>
> ***ეს ამბავი მაშინ არ გახმაურებულა, რადგან ბიძინა ივანიშვილი იმ ქართველი მეცენატების ტრადიციას აგრძელებს*** *(სარაჯიშვილი, ძმები ზუბალაშვილები, ხოშტარია, ლაღიძე),* ***რომლებიც ჩუმად და უხმაუროდ ეხმარებოდნენ ქართულ კულტურას და მის მოღვაწეებს“*** *(იქვე, გვ. 106).*

და ამ ამბავს **შევარდნაძე** ასრულებს იმის გახსენებით, როგორ დაესწრო უკვე „ვარდების რევოლუციით“ განდევნილი სამების ტაძრის საზეიმო გახსნას:

> ***„2004 წლის 23 ნოემბერს სამების ტაძარი საზეიმოდ გაიხსნა. მე ვიდექი მრევლს შორის და ვგრძნობდი იმ სულიერ სიმშვიდეს, რომელიც ჩვეულებრივი მოკვდავისთვის მხოლოდ ღმერთთან მიახლოებას მოაქვს.***
>
> ***ვიდექი და ვლოცულობდი ჩემი ოჯახისთვის, ჩემი შვილებისა და შვილიშვილებისთვის, ჩემი ქვეყნისთვის. ნანული ელოდა ამ დღეს და ვერ მოესწრო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული“*** *(იქვე, გვ. 108).*



***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***

*2024 წლის 31 მარტს ზვიად გამსახურდია 85 წლის გახდებოდა. 31 წელი გადის და მისი მკვლელობა არ გახსნილა. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ* ***იგორ კვესელავას*** *მიაჩნია, რომ იმ 4-5-საათიან მონაკვეთში, რომელიც პრეზიდენტისა და მისი ამალის ჯიხაშკარიდან ხიბულამდე გადაადგილებას დასჭირდა, კარლო ღურწკაიას სახლი მკვლელობისათვის სათანადოდ მოამზადეს:*



***იგორ კვესელავა:***

# «ავთო მარგიანმა ყველაფერი იცის!»

## შევარდნაძე ზვიად გამსახურდიას მკვლელობას არა – საახალწლოდ, არამედ 1993 წლის 15 ან 16 დეკემბერს გეგმავდა!

— დავიწყოთ იმით, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა დაიგეგმა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ის ხელისუფლებაში მოვიდა. პირველ პრეზიდენტს თავი არ მოუკლავს, ის მოკლეს და ამისათვის მიზანმიმართულად მიიყვანეს ძველ ხიბულაში, კარლო ღურწკაიას ოჯახში, სადაც დაგეგმილი სპეცოპერაცია წარმატებით დაასრულეს. თუმცა, არაპროფესიონალიზმის გამო, მკვლელებმა მცირე ხნით დაკარგეს პრეზიდენტის გვამი, რასაც შევარდნაძის გარემოცვაში დიდი პანიკა და გარჩევები მოჰყვა. 1991 წლის 29 ოქტომბერს, პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში გამარჯვებიდან მეორე დღეს, როცა მთავრობის სასახლის წინ ზვიად გამსახურდია ქართველი ხალხის წინაშე მადლობის გადასახდელად გამოვიდა, ჯაბა იოსელიანის „მხედრიონისა“ და გიორგი ჭანტურიას ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრები მის მოკვლას შეეცადნენ. მოხდა გასროლა... ხალხი ზვიად გამსახურდიას გადაეფარა და ბანდიტები მიტინგიდან გააძევა. იმ დღიდან მოყოლებული ზვიადის მკვლელობა გარკვეული ჯგუფის ოცნებად იქცა. პრეზიდენტი ჯერ კიდევ თბილისში იყო და მთავრობის სასახლეს ზარბაზნებს უშენდნენ, როცა ე.წ. სამხედრო საბჭომ და მისმა გენერალურმა პროკურორმა **ვახტანგ რაზმაძემ** 1993 წლის 4 იანვარს ზვიად გამსახურდიასა და მისი მომხრეების წინააღმდეგ უმძიმესი ბრალდებებით სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. რაზმაძემ ზვიადის წინააღმდეგ საქმეში ჩართო 62 მოქმედი პროკურორი. მათ შორის, განსაკუთრებით აქტიურობდა **ვაჟა შენგელია,** რომელიც ზვიად გამსახურდიას ზუსტად იმ ბრალდებებს უყენებდა, რაც ტორეზ კულუმბეგოვს ჰქონდა წაყენებული — **„საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა“ და „ქართველთა და ოსთა შორის შუღლის ჩამოგდება“.**

ვახტანგ რაზმაძემ ზვიად გამსახურდიას 9 ბრალდება წაუყენა, რომელიც შევარდნაძემ 13 „ბრალდებამდე“ აიყვანა. ერთ-ერთი ბრალდების თანახმად, ზვიად გამსახურდიამ დახოცა რუსი ჯარისკაცები, რომლებიც ე.წ. ოპოზიციის მხარდამხარ მთავრობის სასახლეზე შტურმს ახორციელებდნენ და საბრძოლო ოპერაციებში ღებულობდნენ მონაწილეობას. მოკლედ, ხუნტამ და მისმა მამამთავარმა შევარდნაძემ, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო თბილისში ჩამოსული, დაიწყეს იდეოლოგიურ-სამართლებრივი ნიადაგის შემზადება ზვიად გამსახურდიას, როგორც „სამშობლოს მოღალატის“, „ხალხის მტრისა“ და „ბანდიტის“ მოსაკლავად. არ დაგვავიწყდეს, რომ **თენგიზ სიგუა** ზვიად გამსახურდიას საქართველოდან 40 კილოგრამი ოქროს გატაცებას აბრალებდა. ცოტა ხანში ეს 40 კილოგრამი ოქრო ჩამოიყვანეს 4 კილოგრამამდე, ხოლო ბოლოს ეს ბრალდება საერთოდ გააქრეს.

**— კიდევ რა ხერხებს მიმართავდნენ შევარდნაძე და მისი ხელქვეითები ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის მიზნით?**

— ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამართლება უბინძურესი მეთოდებით სცადა ტელეკომპანია „იბერვიზიამ“, რომლის ერთ-ერთი ჟურნალისტი მაშინ გამოვიდა და თქვა — ზვიადმა ჩეჩნეთში ალაჰი აღიარა და კუბოში ფეხსაცმლის გარეშე იმიტომაც ჩაასვენესო. ეს და მსგავსი ტექსტები შევარდნაძესთან იყო შეთანხმებული, რათა საზოგადოებაში ზვიად გამსახურდიას მისამართით აგრესია გამოეწვიათ და ხალხს ეთქვა — „ღირსი იყო, რჯული შეიცვალა, მოღალატე იყოო!“

რაზმაძის პროკურატურამ ზვიად გამსახურდიას დაპატიმრება შინაგან საქმეთა მინისტრის მაშინდელ მოადგილეს **მერაბ რაფავას** დაავალა, რომელმაც ამ დავალების შესრულებაზე უარი თქვა. რაფავა ამის გამო გაათავისუფლეს.



ედუარდ შევარდნაძე აფხაზეთში ქართველ მებრძოლებთან შეხვედრისას. 1993 წელი

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის თარიღის შესახებ ერთიანი აზრი არ არსებობს. ზოგი მიიჩნევს, რომ ის 1993 წლის 28 დეკემბერს მოკლეს, სხვა ვერსიით, პრეზიდენტი 29 დეკემბერს არის ლიკვიდირებული, ხოლო ზოგი — 30 და 31 დეკემბერზე აკეთებს აქცენტს. პირველი პრეზიდენტის მკვლელობის შესახებ ხელისუფლებას ოფიციალურად ჯერ არაფერი უთქვამს. ჩვენ თუ რამე ვიცით, მხოლოდ არაოფიციალური და მეტად სანდო წყაროებიდან, რომლის თანახმადაც ზვიად გამსახურდია მოკლულია და მკვლელობაში ფიგურირებს ორი იარაღი, რომელთაგან ერთი დაკარგულია. შევარდნაძემ ზვიად გამსახურდიას მოსაკლავად რამდენიმე ფრონტი გახსნა.

**— დააკონკრეტეთ!**

— შევარდნაძემ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა დაავალა როგორც უშიშროების სპეცრაზმ „ალფას“, ისე შინაგან საქმეთა სამინისტროს, **გია ჭანტურიასა** და მის დაჯგუფებას, „მხედრიონს“ და რუსულ სპეცრაზმს. პარალელურად, ედუარდმა ომი დაიწყო აფხაზეთში... კატეგორიულად ვაცხადებ — **შევარდნაძემ აფხაზეთის ომი ზვიადისტური მოძრაობის ჩასახშობად და ზვიადის მკვლელობის გადასაფარად წამოიწყო!** უფრო მეტიც, იმ ადამიანებს შორის, რომლებიც პირველ პრეზიდენტთან გროზნოში ჩადიოდნენ და საქართველოში დაბრუნებას ურჩევდნენ, ნახევარზე მეტი შევარდნაძესთან და მის სპეცსამსახურებთან იყო დაკავშირებული.

ედუარდმა ძალიან კარგად იცოდა, რომ ისეთი პატრიოტი, როგორიც ზვიადი იყო, სამშობლოს დაქცევას მაყურებლის როლში ვერ დაელოდებოდა და, ადრე თუ გვიან, გროზნოდან დაბრუნდებოდა. შევარდნაძე ამ ანგარიშში არ მოტყუებულა — 1993 წლის 24 სექტემბერს ზვიად გამსახურდია საქართველოში მართლაც ჩამოვიდა და მის მოსაკლავად დაგეგმილი სპეცოპერაცია, რომელიც დროში საშინლად გაიწელა, გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. შევარდნაძემ ზვიად გამსახურდიას მეთვალყურედ ქალებიც მიუჩინა...

**— რას გულისხმობთ?**

— ის ორი ქალი, რომელიც სამეგრელოს სოფლებში ზვიად გამსახურდიას ამალას დაჰყვებოდა, მომზადებული იყო სპეცრაზმ „ალფას“ მიერ და მისი ადგილსამყოფლის შესახებ უშიშროებას აწვდიდა ინფორმაციას. მათ საერთო ენა გამონახეს **რობიზონ მარგველანთან** და სოფელ ჯიხაშკარში, ჯონსონ კვარაცხელიას ოჯახში პრეზიდენტის სტუმრობისას, სახლის გვერდით დაბინავდნენ. იქვე იმყოფებოდა უშიშროების მოქმედი თანამშრომელი **გია მხეიძე,** რომელიც უსათუოდ მონაწილეობდა სპეცოპერაციაში. ჩემი ინფორმაციით, ეს კაცი დღეს სამშენებლო ბიზნესშია, „ქართული ოცნების“ გვერდით დგას და კაციშვილი არაფერს ეკითხება.

შევარდნაძე ზვიად გამსახურდიას მკვლელობას — არა საახალწლოდ, არამედ გაცილებით ადრე, დაახლოებით, 1993 წლის 15 ან 16 დეკემბერს გეგმავდა და ეს მოხდებოდა კიდეც ჯონსონ კვარაცხელიას სახლში, რომ არა ერთი შემთხვევა. ცნობილია, რომ **ჯონსონ კვარაცხელიას** სახლი ყველასაგან მოფარებული, განმარტოებული და ტყის პირას მდგომი შენობაა. პრეზიდენტი კვარაცხელიების ოჯახმა მაშინ ნათესავის ორმოცის თუ რაღაც მსგავსი მიზეზის გამო ვერ მიიღო. ზვიად გამსახურდია ჯონსონ კვარაცხელიასთან გვიან მიიყვანეს, რამაც უშიშროების გეგმები არია. გარდა ამისა, შევარდნაძის გარემოცვაში დიდი არეულობა შეიტანა იმ ფაქტმაც, რომ ოჯახი აღმოჩნდა უწესიერესი და ზვიად გამსახურდიას მოყვარული. ამის გამო ჯონსონ კვარაცხელიას ოჯახმა უშიშროებასთან თანამშრომლობაზე კატეგორიული უარი თქვა და მუქარის მიუხედავად, არ გაიყიდა!

**— თქვენ ამბობთ, რომ ოჯახის დაყოლიების გარეშე ზვიად გამსახურდიას მკვლელო-**



## „კატეგორიულად ვაცხადებ:

**შევარდნაძემ აფხაზეთის ომი ზვიადისტური მოძრაობის ჩასახშობად და ზვიადის მკვლელობის გადასაფარად წამოიწყო!“**

ზვიად გამსახურდია ოჩამჩირის სამხედრო შტაბში. 1993 წელი

**ბა კარლო ღურწკაიას სახლში ვერ მოხდებოდა?**

— ვერ მოხდებოდა! ეს ამ საქმეში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. აქვე შეიძლება იმის თქმა, რომ **იმ დღეებში, როცა ზვიად გამსახურდია კარლო ღურწკაიას ოჯახში მიიყვანეს, საერთოდ გაქრა და ხმას არ იღებდა ქალი, რომელიც ოჯახს ჰყავდა. არსად ჩანდა ოჯახის შვილი — 19 წლის ბიჭი.**

**— ძალიან სერიოზულად ამტკიცებენ იმასაც, რომ ზვიად გამსახურდია ჯიხაშკარიდან ხიბულისკენ მიმავალ გზაზე მოკლეს და ღურწკაიებთან პრეზიდენტის ცხედარი მიიტანეს!**

— ამ ვერსიას ნაწილობრივ იზიარებს ბატონი **კონსტანტინე ზ. გამსახურდია,** მაგრამ მე გამოვრიცხავ! გამოვრიცხავ იმასაც, რაც უშიშროების ერთ-ერთმა აგენტმა, თუ არ ვცდები, გვარად გიორგაძემ, მამა **ბასილ მკალავიშვილს** ციხეში ყოფნისას უთხრა — ზვიად გამსახურდია გზაში მოიტაცეს, თბილისში ჩამოიყვანეს, თვითმფრინავში შევარდნაძის თვალწინ აწამეს და მერე მკვდარი სამეგრელოში ჩაიყვანესო! ამ ხმებს შევარდნაძის დავალებით ავრცელებდა უშიშროება, რათა ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეში კიდევ უფრო მეტი ბურუსი და გაურკვევლობა შეეტანა. ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შესახებ ყველაფერი იცოდნენ: გენერალმა **გია გულუამ,** გენერალმა **შოთა კვირაიამ,** გენერალმა **ავთო იოსელიანმა,** გენერალმა **თამაზ ნინუამ,** გენერალმა **იგორ გიორგაძემ** და, სავარაუდოდ, **გია ჭანტურიამაც.** სუყველა ეს პიროვნება, გარდა **იგორ გიორგაძისა,** ედუარდ შევარდნაძისა და მისი უახლოესი გარემოცვის მიერ არის მოკლული!

**— ავთო მარგიანმა არ იცის, ვინ მოკლა ზვიად გამსახურდია?**

— **ავთო მარგიანმა** ყველაფერი იცის! უფრო მეტიც, **ავთო მარგიანმა** არათუ ყველაფერი იცის პირველი პრეზიდენტის მკვლელობის შესახებ, არამედ ის შევარდნაძემ ამ სპეცოპერაციის კურატორადაც კი დანიშნა! მე თქვენ ადრე გითხარით, რომ 1993 წლის 31 დეკემბრის ღამეს, როცა პროფესორი **ლევან სანიკიძე** შევარდნაძეს სახლში სტუმრობდა, დარეკა ტელეფონმა. როგორც ლევან სანიკიძემ მიამბო, მან ყურმილიდან ამოიცნო **ავთო მარგიანის** ხმა, რომელმაც შევარდნაძეს რაღაც უთხრა და იმის შემდეგ ედუარდი, რომელიც იყო საშინლად მოწყენილი, დადგა ძალიან კარგ ხასიათზე. **თქმა არ უნდა, რომ ავთანდილ მარგიანმა შევარდნაძეს პატაკი ჩააბარა და მოახსენა, რომ ზვიადის პრობლემა „მოგვარებული“ იყო, ანუ პრეზიდენტი მოკლეს!**

ერთ-ერთ სუფრასთან ავთო მარგიანის გვერდით მოვხვდი და ვკითხე: თქვენს ნათესავს — რობიზონ მარგველანს რომ ქურთუკი აჩუქეთ, იმ ქურთუკში მოსასმენი აპარატურა თუ იყო ჩამონტაჟებული-მეთქი? ამაზე **ავთო მარგიანმა** ისეთი ღიმილით მიპასუხა, თითქოს მეკითხებოდა — **რა სისულელეს ლაპარაკობ, აბა, რას ვიზამდით, ქურთუკს ტყუილად ხომ არ ვაჩუქებდითო?!** სხვათაშორის, მაშინ **ავთო მარგიანმა** რობიზონ მარგველანზე მითხრა — რობიზონი ჩემი კი არა, ჩემი ცოლის ნათესავიაო! ავთო მარგიანი დღეს იმიტომ არის ცუდად და არ მოეკითხება ჭკუა, რომ პრეზიდენტის მკვლელობაში პირდაპირ არის გარეული! არ გამოვრიცხავ, შევარდნაძის თანაგუნდელებმა, რომლებიც პირველი პრეზიდენტის მკვლელობაში მონაწილეობდნენ, ავთანდილ მარგიანს რამე დაალევინეს და გონებრივად გათიშეს, რათა სიბერეში ზვიად გამსახურდიას მკვლელები არ დაესახელებინა!

**— თქვენ ამბობთ, რომ მარგველანმა შესაძლოა, იცოდა, რომ მარგიანის ნაჩუქარ ქურთუკში მოსასმენი იყო ჩაყენებული?**

— არა, მაგას არ ვიტყვი, სანამ უტყუარი მტკიცებულება არ მექნება. მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ **ავთანდილ მარგიანმა,** ფაქტობრივად, დამიდასტურა, რომ ქურთუკში მოსასმენი აპარატურა იყო! ანუ უშიშროებამ ზვიად გამსახურდიას თითოეული ნაბიჯი ზედმიწევნით იცოდა! უფრო მეტიც, შევარდნაძის სამსახურში მყოფ მკვლელთა ბრიგადების მიერ სამეგრელოს სოფლებში ზვიად გამსახურდიას დევნისას ხშირად კონკრეტულ ოჯახში თავშეფარებულ პრეზიდენტსა და მის მხლებლებს ვიღაც სასწრაფოდ ატყობინებდა, რომ, თუ სასწრაფოდ არ გაიქცეოდნენ, მდევრები წუთი-წუთზე დაეცემოდნენ ოჯახს. საცოდავი ზვიადი თავის ამალასთან ერთად აიყრებოდა და იმ კუნაპეტსა და ყინვაში დაადგებოდა გზას. მდევრები მართლაც მალე ჩნდებოდნენ და იწყებოდა ოჯახის აწიოკება. ამას უშიშროება სპეციალურად აკეთებდა. ის ოჯახები, სადაც ზვიადი აფარებდა თავს, არაერთხელ იყო გარშემორტყმული სპეცრაზმელებით, რათა საქართველოს პირველი პრეზიდენტი სასოწარკვეთამდე მიეყვანათ და თავი მოეკვლევინებინათ. რაკი ზვიადმა ეს არ გააკეთა, მიიყვანეს იქ, სადაც ეს ბოროტი ჩანაფიქრი უნდა აღესრულებინათ.

**— მაინც ვინ მოკლა ზვიად გამსახურდია? სად იკარგება და რატომ არის ყველანაირი ლოგიკიდან ამოვარდნილი ჯიხაშკარიდან ძველ ხიბულამდე საეჭვოდ გაწელილი გზის 4-5-საათიანი მონაკვეთი, როცა პრეზიდენტი და მისი ამალა მანქანით გადაადგილდებოდნენ?**

— საგანგებო თათბირზე, როცა ზვიად გამსახურდიას მკვლელობას უყარეს კენჭი, **ძმებმა სარიებმა** ხელი ასწიეს და ამ ჩანაფიქრის აღსრულებას დათანხმდნენ. ზვიად გამსახურდიას მკვლელობაში გადახდილია დიდი ფული! **ბადრი ზარანდია,** რომელიც ასევე ძალიან საეჭვო ვითარებაში მოკლეს, დაკავშირებული იყო სპეცსამსახურთან... მიმაჩნია, რომ იმ 4-5-საათიან მონაკვეთში, რომელიც პრეზიდენტისა და მისი ამალის ჯიხაშკარიდან ხიბულამდე გადაადგილებაში საეჭვოდ გაგრძელდა, კარლო ღურწკაიას სახლი პრეზიდენტის მკვლელობისთვის სათანადოდ მოამზადეს!

**— რას ნიშნავს მოამზადეს?**

— არ გამოვრიცხავ, ამ ხნის განმავლობაში მკვლელი სხვენშიც კი აიყვანეს, რომელიც მარჯვე დროს უცდიდა... ისიც დასაშვებია, რომ პრეზიდენტს ფანჯრიდან ესროლეს, რადგან მისი საწოლი რატომღაც მაინცდამაინც ფანჯარასთან იდგა. ვერავინ გადამარწმუნებს იმაში, რომ იმ ღამეს **რობიზინ მარგველანს, ბაჩუკი გვანცელაძესა** და სხვებს იქ არ დაულევიათ და არ ეძინათ. დიახ, ყველაზე უკეთეს შემთხვევაში მათ ეძინათ და როცა ხმაურზე ფეხზე წამოცვივდნენ, უკვე ყველაფერი დამთავრებული იყო. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ისინი ჩააძინეს. **სად წავიდა ფული, რომელიც ზვიადს ჰქონდა? ფაქტია — დუდაევმა ზვიადს დიდძალი ფული მისცა, რომელიც პრეზიდენტს თან ჰქონდა!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

**„არ გამოვრიცხავ, შევარდნაძის თანაგუნდელებმა, რომლებიც პირველი პრეზიდენტის მკვლელობაში მონაწილეობდნენ, ავთანდილ მარგიანს რამე დაალევინეს და გონებრივად გათიშეს, რათა სიბერეში ზვიად გამსახურდიას მკვლელები არ დაესახელებინა!“**



# „ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შესახებ ყველაფერი იცოდნენ:

## გენერალმა გია გულუამ, გენერალმა შოთა კვირაიამ, გენერალმა ავთო იოსელიანმა, გენერალმა თამაზ ნინუამ, გენერალმა იგორ გიორგაძემ და, სავარაუდოდ, გია ჭანტურიამაც!“






გია გულუა, შოთა კვირაია, ავთანდილ იოსელიანი, თამაზ ნინუა



იგორ გიორგაძე

გია ჭანტურია და ზვიად გამსახურდია



# ირაკლი წერეთელი:

# მერაბ კოსტავას რუსუდან ბერიძე მიბეგვილი თუ ჰყავს, ახი ყოფილა მაგაზე!

## „ისე, შეშინებული კი ვარ, ჩემმა პირველმა ცოლმა, რუსუდან ბერიძის მსგავსად, რამე სიბინძურეები არ მომიგონოს!“



***ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი და „საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის“ თავმჯდომარე ირაკლი წერეთელი 31 მარტს — საქართველოს პირველი პრეზიდენტის დაბადების დღეს ეხმიანება და ზვიად გამსახურდიას იხსენებს:***

— „საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის“ საქმიანობა დიდი ხანია, შევაჩერე, რადგან პარტია არაფრის მაქნისი გახდა. ნუ გენანებათ ჩემთვის ეს სტატუსი — **მე ვარ საქართველოს დიდი ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ცენტრალური ლიდერი მერაბ კოსტავასთან, ზვიად გამსახურდიასთან, გიორგი ჭანტურიასთან და ირაკლი ბათიაშვილთან ერთად!**

**— თქვენ კი გგონიათ საკუთარი თავი ლიდერი, მაგრამ სტაჟიანი თაღლითი მამუკა ხაზარაძე აცხადებს — ახალი ეროვნული მოძრაობა უნდა დავიწყო და ლიდერი მე ვიქნებიო!**

— **მამუკა ხაზარაძის** გულისთვის რამდენჯერმე გაწყენინეთ, რის გამოც რესტორანს ვიკისრებ და სიყვარულში ბოდიშს მოგიხდით! ისე, პოლიტიკას კაცისთვის ისეთი ზიანი მოეტანოს, როგორც **მამუკა ხაზარაძეს** აწყინა და ავნო, იშვიათია. კაცისაგან, რომელიც იყო სოლიდური და გავლენიანი ბიზნესმენი, მივიღეთ საღ ჭკუა-გონებაზე ვერმყოფი ადამიანი. იგი ან დიდმა ფულმა გააგიჟა, ანდა — პოლიტიკამ! **ხაზარაძემ რომელი ეროვნული მოძრაობა უნდა დაიწყოს? საქართველოში ეროვნული მოძრაობა დამთავრდა მას შემდეგ, რაც ზვიად გამსახურდიამ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა!**

**— რომ იცოდეთ, სწორედ ხაზარაძე აფინანსებს ლგბტ პროპაგანდას და სხვა გეი-პარტიებთან ერთად 2021 წლის მაისში ხელი მოაწერა ლგბტ მანიფესტს. მეტი რაღა უნდა ჩაიდინოს?**

— ცნება **ლგბტ**-ს არ ვცნობ, მე ვიცი, რომ მაგათ ჰქვიათ პედორასტები **(ცენზურა ყველგან ჩვენია. რედ.)** და ლესბიანკები და მათი დამფინანსებლები ჩემთვის აბსოლუტურად ერთი და იგივეა. ისე კი, თუ ეგ პედორასტებსა და ლესბიანკებს აფინანსებს, ვერ დამართნია კარგი ამბავი. ერთი რამ ვიცი ზუსტად — მამუკა ხაზარაძესა და მთელ ოპოზიციას არჩევნებში ძალიან დიდი იმედგაცრუება ელით!

**— ამას რის საფუძველზე აცხადებთ?**

— დღეს ამერიკაში მოქმედ ერთ-ერთ გავლენიან არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომელიც შეერთებული შტატების სპეცსამსახურებთან არის დაკავშირებული, მუშაობს ქართველი, რომლის ამერიკაში გაგზავნაშიც ჩემი წვლილი დიდია. ეს ბიჭი ხანდახან მიკავშირდება და საინტერესო რაღაცებს მეუბნება. აი, მაგალითად, 2024 წლის 12 მარტს ამერიკის სპეცსამსახურების დაკვეთით იმ ქართველი ბიჭის არასამთავრობო ორგანიზაციამ საქართველოში გამოიკვლია პარტიების რეიტინგი, ფარულად გამოჰკითხა 27 ათას 852 კაცი და სასწაული შედეგები დააფიქსირა: ამომრჩევლის 32 პროცენტი საერთოდ არავის აძლევს ხმას; 43 პროცენტი მხარს უჭერს „ქართულ ოცნებას“; 17 პროცენტი — ნაცმოძრაობას, ხოლო დანარჩენი 8 პროცენტი არის მთელი ოპოზიცია ერთად აღებული!

**— 31 მარტს ზვიად გამსახურდია 85 წლის გახდებოდა, ამის შესახებ რას იტყვით?**

### – 31 მარტი საქართველოში საერთო ეროვნულ დღესასწაულად – „ზვიადობად“ უნდა გამოცხადდეს!

მთელ საქართველოს ვულოცავ საქართველოს ერთადერთი ლეგიტიმური პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეს! ცოცხალი რომ იყოს, მაგარი ძმაკაცები ვიქნებოდით!

**— ზუგდიდში ბოლოს თქვენ და ზვიადი ერთმანეთს როგორ დაშორდით?**

— ძალიან კარგად და თბილად დავშორდით! მომერიდა ზვიადთან მისვლა, რადგან ვგრძნობდი, რომ თავის დროზე რაღაც-რაღაცები ცოტა ზედმეტი მომივიდა. ზვიადმა თვითონ ჩამიხუტა და სხვების გასაგონად თქვა — ჩემი დაკარგული ცხვარი ვიპოვე!

**— ვგონებ, რაც დრო გადის და ასაკი გემატებათ, მოვლენებს სხვანაირად აფასებთ...**

— ზვიად გამსახურდიასთანა წესიერი, პატრიოტი, განათლებული და სამშობლოსათვის გულანთებული ხელისუფალი საქართველოს ჯერ არ ჰყოლია! სხვათაშორის, ზემოთ ნახსენები ამერიკის სპეცსამსახურებისთვის ჩატარებული საიდუმლო გამოკითხვის მიხედვით, **ზვიად გამსახურდიას საქართველოში გევრად მაღალი რეიტინგი აქვს, ვიდრე ერთად აღებულ ყველა ცოცხალ პოლიტიკოსს!**

**— თუ მამუკა ხაზარაძე, გახარია, მელია, გვარამია და სხვები პარლამენტში ვერ შევლენ, ისევ კივილ-წივილი ატყდება?**

— არაფერიც არ მოხდება, გაილახებიან და წავლენ სახლში! აქამდეც სულ წივილ-კივილი არ ჰქონდათ?! სხვა რა იციან?

**— ზვიად გამსახურდია მოკლეს თუ თავი მოიკლა?**

— მგონი, ამ საკითხს **კონსტანტინე გამსახურდია** იძიებდა. ცოტა ხნის წინათ **ლეილა ცომაიას** სქელტანიან წიგნს ვკითხულობდი — **„პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა“**, რომელშიც შემზარავი ფაქტებია მოტანილი. ბალტინის ჯარები და შევარდნაძის სპეცსამსახურები ისე დაგეშილი ძაღლებივით დასდევდნენ ზვიადს, არ გამოვრიცხავ მოეკლათ! თუ მოკლეს, ეს შევარდნაძის გარეშე ვერ მოხდებოდა! ზვიად გამსახურდიამ შევარდნაძე ბოლომდე გააშიშვლა. ამერიკამ იმოქმედა პრაგმატული პოლიტიკადან გამომდინარე და კიტოვანისა და იოსელიანის ფონზე შე-


მერაბ კოსტავას მეუღლის უცნობი დღიურები

ჩემი დაჭრის საქმე, გვიან დიდი რიდუნების შედეგად, ჩაიფარცხა, დაკმაყოფილდნენ ჩემი ჩვენებით, რომ ფანჯარს ვთლიდი (!) დანით და დანა მკერდში მომხვდა!

„ა-დ“. 2024 წლის №10-13

მე ძალიან მინდა, მამა-შვილს კარგი ურთიერთობა ჰქონდეს. ვცდილობ, მერაბის უყურადღებობა ირაკლის მიმართ შევარბილო...

მერაბ კოსტავა შვილთან – ირაკლისთან ერთად. 1971 წელი

დასაწყისი 26-ე გვერდზე

მერაბი როცა გამოფხიზლდა, მართლაც ცუდად იყო. თავის მოკვლის მცდელობაც კი ჰქონდა!

ვერ ვიგებდი, ვერ ვეგუებოდი, რომ მერაბმა სრულიად უდანაშაულოდ, ფაქტიურად სასიკვდილოდ გამიმეტა!

## „დიდი ადამიანების გარემოცვაში სუკი თავის აგენტებს ნერგავდა და გამონაკლისი ამ მხრივ არც რუსუდან ბერიძე ყოფილა!“

## კვირგვინოსნები

**ვლადიმერ გაბისკირია**
*საქართველოს ეროვნული გმირის გურამ გაბისკირიას ვაჟი*



როდესაც მამას **დაუყვირეს — დაიჩოქეო,** იცით, რა ამაყად უპასუხა: **არასოდეს, სანამ ცოცხალი ვარ!** ჩემი თაობა თუ ვერ მოესწრება, **მომავალი თაობა მაინც იხილავს აფხაზეთს ისევ საქართველოს შემადგენლობაში.**

„კვირის პალიტრა“

**ირაკლი გოგავა**
*პოლიტოლოგი, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი*



მივმართავ თბილისის საკრებულოს, ყველა თბილისელს, ვინც არის ამ საკითხით დაინტერესებული, რომ **ჯონ მაკ-კეინის ქუჩას,** რომელსაც მხოლოდ ნეგატიური გავლენა აქვს საქართველოს რეალობასა და ბედზე, გადავარქვათ სახელი და **დავარქვათ ლევან თედიაშვილის ქუჩა. ჯონ მაკკეინის ქუჩა საქართველოში არ უნდა იყოს.** ეს არის კაცი, რომლის გამო 2008 წელს 8 აგვისტოს **სააკაშვილმა** შეგვაჯახა რუსეთს.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**დათო მაღრაძე**
*პოეტი*



თუ ოპოზიციას **რევოლუციურ სცენარში** მხარდამჭერი არ ეყოლება უცხოეთში, **არჩევნები სრულ სიმშვიდეში ჩაივლის.** ამომრჩეველს უდგას არჩევანი **სუვერენიტეტსა და ვასალობას შორის,** მე, **დათო მაღრაძე,** ხმას ვაძლევ საქართველოს სუვერენიტეტს.

„კვირის პალიტრა“

**ლადო პაპავა**
*აკადემიკოსი*



ხვალ რომ არჩევნები იმართებოდეს, **„ქართული ოცნება“ უპირობოდ გამარჯვებულია,** რაც ქვეყნისთვის მთლად კარგი არ არის, რადგან **ყოველთვის საჭიროა ძლიერი და, რაც მთავარია, კონსტრუქციული ოპოზიცია,** რომელიც, სამწუხაროდ, არ გვყავს.

„კვირის პალიტრა“

# „2024 წლის 12 მარტს ამერიკელების დაკვეთით ჩატარებულმა საიდუმლო გამოკვლევამ აჩვენა, რომ ზვიად გამსახურდიას საქართველოში ბევრად მეტი რეიტინგი აქვს, ვიდრე ერთად აღებულ ყველა ცოცხალ პოლიტიკოსს!“



ვარდნაძეს დაუჭირა მხარი! თანაც, იმხანად ამერიკა საქართველოში ასე ღრმად არ იყო შემოსული. ერთიც გვახსოვდეს — ამერიკაში ამ ბოლო დროს ტრამპმა გამოანათა, თორემ რეიგანებისა და ეიზენჰაუერების გმირული ეპოქა, როგორც ჩანს, დასრულდა.

**— საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებაზე რას იტყვით?**

— **ირაკლი ღარიბაშვილი** არ უნდა წასულიყო! სხვა თუ არაფერი, ამ საყოველთაო ღვთისმგმობელობისა და უბედურების ეპოქაში ეს კაცი გამოვიდა და თქვა, რომ ქორწინება და ოჯახი იყო მხოლოდ ქალისა და მამაკაცის ერთობა. მაგრამ რომ ვაკვირდები, **ირაკლი კობახიძე** ძალიან ნიჭიერი კაცია. ისე კარგად მიჰყავს საქმე, **იენს სტოლტენბერგს** უფრო მეტი ათქმევინა საქართველოს ნატოში გაწევრიანებზე, ვიდრე თვითონ ილაპარაკა.

**— „ასავალ-დასავალში“ მერაბ კოსტავას მეუღლის — რუსუდან ბერიძის მემუარები ქვეყნდება, რას იტყვით?**

— მე და ჩემი მეუღლე ძალიან უარყოფითად ვაფასებთ ამ ყველაფერს! რუსუდანისადმი ლექსი მაქვს მიძღვნილი და სულ ხაზს ვუსვამდი, რომ მას მერაბისადმი დიდი სიყვარული ჰქონდა. რაც მახსოვს, რუსუდანი მერაბს სულ აქებდა და ეს სიბინძურე რამ დააწერინა? ძალიან ვარ გაბრაზებული. ამით რუსუდან ბერიძე მერაბს ვერაფერს დააკლებს. **ისე, შეშინებული კი ვარ, ჩემმა პირველმა ცოლმა, რუსუდან ბერიძის მსგავსად, რამე სიბინძურეები არ მომიგონოს!** *(იცინის)*

მერაბი ქალებთან დამოკიდებულებაში ყოველთვის რაინდი იყო, მაგრამ რუსუდან ბერიძე თუ მიბეგვილი ჰყავს, ახი ყოფილა მაგაზე! მეტი საქმე არა მაქვს, მერაბ კოსტავას სიდიადეში იოტისოდენა ეჭვი შევიტანო და რუსუდან ბერიძის მიერ დაწერილი სიბინძურე ვირწმუნო! ძალიან ცუდად გამოუვიდა... ეს რამ დააწერინა ან მერაბზე და ან ზვიადზე? თან ყველაზე ცუდი, იცით, რა არის? **რუსუდან ბერიძე ადიდებს შევარდნაძეს და მერაბ კოსტავა ზვიად გამსახურდიას ყურმოჭრილ ქვეშევრდომად გამოჰყავს!** და, საერთოდ, მერაბ კოსტავას ცოლი რომ ხარ და შევარდნაძესთან მიდიხარ, სინდის-ნამუსი სულ დაკარგე?

**— რუსუდან ბერიძე ახლახან გარდაიცვალა... ცოცხალი რომ იყოს, რას ეტყოდით?**

— **რუსუდან ბერიძე ცოცხალი რომ იყოს, ვეტყოდი, რომ სუკის დავალება შეასრულა, როცა ეს უბინძური წიგნი დაწერა!** საერთოდ, დიდი ადამიანების გარემოცვაში სუკი თავის აგენტებს ნერგავდა და გამონაკლისი ამ მხრივ არც **რუსუდან ბერიძე** ყოფილა. მთელი უბედურება, იცით, რა არის? ერთხელ ჩემსა და ზვიადს შორის ურთიერთობა რომ დაიძაბა, ოლიკომ — მერაბ კოსტავას დედამ — გამომიძახა: შვილო, ირაკლი, ჩემთან ამოდიო! ავედი და იქ დამხვდა **რუსუდან ბერიძეც,** რომელმაც მითხრა — ირაკლი, მერაბ კოსტავა რომ ცოცხალი ყოფილიყო, ხომ იცი, ის და ზვიადი ერთად იქნებოდნენ და შენც აუცილებლად მათ გვერდით იქნებოდიო! — კი ბატონო, მერე-მეთქი? — ვკითხე რუსუდანს. — მერედა, ახლა ზვიადს რომ უპირისპირდები, ეს როგორ არის? ანუ რუსუდან ბერიძემ მომიწოდა, ზვიადს შევრიგებოდი. ამის შემდეგ გამოდის ეს გათახსირებული ქალი და ზვიადს აბრალებს — ჩემი დაუფლება უნდოდაო! აღარაფერს ვამბობ იმის შესახებ, რასაც მერაბზე წერს, — დანა დამარტყაო! დანა არა, ის დაარტყა.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## „მამუკა ხაზარაძის გულისთვის რამდენჯერმე გაწყენინეთ, რის გამოც რესტორანს ვიკისრებ და სიყვარულში ბოდიშს მოგიხდით!“






„ა-დ“. 2024 წლის №10-13

**P.S.**

***საუბრის დასასრულს ირაკლი წერეთლის მეუღლემ, ქალბატონმა ლალი ბარძიმაშვილმა კატეგორიულად მოითხოვა, ინტერვიუში აუცილებლად შეგვეტანა მისი აზრი რუსუდან ბერიძის შესახებ:***



## ლალი ბარძიმაშვილი:

# უკაცრაული პასუხია, მაგრამ მთელმა ქვეყანამ იცის, რომ რუსუდან ბერიძე იყო ... და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. მერაბი ტყუილად არავის არაფერს დაუშავებდა!

## კვირგვინოსნები

**დავით ქართველიშვილი**
*პოლიტიკური პარტია „ხალხის ძალის“ წევრი*



დაუზუსტებელი ინფორმაციით, **უკვე ზოგიერთ ქართულ კერძო სკოლაშიც ასწავლიან გაუკუღმართებულ სექსუალურ საკითხებთან დაკავშირებულ ელემენტებს,** ამიტომ ელოდება სრულიად ნორმალური საქართველო **ლგბტ პროპაგანდის ამკრძალავ კანონს.**

„იმედინიუსი“

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ ერთ-ერთი ლიდერი*



**საქართველოს მოქალაქეებს ამერიკაში** სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყანასთან **ვიზა არ უნდა სჭირდებოდეთ.** თუ შემდეგ პარლამენტში მხოლოდ **ნაცები და „ქოცები“** იქნებიან, მგონი, სჯობს, **ვიზაზე და ბილეთზე „ვიჩალიჩოთ“** და ქვეყნები შევარჩიოთ, სად უკეთესია ცხოვრების გაგრძელება.

„იმედინიუსი“

**სანდრო თვალჭრელიძე**
*ექსპერტი*



ეჭვი არ მეპარება ერთ რამეში — **მომავალ არჩევნებში აუცილებლად გაიმარჯვებს „ქართული ოცნება“.**

„კვირის პალიტრა“

**დავით ჭიჭინაძე**
*„ტრიბუნას“ თავმჯდომარე*



ნაციონალური მოძრაობა **აღარ იქნება მთავარი ოპოზიციური ძალა.** ეს დრო დამთავრდა.

„ახალი თაობა“

**მიხეილ დაუშვილი**
*პარტია „საქართველოსთვის“ წევრი*



ნაცმოძრაობის მთავარი ამოცანა არის **ძალაუფლების ხელში ჩაგდება** და არა — ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც ქვეყნის ინტერესებს ემსახურება.

„რეზონანსი“



## „მე სხვა ეპოქის შვილი ვარ, სხვა ღირებულებებისა და ღირსების!“



### იოსებ ტუხაშვილი:

# ხანდაზმულობის საიდუმლო სიყვარულშია!

*„მეოცე საუკუნე პროდუქტიული იყო, ოცდამეერთე დაცლილია სულიერებისგან“ — ამბობს 102 წლის* ***იოსებ ტუხაშვილი,*** *რომელსაც წლების მატება არ აშინებს და სულაც არ თვლის, რომ საუკუნე ძალიან ბევრია სიცოცხლისათვის:*

— დაბადებული ვარ 1922 წლის 3 იანვარს, უკვე 102 წელი შემისრულდა. ცოტა ვიავადმყოფე, მაგრამ სულიერად არ დავცემულვარ. **ახლაც, როცა ჩემთან სტუმრად უნდა მოსულიყავით, წვერი გავიპარსე, შევეცადე, ღირსეულად დაგხვედროდით.**

**— რაშია ხანდაზმულობის საიდუმლო?**

— სიყვარულში! უნდა გიყვარდეს სამშობლო, ოჯახი, წინაპრები. ერთგული უნდა იყო და არ გაწუხებდეს წარსულში ჩადენილი უღირსი საქციელი. სხვა შემთხვევაში შინაგანად დაიტანჯები და სხეული დაიჯაბნება. ჰო, კიდევ — საჭიროა ზომიერი კვება. აკი, მეც მეურნე გლეხის ოჯახში გავიზარდე, პური სახლში მოგვყავდა და ყველაფერი ნატურალური გვქონდა. ახლა დიეტას ვიცავ, მივირთმევ სუფებს, კომბოსტოს... აქვე მივმართავ ჩემს ხალხს —

**ნუ მიდიხართ უცხოეთში, ნუ ტოვებთ თქვენს კარ-მიდამოს, ვინ დაამუშავებს მიწას, ვინ მოუვლის ვაზს?**

მოიყვანეთ თქვენი მოსავალი თქვენს მიწაზე და იქნებით ჯანმრთელი!

**— საუკუნის გადასახედიდან, როგორია დღევანდელი საქართველო?**

— ისევ ვებრძვით ვიღაც ნაძირალებს, ისევ სათავეში ყოფნა სურთ ტაივანის აგენტებს — **თინა ხიდაშელსა და მის ქმარს...** ეს პოლიტიკოსები ან უცხო ქვეყნიდან იღებენ ფულს, ან ბიუჯეტიდან იპარავენ. გაიხედავ და ლამის ყველა მათგანი მილიონერია, გაუგებარი წარმომავლობის ფულით სასახლეებს იშენებენ. **მამუკა ხაზარაძეს** სასამართლომ უთხრა — თაღლითი და ქურდი ხარო, მაგრამ ხალხში გამარჯვებულის იერით დაიარება, ხელისუფლებაში მოსვლა უნდა და დღემდე ვერავინ მიუჩინა თავისი ადგილი.

**დიდი სამამულო ომი გამოვიარე, თანამდებობებზე ვმუშაობდი,**

**მაგრამ ჩემი ქვეყნისთვის კაპიკი არ მომიპარავს და ამით ვამაყობ!**

**— მთავარ პრობლემას რაში ხედავთ?**

— ქვეყანაში ავი ქალების წივილ-კივილი ისმის და ამას ქვეყნის სამსახურს უწოდებენ. ვგულისხმობ **ბოკუჩავას, სამადაშვილის, დეკანოიძის, აქუბარდიას** კივილს. როგორ შეიძლება, სახელმწიფოს მნიშვნელოვანი საკითხები ამათ გაარჩიონ? მე ჩემი სისხლით დავიცავი ეს მიწა, თვიდან თვემდე პენსიას შევყურებ და რა დამსახურება აქვთ ამ ქალებს, რომ საქართველოს ბიუჯეტს დაუმსახურებლად მიებნენ?

**— როგორი იყო საქართველო განვლილი ასი წლის მანძილზე?**

— ჩემმა თაობამ საქართველოს დაუტოვა 6 მილიონი ცხვარი თიანეთში, ყაზბეგში, ახმეტაში, თელავში, ყიზლარში... საქმეს აკეთებდნენ თანამდებობის პირები: **როთველიაშვილი, გელაშვილი, გიგიბერია, გოგიჩაიშვილი, ღუდუშაური, ჯუსოევი, ქედიშვილი, ლაშქარაძე, მანელაშვილი, მაისურაძე, მჭედლიშვილი, რატიანი, ხომერიკი...** ამ ხალხს საქმეში გვერდით ედგნენ ღირსეული ქალები **ნინა ჟვანია, ქეთო კაპანაძე** და სხვები. ამათ ფონზე როგორი სახსენებელია ახლანდელ ქალთა კრებული?

საქართველოში უყვარდათ წიგნი, ეძებდნენ რუსთაველის ნაკვალევს... ახლა ამათ შეადარეთ ტუალეტის მწერალი **ლაშა ბუღაძე,** რომელმაც შეურაცხყო ჩვენი წმინდა თამარი. **ლევან ბერძენიშვილსაც** თავი ორატორი ჰგონია და მეფე ერეკლე გაგვილანძღა. ჩემი ახალგაზრდობის პერიოდში ბერძენიშვილს სტუდენტებთან არავინ მიუშვებდა. ჩემ დროს მოსამართლეებიც გამოცდილი მუშაკები იყვნენ. ახლა სააკაშვილი ავიღოთ — გეკითხებით, საავადმყოფოს პალატა ციხეა და სააკაშვილი — პატიმარი? ან კეზერაშვილსა და ადეიშვილს რატომ არ აგებინებენ პასუხს? პრინციპი უნდა ჰქონდეს არამარტო ცალკეულ ადამიანს, არამედ — მთავრობას.

**ქვეყანას თუ არ ჩააცვი და თუ არ აჭამე, რაც გინდა, ილაპარაკე, მშიერი ხალხი ვერ მოგემხრობა. არადა, ხალხი მშიერია, ძვირდება ყველაფერი, მაწონი ვეღარ გიყიდია ადამიანს.**

**— ფასების ზრდა კონტროლს არ ექვემდებარება...**

— არ არსებობს ფასების დამდგენი სახელმწიფო კომიტეტი, არავინ ამოწმებს საზღვარზე შემოსულ პროდუქტს. როცა ამერიკიდან ძეხვი შემოდიოდა, ნაბრძანები იყო, თითო ჯარისკაცისთვის 3-4 ნაჭერი ეწილადებინათ, ეს იყო უმაღლესი ხარისხის პროდუქტი, ახლა არ ვიცით, რას ვჭამთ. მასხრად იგდებენ პენსიონერებს, პენსიის ასაღებად ბანკში მისულები გრძელ რიგში ვდგავართ, 6 კომპიუტერი უდგათ და აქედან მხოლოდ ორს ამუშავებენ, ხოლო მომლოდინე მოხუცები რიგში ვკანკალებთ!

მისახედია ჯანდაცვის სისტემაც — ექიმმა ვერ გაიგო, ფილტვი მაწუხებდა თუ გული, მითხრა — შეიძლება, მაგნიტური დღე არისო... ქვეყანა, რომელსაც **ეკა ტიკარაძე** ჰყავდა მინისტრად და **გიორგი კვირიკაშვილი** — პრემიერ-მინისტრად, როგორ დაგიდგება გვერდში? **რას გვეთამაშებიან ესენი? პრეზიდენტადაც ის დაგვისვეს, ვინც მოისურვეს.**

**— სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკას, ცხადია, არ იზიარებთ?**

— იმ მენშევიკების შთამომავალია, რომელთაც საქართველოს ქონება უცხოეთში წაიღეს. რაღაც ნაწილი ექვთიმემ ძლივს გადაარჩინა და რომ არა სტალინი, განძი დაიკარგებოდა.

**— მთავრობის წევრებს ხვდებით ხოლმე?**

— 100 წლის რომ გავხდი, **ირაკლი ღარიბაშვილი** მესტუმრა. ის მაშინ გადააყენეს თანამდებობიდან, როცა ქვეყნის დასაყრდენი გახდა და მაგის იმედი გვქონდა. ნეტავ, ისეთ კადრებს არ შეარჩევდნენ, სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრივით, მამალ და დედალ ძროხას რომ ვერ არჩევდა. **პოლიტიკის ფეხდაფეხ ხელოვნებაც გაცამტვერდა და დავრჩით მხოლოდ ახალგარემონტებული ოპერისა და რუსთაველის თეატრების ამარა.** ახმეტელი რომ დახვრიტეს, ის პერიოდიც კარგად მახსოვს, 15 წლის ვიყავი და აკაკი ხორავას სპექტაკლებსაც ვესწრებოდი.... მე სხვა ეპოქის შვილი ვარ, სხვა ღირებულებებისა და ღირსების. წარსული აღარ განმეორდება, მაგრამ სამშობლოს სიყვარულმა იქნებ, მომავალ თაობასაც შეაძლებინოს, ღირსეულად განაგრძოს ცხოვრება.




*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

## კვირგვინოსნები

**დავით ჩაჩუა**
*ენერგეტიკოსი*



თუ სახლს აშენებ და გადაწყვეტილი გაქვს, რომ **ენერგოდამოუკიდებელი იყო,** შენი სახლის სახურავი სასურველია, სამხრეთით იყოს დახრილი, 35-45 გრადუსამდე — **ნაკლები დაგიჯდება და მეტ ენერგიას გამოიმუშავებ.** სახურავზე უნდა დაიდგას ალუმინისა და რკინის კონსტრუქცია, რაზეც უნდა დამაგრდეს პანელები, შემდეგ უნდა შეიღებოს მომხმარებლისთვის სასურველ ფერად. **სახურავს ხეები არ უნდა ეფარებოდეს.**

„კვირის პალიტრა“

**მევლუდ მელაძე**
*საავტომობილო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი*



**30 ათასი პარკინგი** რომ არის და **700 ათასი მანქანა,** როგორ გააჩერებ? **გამიკეთე საპარკინგე სივრცეები და თუ არ გავაჩერებ, დამაჯარიმე.** ბევრი ამბობს — ვიცი, ცუდად გავაჩერე, მაგრამ **იქნებ პარკინგის ყაჩაღი არ შემხვდეს და ავცდე 50-ლარიან ჯარიმასო.** ყველა იღბლის ამარაა, თუ არადა, 50 ლარს იხდის. **ფულზეა აქცენტი, ხელოვნურად იქმნება საპარკინგე დეფიციტი.**

„კვირის პალიტრა“

**გიგი მომცელიძე**
*სტატისტიკოსი*



მილიონზე მეტ დასაქმებულ ადამიანს ეუბნებიან, რომ **ქვეყანაში საშუალო ანაზღაურება 2000 ლარია, როცა დიდი უმეტესობა 1000 ლარსაც ვერ იღებს თვეში.** ასე რომ არ იყოს, ადამიანები ქვეყნიდან არ გაიქცეოდნენ.

„რეზონანსი“

**ზურაბ ცუცქირიძე**
*პედაგოგიკის დოქტორი, განათლების აკადემიის წევრი*



ხალხი თუ ჭკუას არ მოეგო და **მამათმავლობა და სხვა მსგავსი სოდომური ცოდვა ორიენტაციად კი არა, მძიმე ავადმყოფობად და ზნეობრივ გადაგვარებად არ ჩათვალა,** მალე კანიბალიზმიც ნორმად იქნება მიჩნეული და მერე და მერე გინდა **„დედა“ და „მამა“** დაივიწყე და ორივეს მარტივად **„ჩემი გარეთ გამომწიკავი“** დაარქვი, აღარაფერი გეშველება უკვე!

„საქართველოს რესპუბლიკა“

# კახა საბახტარიშვილი: კბილების პირველი მტერი შაქარია!



***ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი აცხადებს, რომ კბილების დასაცავად სოდისა და წყალბადის ზეჟანგის კომბინაცია ერთ-ერთი საუკეთესოა, უფრო მეტიც, საჭმელი სოდა კბილებს ყველა კბილის პასტაზე უკეთ წმენდს, აპრიალებს, ათეთრებს და მავნე ბაქტერიებისგან ათავისუფლებს:***




**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე ბაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი-ფორტე“,** რომლებსაც ათასობით ადამიანი ღებულობს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ *(პროფკავშირების სახლი)*. 593 31 70 34; ფეისბუქი: *„კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“***

— ჯანსაღი კბილები რომ ადამიანის ჯანმრთელობას დიდწილად განაპირობებს, ფაქტია. საკვები კარგად უნდა დაიღეჭოს, დაქუცმაცდეს, ნერწყვით გაიჟღინთოს და ასე მოხვდეს კუჭში. თუ კბილების დაავადების ან ნაკლებობის გამო საკვები კუჭს დაუღეჭავად მიეწოდება, ცხადია, ეს ორგანო ზედმეტად იტვირთება და იქმნება ხელსაყრელი პირობები სხვადასხვა პათოლოგიის განვითარებისათვის.

ამასთანავე უნდა ვიცოდეთ, რომ პირის ღრუში 600-მდე ბაქტერია და მისი შტამი ბინადრობს, რომლებსაც დიდი ზიანის მოტანა შეუძლიათ. ეს მავნე ბაქტერიები შაქრითა და სახამებლით იკვებებიან. როდესაც შაქარს მოიხმარენ, მათი ცხოველქმედების შედეგად რძის მჟავა და სხვა ნივთიერებები გამოიყოფა. რძის მჟავა მოქმედებს კბილის ემალზე, შედის მასთან რეაქციაში, აღწევს კბილის შიდა სტრუქტურებში, ქმნის სიცარიელეს და ალპობს კბილს. **კარიესი** ლათინური სიტყვაა და სწორედ ლპობას ნიშნავს. ბევრმა შესაძლოა, არ იცის, მაგრამ კარიესს გაცივებით მიმდინარე დაავადებათა შემდეგ მეორე ადგილი უკავია. ქსოვილი აღდგენას არ ექვემდებარება. კბილის ემალს აზიანებს და კბილს შლის ბაქტერიების გარკვეული სახეობა, რომლებსაც **სტრეპტოკოკი მუტანს** ჰქვია. ეს ბაქტერიაც შაქრითა და სახამებლით იკვებება, ახდენს მათ ფერმენტაციას და გამოყოფს მჟავას, რომელიც კბილს შლის.

**— რაკი თანამედროვე ბავშვები დიდი რაოდენობით მიირთმევენ შაქრის შემცველ პროდუქტებს, სვამენ შაქრით დამტკბარ სასმელებს, არც არის გასაკვირი, თუ მათ პირის ღრუში ეს პათოლოგიური პროცესები დაფიქსირდეს.**

— იგივე შეიძლება ითქვას მოზრდილებზეც. ასე, მაგალითად, შვედეთში მე-19 საუკუნეში კარიესი მოსახლეობის მხოლოდ 7 პროცენტს ჰქონდა, ხოლო დღეს მოსახლეობის 80 პროცენტს აწუხებს. საქართველოში შესაძლოა, იგივე ან უარესი სურათი იყოს! **საერთოდ, კბილების პირველი მტერი შაქარია, რაზეც დიდ ყურადღებას არ ამახვილებენ.** რამდენიმე წლის წინათ ჰარვარდის ბიბლიოთეკის სარდაფში შემთხვევით აღმოაჩინეს დოკუმენტები, რომელმაც დიდი სკანდალი გამოიწვია. დაახლოებით 50 წლის წინათ შაქრის მაფიამ **„შაქრის შესწავლის საერთაშორისო ფონდი“** შექმნა, რომლის ძირითადი მიზანი იყო, ჩატარებულიყო წინაწარ შეკვეთილი, გაყალბებული კვლევები, რომლებიც მიჩქმალავდნენ შაქრის მავნე ზეგავლენას გულზე, კბილებსა და, საერთოდ, მთელ ორგანიზმზე. სამაგიეროდ, უარყოფით კონტექსტში წარმოაჩენდნენ ცხიმიან საკვებს. **პარალელურად უნდა მომხდარიყო კბილის პასტებში ახლად შეყვანილი ფტორის იდეალიზაცია და იმის პროპაგანდა, თითქოს ფტორიანი კბილის პასტები კარიესისგან გვიცავს.** როგორც ყოველთვის, გვერდი არ აუვლიათ ვაქცინაციისთვის და თქვეს, რომ შეიქმნებოდა ვაქცინა, რომელიც კბილებს კარიესისგან დაიცავდა. სწორედ ასეთი შეკვეთილი კვლევები ჩაატარა ჰარვარდის უნივერსიტეტის ერთ-ერთმა წამყვანმა მკვლევარმა, რომლის შედეგებიც მყისვე აიტაცეს მსოფლიოს წამყვანმა სტომატოლოგთა ასოციაციებმა და ხელოვნურად დაამკვიდრეს აზრი, თითქოს ფტორიანი კბილის პასტა კარიესისგან გვიცავს და შაქარი კბილს სერიოზულად არ ვნებს.

**— სინამდვილეში რა ხდება?**

— ფტორი მართლაც ძლიერი ანტისეპტიკია და ანადგურებს კარიესის გამომწვევ მავნე ბაქტერიებს, მაგრამ, ამავდროულად, არ ინდობს იმ სასარგებლო ბაქტერიებსაც, რომლებიც პირის ღრუს სიჯანსაღისათვის არის აუცილებელი. ფტორის ჭარბმა მოხმარებამ შესაძლოა, საწინააღმდეგო შედეგი გამოიღოს. კბილის ემალზე თეთრი ლაქები ჩნდება და გამაგრების ნაცვლად სუსტდება. ბავშვების 40-60 პროცენტს სწორედ ფტოროზი აქვს! გარდა ამისა, კბილის პასტების უმეტესობაში შედის **პროპილენგლიკოლი.** ეს ძალიან საშიში ნივთიერებაა, რომელიც ანტიფრიზის შემადგენელი ნაწილია, გარდაიქმნება დიოქსანად და იწვევს კიბოს!

ძალიან ბევრი კბილის პასტა შეიცავს მეტად საშიშ ნივთიერება **ტრიკლოზანს.** 20-25 წლის წინათ ფართო რეკლამა უკეთდებოდა საპნებს, სადაც ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ის შეიცავდა ტრიკლოზანს, რომელიც ყველანაირ ბაქტერიასა და ვირუსს 100 პროცენტით ანადგურებს. ეს მართლაც ასეა, მაგრამ, ამავდროულად, ტრიკლოზანი დამანგრევლად მოქმედებს ენდოკრინულ სისტემაზე და უშვილობასაც კი იწვევს. არაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ ტრიკლოზანი მასობრივად ანადგურებს სასარგებლო ბაქტერიებს, მათ შორის, პირის ღრუშიც.

**— მაშინ რა ვქნათ, კბილები რით გავიხეხოთ?**






**„რატომ უნდა დავინგრიოთ ორგანიზმი ათასნაირი ქიმიური ნივთიერების შემცველი ე.წ. კბილის პასტით, როცა ხელთა გვაქვს საჭმელი სოდა?“**

— შევთანხმდეთ, რომ კბილებს აზიანებს მჟავა, რომელიც შაქრისა და მავნე ბაქტერიების ურთიერთქმედებით წარმოიშობა. მჟავას ანეიტრალებს საჭმელი სოდა — **ნატრიუმის ბიკარბონატი,** რომელიც სუსტი ტუტე რეაქციის მატარებელია. **სანერწყვე ჯირკვლებში გამომუშავდება ნერწყვი, რომელიც სწორედ ბუნებრივი სოდის შემცველია. აქედან გამომდინარე, რატომ უნდა დავინგრიოთ ორგანიზმი ათასნაირი ქიმიური ნივთიერების შემცველი ე.წ. კბილის პასტით, როცა ხელთა გვაქვს საჭმელი სოდა?** სოდა ყველა კბილის პასტაზე უკეთ აპრიალებს, ათეთრებს და მავნე ბაქტერიებისგან ათავისუფლებს კბილებს. გარდა ამისა, სოდა აბსოლუტურად უვნებელია კბილის ემალისათვის და არ აზიანებს მას.

სტომატოლოგიაში არსებობს ერთგვარი ინდექსი, ანუ სკალა, რომელიც აჩვენებს, რომელი ნივთიერება როგორ ხეხავს და აზიანებს კბილის ემალს. კბილის პასტებისთვის ეს ინდექსი 70-დან 250-მდეა, ხოლო საჭმელი სოდისთვის — მხოლოდ 7! კომენტარი მკითხველისთვის მიგვინდია. **მეორე კომპონენტი, რომელიც კარიესისგან გვიცავს და მავნე პათოგენებს ანადგურებს, წყალბადის ზეჟანგია, რომელსაც ორგანიზმიც გამოიმუშავებს. ამდენად, კბილების დასაცავად სოდისა და წყალბადის ზეჟანგის კომბინაცია ერთ-ერთი საუკეთესოა!**

**— როგორ დავამზადოთ ეს უვნებელი და ბუნებრივი კბილის პასტა?**

— 100 გრამ თბილ წყალს დავუმატოთ ერთი მეოთხედი ჩაის კოვზი საჭმლის სოდა. კარგად მოვურიოთ, რათა სოდა სრულად გაიხსნას. მიღებულ ხსნარს დავამატოთ ერთი მეოთხედი ჩაის კოვზი წყალბადის 3-პროცენტიანი ზეჟანგი, ანუ ე.წ. „პერეკისი“. არომატისთვის შესაძლოა, გამოვიყენოთ მცირე რაოდენობით კურკუმა ან 3 წვეთი მიხაკის ზეთი. იმისათვის, რომ მიღებულმა მასამ პასტის მსგავსი კონსისტენცია მიიღოს, შეგვიძლია, დავუმატოთ 1 სუფრის კოვზი თაფლი. საოჯახო პირობებში მომზადებული ასეთი ნაერთით ყოველი ჭამის შემდეგ დავიმუშაოთ კბილები და ღრძილები რბილი ჯაგრისით. გვახსოვდეს — **ჭამის შემდეგ კბილებსა და პირის ღრუში არავითარი ნარჩენი არ უნდა დარჩეს, რადგან ბაქტერიები სწორედ ამ ნარჩენებით იკვებებიან.**

**— ამბობენ, რომ კარიესს არამარტო შაქარი, არამედ სახამებელიც იწვევს.**

— სახამებელი იგივე შაქარია, რომელსაც პირის ღრუში შლის ნერწყვში არსებული საჭმლის მომნელებელი ფერმენტი **ფტიალინი.** რაც მეტი ფტიალინია ნერწყვში, კბილები და პირის ღრუ ბაქტერიებისგან უფრო დაცულია, ხოლო, რაც მეტ ტკბილეულს შევჭამთ და სახამებლიან საკვებს მივირთმევთ, მით მეტ ფტიალინს დავხარჯავთ. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ **ფტიალინის** გამომუშავება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული B1 ვიტამინზე. აქედან გამომდინარე, ვისაც B1 ვიტამინის ნაკლებობა აქვს, კბილები მალე უფუჭდება! საერთოდ, ნერწყვი ნეიტრალური უნდა იყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ პირის ღრუში მჟავე-ტუტოვანი წონასწორობა არ უნდა დაირღვეს!

**— რატომ არ ხდება ყოველივე იმის პროპაგანდა, რასაც ახლა ლაპარაკობთ?**

— მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში 1 წლის განმავლობაში 53 მილიონ ლიტრა კბილის პასტას მოიხმარენ. ეს ასტრონომიული თანხაა და რა გასაკვირია, რომ ამოდენა ბიზნესის ჩაგდება და იაფფასიანი, ბუნებრივი საშუალებებით მისი ჩანაცვლება არავის სურს!

**— თქვენ ახსენეთ B1 ვიტამინი, რომლის ნაკლებობაც კარიესს იწვევს. კიდევ რომელი ვიტამინის სიმცირეა კბილებისთვის ზიანის მომტანი?**

— ამ მხრივ განსაკუთრებით სახიფათოა C ვიტამინის ნაკლებობა. შუა საუკუნეებში მეზღვაურებს პირდაპირ მუსრს ავლებდა **სურავანდი,** რომლის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი სწორედ კბილების ჩამოცვენა და ღრძილებიდან სისხლდენაა. პრობლემა სრულიად შემთხვევით გადაიჭრა მას შემდეგ, რაც სურავანდით დაავადებულ მეზღვაურებს საკვებად ლიმონი მისცეს. მოგვიანებით აღმოაჩინეს C ვიტამინი, რომლითაც მდიდარია ლიმონი. ყველა ქსოვილი — კანი, ძვალი, კბილები, მყესები, კუნთები, სახსრები, სისხლძარღვები შეიცავს **კოლაგენს,** რომელიც ამ ქსოვილების ჩონჩხია. C ვიტამინის გარეშე კოლაგენი არ გამომუშავდება და ძვალიც დაიშლება. გარდა ამისა, C ვიტამინს ახასიათებს ანტიბაქტერიული და ანტივირუსული მოქმედება.

ბევრმა შესაძლოა, არ იცის, რომ C ვიტამინი ორგანიზმში წყალბადის ზეჟანგადაც გარდაიქმნება. ამიტომ კბილის სახეხ ზემოხსენებულ რეცეპტურაში ერთ მეოთხედ სუფრის კოვზ ლიმონის წვენსაც თუ დავამატებთ, ოჯახის პირობებში ბუნებრივ საშუალებებზე დამზადებული კბილის პასტის ეფექტიანობას კიდევ უფრო გავზრდით!

**— რამდენად ეფექტურია თქვენ მიერ ხსენებული რეცეპტურა ე.წ. კბილის ქვების წინააღმდეგ ბრძოლაში?**

— კბილის ქვების გაჩენა გარკვეულ პროცესებს უკავშირდება და მისი პროფილაქტიკისა და მკურნალობის შესახებ ცალკე გვექნება საუბარი!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



**„კბილის პასტების უმეტესობაში შედის პროპილენგლიკოლი. ეს ძალიან საშიში ნივთიერებაა, რომელიც ანტიფრიზის შემადგენელი ნაწილია!“**

# მერაბ კოსტავას მეუღლის

დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2024 წლის №10-13

*რუსუდან ბერიძე შარშან 83 წლის ასაკში მიაბარეს მიწას. ტრაგიკულად შეწყდა მისი ერთადერთი შვილის, 24 წლის პოეტ ირაკლი კოსტავას სიცოცხლე. მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტად. 1992-95 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი. ისტორიას შემორჩა მისი სევდიანი დღიური, რომელსაც „ასავალ-დასავალის“ მკითხველი დიდი ინტერესით ეცნობა. საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას მეუღლემ მისი დაღუპვის შემდეგ 33 წელი იცოცხლა.*



## რუსუდან ბერიძე:

## ეს ის სიმართლეა, რომელიც ყველაზე უკეთ მე ვიცი. ძალიან მეცოდება, ძალიან მენანება ზვიადი, მზარავს მისი ტრაგიკული ბედი, მაგრამ მაინც იმას ვიტყვი, რაც იყო!

მაისის 15-ში მოკლევადიანი პაემანი მეკუთვნოდა. მარტო გადავწყვიტე წასვლა. ჩუსოვაიას გზაზე გადატანილი შიში რომ მაგონდებოდა, აღარ მინდოდა ირაკლის თან წაყვანა. ირაკლის ვუთხარი, რომ ეკონომიურად ვერ ავწევ, ორივე რომ წავიდეთ. ისე, არც უმაგისობა იყო. ჩემს შემოსავალს — ჩემს ხელფასს და მოწყვეტილთან კატორღულ შრომას უჭირდა ყველაფრის გაწვდომა, დედაჩემი ძალიან მეხმარებოდა. ოლიკოს სასტიკად ავუკრძალე ვინმესგან ფულის აღება. ზოგ დაწესებულებაში, მაგალითად, ლიტერატურის მუზეუმში და ფსიქოლოგიის ინსტიტუტში უგროვებდნენ ხოლმე მერაბს ფულს. ოლიკო კი დამეთანხმა, ფულს არ ავიღებო, მაგრამ ჩემგან დამალულად მაინც ვერ ამბობდა უარს ამ „შემოწირულობის“ მიღებაზე. ეს ყველაფერი შემდეგში გავიგე.

გავუდექი უკვე ნაცნობ გზას. გადავფრინდი პერმში, იქიდან — მატარებლით ჩუსოვაიაში, იქიდან — ჩემს „ოტელში“ გავათიე და დილით ავტობუსით პოლოვინკაში ჩავედი. ფეხით მივედი ბანაკში. **ბანაკიდან ოფიციალური ტელეგრამა მქონდა მიღებული, რომ პაემანი მეკუთვნის.** არავითარ მოულოდნელობას არ ველოდი. შემიყვანეს სამმართველოს უფროსთან. მან ცივი ხმით მითხრა, რომ **მერაბ კოსტავამ ბანაკის შინაგანაწესი დაარღვია, კარცერში ზის და პაემანი აკრძალული აქვს** (როგორც მერე გავიგე, ამთანდილ იმნაძე ჩამოიყვანეს მეზობელ ბანაკში, რომელსაც მერაბის ბანაკიდან გალავანი ჰყოფდა, მერაბმა აქ გალავანზე გადაძვრა ვცადა მისი სანახავად). ძალიან ძნელია, აღვწერო, რა მძიმე გრძნობა დამეუფლა. მე ვუთხარი: **„თქვენ ხომ ტელეგრამა გამომიგზავნეთ, რომ ჩამოვსულიყავი, მე ამდენი გზა გამოვიარე, 15 წუთით მაინც მაჩვენეთ-მეთქი“.** უფროსს დავურეკავო, — მითხრა. სადღაც გადარეკა, მდგომარეობა აუხსნა. ეტყობა, იქიდან კატეგორიული უარი მიიღო. **არც ბანდეროლის გადაცემის უფლება მომცეს.** უბრალოდ, შორიდან დამანახეთ, რომ ცოცხალია და ჯანმრთელად არის-მეთქი. ბანაკის უფროსმა ცინიკურად მითხრა: **„თქვენმა მეუღლემ ხომ იცოდა, თქვენ რომ მოდიოდით, იმან არ გაგიწიათ ანგარიში და თქვენი ჩამოსვლის წინ წესრიგი დაარღვია, ჩვენგან რატომ მოელით ანგარიშის გაწევას“.**

წამოვედი. ბანაკის უფროსის კაბინეტში თავის შეკავება შევძელი. არ მინდოდა, მას ჩემი ცრემლები და გამწარება ენახა. პოლოვინკისაკენ გზა ტყით მიდიოდა. **მივდიოდი და ხმამაღლა ვტიროდი. დავტიროდი ჩემს თავს, მერაბს, ჩემს ბედს და უბედობას.** პოლოვინკაში ჩუსოვაიაში მიმავალი ტაქსი ვიპოვე. ვიჯექი მანქანაში და მთელი საათი, სანამ ჩუსოვაიაში ჩავედი, ცრემლებს ვებრძოდი და თავის მოთოკვას ვცდილობდი.

**სიზმარივით მახსოვს, როგორ დავბრუნდი მოსკოვში და მერე თბილისში...**

### 1979 წლის მაისიდან მერაბი თითქმის

**გაზუწყვეტლივ დასჯილია. ადრე გითხარით, რომ პატიმრები ცოტა უნდობლად შეხვდნენ მერაბს, ასეთი მოკლე ვადა რატომ გაქვს მოსჯილიო და, რაც მთავარია, ზვიადის მონანიების სირცხვილი მერაბზედაც გადადიოდა.**

**მერაბი ყველა აქციის და პროტესტის სულისჩამდგმელი და მეთაური გახდა ბანაკში. ჩასვამდნენ კარცერში, გამოვიდოდა, კიდევ რამე პროტესტს გამოაცხადებდა, ისევ ჩასვამდნენ და ა.შ.** მერე ის იყო, **ბრეჟნევს** წერილი მისწერა, **შენს ქვეყანას რატომ არცხვენ, ამ ორდენებით და მედლებით რატომ აიტრელე გულმკერდიო.** აეკრძალა მიმოწერა. მხოლოდ ტელეგრამებით ვიგებდით მერაბის ამბავს. ოქტომბერში დანიშნული გრძელვადიანი პაემნისთვის ბილეთები აღებული გვქონდა მე და ირაკლის, **ტელეგრამა მოვიდა, პაემანი აიკრძალაო. დეკემბერში მოკლევადიან პაემანზეც იგივე განმეორდა.**

ამასობაში ორი წელი გავიდა და მერაბი თავისუფალ გადასახლებაში ირკუტსკის ოლქში, ტაიშეთის რაიონის სოფელ კვიტოკში გაასახლეს.

ამ ერთი წლის ამბები ჩემი მერაბისადმი გაგზავნილ წერილებშია ასე თუ ისე ასახული. **მერაბის საპასუხო წერილები არ იყო... ბოლო წერილი 1979 წლის მაისში მოვიდა, ორი წერილი შემდეგ გამოგზავნილი, დაკარგულია.**

•

1980 წლის აპრილში მერაბი ტაიშეთის რაიონის სოფელ კვიტოკში გაასახლეს. ტაიშეთის რაიონი კრასნოიარსკის ოლქშია, შუაგული ციმბირი. კვიტოკი საკმაოდ დიდი სოფელია. სოფელში მუსიკალური სკოლაც კი არის. მერაბს საერთო საცხოვრებელში ერთი ოთახი მისცეს. ჯერ სოფლის კლუბში დააწყებინეს მუშაობა, მერე სოფელმა გაიგო, რომ მერაბს კონსერვატორია აქვს დამთავრებული, წერილით მიმართეს რაიონის ხელმძღვანელობას და მერაბს ნება დართეს, ფორტეპიანოს გაკვეთილები ჩაეტარებინა.

მერაბი კვიტოკში რომ ჩავიდა, მე ავად ვიყავი. ამიტომ **ირაკლი** და **ელიკო გოგუაძე** წავიდნენ მერაბთან. წასვლის წინა დღეს **ზვიადმა** დარეკა, ელიკოს სთხოვა, ბილეთი დაეთმო მისთვის, რადგან თვითონაც უნდოდა მერაბის ნახვა.

**თბილისში დაბრუნების შემდეგ ზვიადი გარიყული აღმოჩნდა. იმ ადამიანებისათვის, ვინც ზვიადს პატივს სცემდა, ძალიან მძიმე დარტყმა აღმოჩნდა ზვიადის სატელევიზიო „მონანიება“ 1978 წლის მაისში. ზვიადმა თავისი რეპუტაციის აღდგენისთვის ბრძოლა დაიწყო.** დღეს, როცა ზვიადი აღარ არის, როცა ასეთი ტრაგიკული აღმოჩნდა მისი პრეზიდენტობა მისთვისაც და ქვეყნისთვისაც, როცა ასეთი მძიმე დანაშაული ჩავიდინეთ ჩვენ ყველამ **(ზოგმა მეტი, ზოგმა ნაკლები, მაგრამ ყველამ)**, ძალიან მიჭირს მიტრიალება ყველაფერ ამასთან.

ორი დღის წინათ მოსკოვში გამოცემული ზვიადის ავტობიოგრაფია წავიკითხე. მისი დაწერილი, რუსულ ენაზე. ძალიან ძნელია აწ გარდაცვლილთან კამათი, მაგრამ სიმართლე ხომ უნდა ითქვას? **ეს ის სიმართლეა, რომელიც ყველაზე უკეთ მე ვიცი. ძალიან მეცოდება, ძალიან მენანება ზვიადი, მზარავს მისი ტრაგიკული ბედი, მაგრამ მაინც იმას ვიტყვი, რაც იყო.**

თავის ავტობიოგრაფიაში ზვიადი მრავალჯერ უბრუნდება თავისი **მონანიების თემას,** მრავალჯერ იშველიებს წერილს, რომელიც მერაბმა გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ დაუწერა **(სხვათაშორის, აწ განსვენებული გია ჭანტურიას დაჟინებული მოთხოვნაც იყო ამ წერილის დაწერის ერთ-ერთი მიზეზი).** ადამიანურად მე მესმის ზვიადის, მაგრამ, რადგან მისი წიგნი შთამომავლობისათვის დაიწერა, ჯობდა, ბოლომდე სიმართლე ეთქვა. **ზვიადს ისეთი წინააღმდეგობრივი და რთული ცხოვრება აქვს გავლილი, შთამომავლობას უფრო გაუადვილდებოდა მისი გაგება, შენდობა და პატიება, ბოლომდე სიმართლე რომ ეთქვა...**

ელიკომ ზვიადს თავისი ბილეთი არ დაუთმო. მაგრამ ზვიადი მაინც მათთან ერთად წავიდა. მე ელიკოს დავაბარე, მერაბისთვის ეთქვა, რომ ტყუილი არ ეთქვა და **არ დაედასტურებინა ზვიადისთვის მათი მოლაპარაკების არარსებული ფაქტი.** ეს არც ზვიადს უშველიდა, ხალხს ვერ დააჯერებდა, ხოლო მერაბის ავტორიტეტს, როგორც ბოლომდე მართალი კაცისა, ჩრდილს მიაყენებდა.

*__ელიკო გოგუაძის__ ნაამბობი: „თავიდან მერაბის და ზვიადის შეხვედრა საკმაოდ ცივი იყო. შეგრძნება ისეთი იყო, თითქოს მერაბს დიდად არც გახარებია მისი ჩასვლა. მე და ირაკლის უფრო გვეფერებოდა, ჩვენთან უფრო მეტს საუბრობდა. მე რაღაც მომენტი ვიპოვე და რუსუდანის დანაბარები გადავეცი. საღამოს მე და ირაკლიმ დავიძინეთ, მაგრამ ძილში მესმოდა, რომ მერაბი და ზვიადი მთელი ღამე საუბრობდნენ. არ ვიცი, ღამით რა ითქვა, მაგრამ დილით მერაბი სრულიად შეცვლილი იყო. მერე ორივემ დალია და რაღაც მომენტში მერაბმა მაგიდას ხელი დაარტყა და თქვა: __„ყველამ იცოდეს, რომ ზვიადი ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერია“.__ მე და ირაკლიმ განცვიფრებულებმა შევხედეთ. გუშინდელი მერაბი დღევანდელს სრულიად არ ჰგავდა. __რა უთხრა და რაში დაარწმუნა ზვიადმა, არ ვიცი. ერთი კი არის, მერაბმა სასურველი წერილი არ დაუწერა ზვიადს.__ მერე მერაბმა მე და ირაკლის გვთხოვა, დისიდენტ __სერგეი ორლოვის__ ნაწერები წაგვეღო, რომლებიც მან პერმის ბანაკიდან წამოიღო. მე რუსუდანმა კატეგორიულად დამაბარა, არავითარი დოკუმენტები არ წამომეღო. მეც და ირაკლიც ძალიან ახალგაზრდები ვიყავით და შეშინდა, გზაში არ დავეპატიმრებინეთ. „თუ რაიმე წამოსაღებია, როცა მე წავალ, მე წამოვიღებო“, — გვითხრა. ამიტომ მე უარი ვთქვი ამ დოკუმენტების წამოღებაზე. ისინი ზვიადმა წამოიღო. მთელი გზა საშინლად ვნერვიულობდი. __ზვიადს მთელი გზა ეჩვენებოდა, რომ ჩვენ გვითვალთვალებდნენ. სადგურის მოსაცდელ დარბაზში რომ ვისხედით, მიგვითითებდა ვინმეზე, აი, ის ჩვენ გვითვალთვალებსო. მერე ის კაცი მშვიდად ადგებოდა და თავის მატარებელს გაჰყვებოდა. მერე ვინმე სხვაზე მიგვითითებდა.__*

*პირველად გავლენის ქვეშ მოვექეცით, მერე უკვე იუმორით ვუცქეროდით ჩვენს „მოთვალთვალეებს“. მაგრამ ახლა, როცა ზვიადს ორლოვის ნაწერები მოჰქონდა და მე და ირაკლიმ ეს ვიცოდით, __რაიმე რომ მომხდარიყო, ჩვენ დაგვაბრალებდა, თქვენ აცნობეთ სუკსო.__ კიდევ კარგი, მშვიდობიანად ჩამოვედით და არავის გავუჩერებივართ.*

*ჩამოსვლიდან ორი დღის შემდეგ ზვიადი ჟურნალ „კრიტიკის“ რედაქციაში მივიდა და განაცხადა, __ელიკო გოგუაძე__ სუკის აგენტიაო. ამ საუბარს ჩემი მეგობარი __რეზო ჭუბაბრია__ ესწრებოდა. შემდეგ ზვიადი რუსიკოსთან მივიდა. რუსიკომ უსაყვედურა, __რას ერჩოდი ელიკოს, რატომ განაცხადე, ელიკო სუკის აგენტიაო.__ ჯერ იუარა, არ მითქვამსო, მერე ბოდიში მოუხადა რუსიკოს. მეც მესმოდა ეს საუბარი, სამზარეულოში ვიჯექი. მაგრამ ზვიადთან დალაპარაკების სურვილი არ მქონდა, იმდენად შეურაცხყოფილად ვგრძნობდი თავს. ახლა მესმის, კაცს, რომელსაც ასეთი ცხოვრება აქვს გავლილი, ბუნებრივად გაუჩნდებოდა დევნის მანია. მაგრამ მერაბს რომ არასოდეს ჰქონია ასეთი მანია?..“*

•

კვიტოკი მერაბის ათწლიან ოდისეაში ყველაზე ნათელი დრო იყო. იგი მუშაობდა. წიგნებს ვუგზავნიდით და იმის წაკითხვის საშუალება ჰქონდა, რაც აინტერესებდა. ჰყავდა მეგობრები. მუსიკალურ სკოლაში რამდენიმე დახვეწილი რუსი ინტელიგენტი მუშაობდა. მერაბის მეგობარი ქალი **გალინა პოპოვა** განათლებული, გარეგნობით მშვენიერი, ერთგული და თავდადებული პიროვნება აღმოჩნდა. მერაბი, ფაქტობრივად, მის

## კვირგვინოსნები



**ლევან ქაბუკიანი**
*მხატვარი*

**სანამ გადავწყვეტდი, რომ მხატვარი უნდა ვყოფილიყავი,** ბევრ დროს ვუთმობდი ქუჩას და, ზოგადად, ყოფით საკითხებს. **მხატვრობა დამეხმარა, რადიკალურად შემეცვალა საკუთარი პიროვნება** და გავმხდარიყავი ის, ვინც დღეს ვარ.

„თბილისელები“



**გია ჯაჯანიძე**
*ტელეწამყვანი, ფილოსოფოსი*

სატრაბახო ნამდვილად არაა, რომ სამი ცოლი მყავდა. **ბოზი ქალები რომ ბერდებიან და ბოზობის საშუალება აღარ აქვთ, პატიოსნებაზე იწყებენ ლაპარაკს.** ეტყობა, მეც იგივე დამემართა. ახლა შემიძლია ვიღაცას მოვუწოდო, ასე მოქცევა არ შეიძლება-მეთქი, როცა მის ასაკში უარესებს ვაკეთებდი.

„სარკე“



**ნანა ცინცაძე**
*პოეტი*

30 წლის ასაკში ლექსის წერა დავიწყე. **ღმერთს მადლობა, რომ პოეტობის ნიჭი მომმადლა** და თან ის ნიჭიც დააყოლა, რომ **სხვისი ნიჭიერების არ შემშურდეს.**

„სარკე“



**მანანა ფაცაცია**
*თიკა ფაცაციას დედა*

**ზუსტად ისეთი სიძე მყავს,** როგორი თვისებების მამაკაციც მინდოდა **თიკას** გვერდით.

„თბილისელები“

# ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲓᲦᲘᲣᲠᲔᲑᲘ



სახლში ცხოვრობდა, მოვლა და სითბო არ აკლდა. როცა მე ჩავედი, ეს ყველაფერი გავიგე. გული მეტკინა, მაგრამ გაგებით გავუგე.

კვიტოკის მიმოწერას ეტყობა ბზარი ჩვენს ურთიერთობაში. კვიტოკის პერიოდში მერაბთან ჩავიდნენ **ირაკლი,** დედამისი **ოლიკო დემურია,** ბავშვობის მეგობარი **რუდიკო (ზურა) შაუთიძე, ომარ ციკოლია, ვაჟა ადამია, გიზო კორძაძე, იზო ფარსადანიშვილი** და სხვები. ერთი წლის შემდეგ, წესით, შვებულება ეკუთვნოდა და წარმოიდგენთ, როგორ ელოდა ამ შვებულებას. შვებულებაზე უარი უთხრეს.

ამ პერიოდში მერაბი წერილებს და ამანათებს ღებულობდა გერმანიიდან, შვეიცარიიდან, ინგლისიდან, ბელგიიდან, ფინეთიდან. სრულიად უცნობი ადამიანები თანაგრძნობას უცხადებდნენ და ამხნევებდნენ. ასეთივე ამანათები ხშირად თბილისშიც მოდიოდა...

●

1982 წლის აპრილში **მერაბის** განთავისუფლებას ველოდებით. თვითონ მერაბი თვეებს, დღეებს და საათებს ითვლის. საქართველო ენატრება, თბილისი ენატრება, ჯავახიშვილის ქუჩაზე თავისი ღარიბული, მაგრამ მისთვის უსაყვარლესი სახლი ენატრება, ახლობლების, მეგობრების დანახვა უნდა...

1981 წლის ნოემბერში **გალინა პოპოვას** დეპეშა მივიღეთ მერაბის დაპატიმრების შესახებ. მეორე დილით მე და ირაკლი ნოვოსიბირსკში გადავფრინდით. ნოვოსიბირსკიდან ტაიშეთისაკენ მატარებლების მოძრაობა თოვლის გამო შეწყვეტილი იყო. გადავწყვიტეთ კრასნოიარსკში გადაფრენა. კრასნოიარსკის აეროპორტი ქალაქიდან საკმაოდ შორს არის. დავსხედით ტაქსში. ყინვა ოცდათხუთმეტ გრადუსამდეა. გზა გაყინულია და უდაბური. გზის მარჯვნივ და მარცხნივ მეტრამდე თოვლი. ტყე. ტაქსის მძღოლი გვიყვება: **„აქ ძალიან ბევრი მკვლელობა ხდება, მერე მოკლულებს თოვლში ფლავენ და გაზაფხულამდე მათ გვამებს ვერავინ პოულობს“.** მეშინია. ტაქსის მძღოლს ვაკვირდები, ამას ირაკლი ნამდვილად მოერევა, მაგრამ თუ შეიარაღებულია? ვებრძვი შიშს, არ მიყვარს, როცა მეშინია, მაგრამ რას იზამ? მძღოლმა მშვიდობიანად მიგვიყვანა რკინიგზის სადგურზე. საშინლად გვშია. დაღლილობისგან ფეხზე ძლივს ვდგავართ. შევედით რესტორანში. გავიხადეთ „დუბლიონკები“, დავსხედით, ამოვისუნთქეთ და ოფიციანტიც მოვიდა. „Ребята, идите в гардероб, помоему ваши дубленки украли“. ფეხები მომეკვეთა. ამ ყინვაში უპალტოოდ დარჩენა... ძლივს მივედი გარდერობამდე. ჩვენი არ იყო მოპარული. ძალიან შემეცოდა, ვისაც მოჰპარეს, მაგრამ, სული ცოდვილო, ძალიან გამიხარდა, რომ ჩვენი არ მოიპარეს.

მატარებლით ჩავედით ტაიშეთში. იქიდან ძლივს ვიშოვეთ მანქანა და კვიტოკში **გალინა პოპოვასთან** ჩავედით. გალინა ძალიან თბილად დაგვხვდა. დაგვაპურა. საიდანღაც შამპანურის ბოთლი ამოიღო, ეს მე და მერაბს ახალ წელს უნდა დაგველიაო და გაგვიხსნა.

**გალინა** *მოგვიყვა:* ***„მერაბი კლუბიდან რომ გამოვიდა, მილიციელი მივიდა მასთან და პალტოს საყელო მოქაჩა.*** *მოწმეები ამბობენ, რომ მილიციელს ეპოლეტები და ფორმის საყელო უკვე მოგლეჯილი ჰქონდა, მერაბთან რომ მივიდა. შემდეგ მერაბს ფეხებქვეშ შეუვარდა და დაცემისას მერაბიც თან წაიყოლა. მოვარდნენ მილიციელები. სურათი ასეთი იყო:* ***მილიციელი თოვლზე იწვა მოგლეჯილი ეპოლეტებით და საყელოთი, მერაბი ზემოთ აწვა. სტაცეს მერაბს ხელი და დააპატიმრეს.*** *ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ რამდენიმე საათით ადრე მე თვითონ ვნახე ტაიშეთიდან ჩამოსული მილიციის მანქანა. მძღოლს გამოველაპარაკე და მითხრა, რომ კოსტავას ასაყვანად არის ჩამოსული. ე.ი. რამდენიმე საათით ადრე მძღოლმა იცოდა, რომ მილიციელი და მერაბი იჩხუბებდნენ და მერაბი „ხულიგნობას“ ჩაიდენდა.*

***ერთი თვით ადრე სუკში ერთი ქალი დაიბარეს და უთხრეს, გაითამაშე სცენა, რომ მერაბი გაუპატიურებას გიპირებდა და ჩვენ შემოვვარდებითო. ქალი წესიერი ადამიანი აღმოჩნდა, მერაბს ყველაფერი უთხრა. „გაუპატიურების“ ვარიანტი რომ ჩაიშალა, „ხულიგნობის“ ვერსია გაითამაშეს“.***

**გალინა პოპოვამ** ბოლომდე უერთგულა მერაბს. ვერანაირი გზით ვერ ათქმევინეს უარი თავის ჩვენებებზე. ჩამოართვეს ქოხი, რომელშიც ცხოვრობდა, მოხსნეს სამსახურიდან და იძულებული გახადეს, კვიტოკი დაეტოვებინა და ზიმაში, თავის მშობლიურ ქალაქში, დაბრუნებულიყო. იქ, საერთო საცხოვრებელში, ერთი ოთახი მისცეს. თავის ორ შვილთან ერთად იქ ცხოვრობდა (ერთი შვილი ინვალიდი ჰყავდა. ბავშვობაში ერთმა ძმამ მეორეს ნაჯახი დაარტყა ხელზე და ხელის მტევანი მოაგლიჯა).

**მერაბი რომ გაათავისუფლეს 1987 წელს, გალინა თბილისში ჩამოვიდა. ამ დროს მერაბი უკვე ჩაფლული იყო თავის საქმეებში, შეიძლება** (დანამდვილებით არ ვიცი), **თამრიკოსთან ურთიერთობაც დაწყებული იყო,** ასე იყო თუ ისე, გალინას საკმაოდ ცივად შეხვდნენ მერაბი და ოლიკო. **გალინა ძალიან გულნატკენი დაბრუნდა უკან. ამას ყველაფერს თვითონ გალინა მომიყვა, როცა მერაბის გარდაცვალების შემდეგ ჩამოვიდა თბილისში.** მერაბის დაკრძალვაზე იყო, მერე ერთი ორჯერ კიდევ ჩამოვიდა, მე რაც შემეძლო, ეკონომიურად დავეხმარე, მერაბ კოსტავას საზოგადოება დაჰპირდა სერიოზულ დახმარებას, მაგრამ მერე ყველაფერი აირია და ვერაფერი გაუკეთეს.

ერთი წლის წინათ გავიგე, რომ შვილი პატიმარი ჰყავს. სხვათაშორის, როცა ზვიადის პრეზიდენტობის დროს აქ ყველაფერი დაიძაბა და რეპრესიებზე საუბარი დაიწყო, გალინასგან დეპეშა მივიღე — „Русудан, приезжай“.

## ᲔᲡ ᲐᲠᲪ ᲖᲕᲘᲐᲓᲡ ᲣᲨᲕᲔᲚᲘᲓᲐ, ᲮᲐᲚᲮᲡ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲐᲯᲔᲠᲔᲑᲓᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲙᲐᲪᲘᲡᲐ, ᲩᲠᲓᲘᲚᲡ ᲛᲘᲐᲧᲔᲜᲔᲑᲓᲐ!

იმ ღამეს მე და გალინა თითქმის განთიადამდე ვსაუბრობდით. მიყვებოდა მერაბის და თავის ურთიერთობას დაწვრილებით, გატაცებით. მე ვუსმენდი. არავითარი რეაქცია არ მქონდა. მერაბს კვლავ უდიდესი საფრთხე ელოდა და მე ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რა დახმარება შეიძლებოდა გამეწია მისთვის.

დილით ტაიშეთში წავედით ირაკლი, გალინა და მე. ვნახეთ რაიონის პროკურორი. მერაბის ნახვის უფლება არ მომცა. მხოლოდ პროდუქტების და ტანსაცმლის გადაცემაზე დამთანხმდა. დამპირდა, რომ სასამართლოს ვადას შემატყობინებდა (მართლაც „გამომიგზავნეს“ ტელეგრამა სასამართლოს დანიშვნის შესახებ, მხოლოდ არასწორ მისამართზე და ტელეგრამა უკან დაბრუნდა ტაიშეთში).

გულდამძიმებულებმა დავტოვეთ ტაიშეთი, გალინას ფული დავუტოვეთ, რომ ამანათები მიეტანა მერაბისთვის, თუ ამის ნებას მისცემდნენ. ნოვოსიბირსკიდან თბილისში ფრენა არ იყო. კრასნოდარში გადავფრინდით და კრასნოდარიდან თბილისში ჩამოვედით.

**ერთ თვეში სასამართლო ჩატარდა. მერაბს ხუთი წელი მიუსაჯეს. ოთხი თვე ირკუტსკის ციხეში იყო.** იქიდან მივიღეთ პირველი წერილი.

●

*ჩემო რუსუდან, ჯობდა, პირდაპირ წამოსულიყავით პაემანზე. პაემანს აქ შორიდან ჩამოსულებს პირველ რიგში აძლევენ, დროის დაკარგვა არ ღირდა. როგორც მგონია, თქვენთვის ცნობილი არ უნდა იყვეს ჩემი დაპატიმრების ისტორია.* ***როგორც ჩანს, მაინც მოახერხეს თავიანთი შემზარავი დანაშაულის მიჩქმალვა. შენც ადვილად მოგატყუეს; შეგპირდნენ, შეგატყობინებთო სასამართლოს დღეს, თუმცა დეპეშა გამოგიგზავნეს, მაგრამ განგებ მცდარი მისამართით, რომ არ მიგეღო*** *(დეპეშის შინაარსი სასამართლოზე წამიკითხეს).* ***შენ, ან ვინმე რომ დარჩენილიყო, თვალყური ედევნებინა სასამართლოს დღისთვის და სასამართლოს დასწრებოდა, ეგენი ამ ენით უთქმელ თვითნებობას ვერ გაბედავდნენ.*** *მაგრამ მათ, როგორც ჩანს, ისე მოახერხეს, რომ საქართველოში დღესაც არ იციან საქმის ნამდვილი ვითარება და ჰგონიათ, რომ რაღაც მაინც ჩავიდინე.* ***თქვენ, თურმე, დაგიწერიათ განცხადებები პატიებაზე. საპატიებელი რა მჭირს, თითი არავისთვის დამიკარებია და გადაკრული სიტყვაც კი არავისთვის მითქვამს.*** *კასაციიდან არაფერი გამოვიდა და ირკუტსკის ციხეში ტყუილა მაყურყუტეს 4 თვეს. მოკლედ, მეორე წერილი შეგატყობინებს ყველაფერს. წაიკითხე იგი და გადაეცი.*

*გკოცნი.*
*შენი მერაბი.*
*XII.1982*

●

ირკუტსკიდან ანგარსკის ბანაკში გადაიყვანეს. მოგვივიდა შეტყობინება, რომ პაემანი გვეკუთვნოდა.

ანგარსკში მე და **ოლიკო** წავედით. ჩავფრინდით მოსკოვში, იქიდან გადავფრინდით ირკუტსკში და ღამის პირველ საათზე ირკუტსკში ჩავფრინდით. ანგარსკში ჩემი ნაცნობის ახლობლის მისამართი გვქონდა. ანგარსკი ირკუტსკიდან 50-მდე კილომეტრით არის დაშორებული. ავიყვანეთ ტაქსი. ტაქსის მძღოლი კარადის მსგავსი კაცი იყო კაცისმკვლელის გამომეტყველებით. გზაში მანქანა გააჩერა, ვიღაცას დაუძახა და მეორე კაცი ჩასვა მანქანაში, ასევე ბოროტმოქმედის ჰაბიტუსით.

დავტოვეთ ირკუტსკი და გავედით უკაცრიელ ტრასაზე. გზის ორივე მხარეს ტყეები. მივდივართ. თან, ისიც არ ვიცი, ანგარსკში მივდივართ კი? **ვიცი, რომ ამ მხარეში ბოროტმოქმედთა სამყარო ძალიან ძლიერია. მამაკაცი არ არსებობს, ციხეში რამდენიმე წელი არ ჰქონდეს გატარებული. ჩვენი მძღოლი და მისი მეგობარი რომ, მინიმუმ, 10 წელი ისხდნენ, საეჭვო არაა.** ჩვენ, ცხადია, ამ სიშორიდან ჩამოსულებს ფული გვაქვს და მათ ეს იციან. საერთოდ ლაპარაკი დიდად არ მიყვარს, მითუმეტეს უცნობებთან. მაგრამ აქ მთელი ჩემი „მჭევრმეტყველება“ ჩავრთე. ვყვებოდი, როგორ დავდივარ ხუთი წელი ციმბირში პატიმარ მეუღლესთან, როგორი კარგი ხალხია ციმბირელები, როგორი თანაგრძნობა იციან პატიმრის პატრონის (ეს, სხვათაშორის,

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ 28-Ე ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

### ᲙᲔᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲒᲝᲩᲐ ᲥᲐᲞᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
*მხატვარი*



**ვაჟა-ფშაველას პორტრეტში 100 ათას დოლარს მთავაზობენ, მაგრამ არ ვყიდი.** 15 წელი ვხატავდი ზოოპარკთან, რაც ბევრს უკვირდა — **ასე კარგად ხატავ და აქ რატომ ხარო.** იმიტომ, რომ იქ იმ წუთში გიხდიან და კარგი ფულიც კეთდება. ერთი დღე გახვალ და ჯიბეში უკვე ერთი თვის ხელფასი გიდევს.

„სარკე“

**ᲖᲣᲠᲐ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ**
*ბოტანიკოსი*



უსაშველო ადამიანი ვარ და იცით, ეს რას ნიშნავს? **შეყვარებაც, ზიზღიც, გაბრაზებაც და მოფერებაც უსაზღვრო ვიცი.** ასეთი ადამიანისთვის ცხოვრება უფრო რთულია, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანისთვის.

„სარკე“

**ᲨᲐᲘᲜᲘᲜᲐ**
*ტელეწამყვანი, ჟურნალისტი*



ქალებს უნიკალური თვისება აქვთ — შეუძლიათ, **ერთ წამში** იყვნენ ანგელოზები, **მეორე წამში** კი ცოცხით გაფრინდნენ.

„თბილისელები“

**ᲔᲚᲔᲜᲔ ᲗᲝᲩᲮᲣᲐ**
*მომღერალი*



**თუ მტკივა და მიჭირს, უფრო მეტად მემღერება.**

„თბილისელები“

# მერაბ კოსტავას მეუღლის

*დასაწყისი 26-ე გვერდზე*


მერაბ კოსტავა და რუსუდან ბერიძე

## რუსუდან ბერიძე:

**გახსოვს, ერთხელ მე და შენი მორიგი გაშორების დროს მე ვიხუმრე, რომ „ვერცხლის“ და „ოქროს“ ქორწილს ერთად შევხვდებით-მეთქი. ჩემი წინასწარმეტყველების პირველი ნაწილი შესრულდა, ვნახოთ, როგორი იქნება „ოქროს“ ქორწილი — 2009 წელს. მომისმინე, 2009 წელს ჩვენ სულ „ახალგაზრდები“ ვიქნებით — 70-წლისანი!**

მართლაც ასეა, ამაში ბევრჯერ დავრწმუნდი), როგორ ვაფასებ ამ თანაგრძნობას და ა.შ. შეუჩერებლად... რამდენჯერმე გადმომხედეს, ჩემი დედამთილიც ცოტა განცვიფრებული მიყურებს, მე კი შეუჩერებლად განვაგრძობ ლაპარაკს... ამასობაში გამოჩნდა წარწერა **„ანგარსკი“,** მე უცებ გავჩუმდი ძალაგამოცლილი და მისამართის თქმა ძლივს მოვახერხე. **ისე, ახლაც დარწმუნებული ვარ, რაღაცას ცუდს გვიპირებდნენ და სიტყვამ შეაჩერათ.**

ჩვენი მასპინძლები კეთილი და თბილი ხალხი აღმოჩნდა. ღამის სამი საათი იყო, მათთან რომ მივედით. სუფრა გაგვიშალეს, ჩაი დაგვალევინეს და მოგვასვენეს.

მეორე დილით ბანაკში წავედით. ბანაკი ქალაქიდან რამდენიმე კილომეტრში იყო. ეს რეციდივისტების სპეციალური ბანაკია. 1800-მდე პატიმარი იხდიდა სასჯელს. ყველა ტიპის დამნაშავე იჯდა აქ, **მარტო 15 ადამიანი მამის მკვლელობაზე იხდიდა სასჯელს, ერთი — დის გაუპატიურებაზე, ჩვეულებრივი მძარცველები და მკვლელები ხომ უამრავი...**

ბანაკის შენობას უზარმაზარი ქვის გალავანი ჰქონდა შემოვლებული. ირგვლივ დადიოდნენ მცველები, უზარმაზარი ნაგაზები დაჰყავდათ საბელით. შენობიდან მოშორებით დაბალი, ერთსართულიანი სახლი იყო, შიგ ერთი მოზრდილი ოთახი იყო. აქ პატიმრების პატრონები იცდიდნენ, რომელთაც პაემანი ეკუთვნოდათ ან თხოულობდნენ. ასე ღარიბულად ჩაცმული ადამიანები იშვიათად მინახავს. სახეები განწირული და სასოწარკვეთილი. ერთი მოხუცი ქალი იდგა მათ შორის. კალოშები და დაგლეჯილი ბუშლატი ეცვა, 5 კოლოფი ასანთი ეჭირა ხელში და იხვეწებოდა: ეს ასანთი ვუყიდე ჩემს შვილს, პაემნის ნება არ დამრთეს, იქნებ იყიდოთ ვინმემ (ეს ის პერიოდია, ასანთი 1 კაპიკი რომ ღირდა). გული დამეწვა. განზე გავიყვანე და ხუთმანეთიანი მივეცი, მე ვიყიდი შენს ასანთს-მეთქი. ტირილი აუვარდა...

ერთმანეთი გავიცანით პატიმრების პატრონებმა. ყველამ შეგვიცოდა, რომ ამოდენა გზა გამოვიარეთ პატიმრის სანახავად. როცა მოვიდა მილიციელი ქალი, რომელსაც პაემნების საქმე ევალებოდა, ყველამ ჩვენზე სთხოვა, პირველად ამათ მიეცით პაემანი, შორიდან არიან ჩამოსულებიო (მერე გავიგე, ესენი ახლომახლო სოფლებიდან და ქალაქებიდან კი იყვნენ ჩამოსულები, მაგრამ პაემანს რომ ელოდებოდნენ, სადგურის მოსაცდელში ათევდნენ ღამეს).

მოგვცეს პაემანი. პაემნის ადგილი: გრძელ დერეფანში 7 ოთახი იყო ჩამწკრივებული და საკმაოდ დიდი სამზარეულო. სუფთა იყო ყველაფერი. კედლებზე შიშკინის რეპროდუქციებიც კი ეკიდა.

**შემოიყვანეს მერაბი. პატიმრის შავი უნიფორმა ეცვა. გამხდარი იყო. გატანჯული სახე ჰქონდა. არაჩვეულებრივად ლამაზი იყო. ცხვირი, შუბლი, ყვრიმალები თითქოს მარმარილოში გამოთლილი ჰქონდა** (საერთოდ, ძალიან სკულპტურული გარეგნობა ჰქონდა და გადატანილმა წამებამ კიდევ მეტად დახვეწა მისი გარეგნობა). ოლიკო რამდენიმე საათს დარჩა და შემდეგ ანგარსკში დაბრუნდა ჩვენს მასპინძლებთან. **დავრჩით მე და მერაბი. ძალიან ცდილობდა, მხნეობა არ დაეკარგა. მაგრამ უკვე ეტყობოდა, საქართველოში როდისმე დაბრუნების იმედი აღარ ჰქონდა.** ამდენი უბედურების გადამტანი ადამიანი ვერაფრით ვერ ეგუებოდა, რომ ასე ტყუილუბრალოდ დააპატიმრეს, თან ხულიგნობაზე და ასეთ ბანაკში გამოგზავნეს, რომ პოლიტიკური პატიმრის სტატუსი აღარ ჰქონოდა. **მე დავამშვიდე, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობა აღშფოთებულია მისი დაპატიმრებით და ყველამ იცის, რომ მისი „ხულიგნობა“ გათამაშებული სპექტაკლი იყო.**

ვკითხე, როგორ ეგუებოდა ბანაკის ატმოსფეროს. მიპასუხა, რომ ძალიან თბილად მიიღეს, ყველა პატივისცემით ეპყრობა, არავითარი პრობლემა პატიმრებთან ურთიერთობის არა აქვს. პერმის ბანაკში პატიმრების წრე ინტელექტუალური ელიტა იყო, აქ სხვანაირი ადამიანები არიან, მაგრამ ყველგან შეიძლება ადამიანში კარგი აღმოაჩინო (ეს მერაბის კრედო იყო და ყოველთვის სჯეროდა ამის).

**მერაბთან ერთად მჯდომი პატიმარი მომიყვა:** საპატიმროს ეზოში დიდი „ბარაკები“ იდგა და პატიმრებს იქ ეძინათ. 400-მდე პატიმარი იძინებდა ერთ გრძელ ოთახში (თავლის ტიპის). ბარაკის წინ ნაძვის ტოტებს აწყობდნენ, ნაკლები ტალახი რომ შესულიყო „ბარაკში“. მერაბი, როგორც ბავშვობაში ბებიამ ასწავლა, დიდხანს ბეჯითად იწმენდდა ფეხებს, სანამ „ბარაკში“ შევიდოდა. პატიმრები ერთმანეთს ეუბნებოდნენ თურმე, ამ კაცს ჩვენთან ერთად რა უნდა ბანაკშიო... შემდეგში, როცა მერაბმა შიმშილობა გამოაცხადა, ყველა პატიმარი ფეხზე დადგა, შიმშილობა გამოაცხადეს და კინაღამ პატიმრების აჯანყება მოხდა. ისევ მერაბის თხოვნას დაუჯერეს და შიმშილობა შეწყვიტეს.

და მაინც... მე თვითონ ვნახე ამ ბანაკის პატიმრები იმ შეხვედრის და მომდევნო შეხვედრების დროს. როგორც ვთქვი, 7 შესახვედრი ოთახი იყო. ის დანარჩენი პატიმრები ან სამზარეულოში „ჩეფირს“ ხარშავდნენ ან დერეფანში წინ და უკან დადიოდნენ. ოთახებში მათი ცოლები ან დედები ისხდნენ (დასთან პაემანი აკრძალული იყო ციმბირის ბანაკებში...). ეტყობა, ეს ხალხი ისე იყო მიჩვეული ბანაკის სიტუაციას, რომ გარედან, თავისუფლებიდან მოსულ ხალხთან საერთო არაფერი აღარ ჰქონდათ და ისევ ერთმანეთთან ურთიერთობდნენ ან „ჩეფირის“ შემდეგ უაზრო სახეებით მიდიმოდიოდნენ.

**მერაბს ყველაფერი აინტერესებდა. გაიზარდა თუ არა ეზოში მისი დარგული ხე, როგორი ამინდია თბილისში, რას აკეთებს ესა თუ ის მისი ნაცნობი, რა დაიწერა, რა დაიდგა, რა ფილმი გადაიღეს. სიამაყით მიყვებოდა, როცა ტელევიზორში „დათა თუთაშხია“ გავიდა, რა საოცარი რეაქცია ჰქონდათ პატიმრებს ამ ფილმზე, როგორ აღმერთებდნენ ოთარ მეღვინეთუხუცესს, რა სიხარული იყო ბანაკში, როცა ტელევიზორში ბუბა კიკაბიძე მღეროდა...**

გავიდა სამი დღე... ჯერ მერაბს მოაკითხეს. ორი მცველი ამოუდგა მარცხნივ და მარჯვნივ. აუტანლად გაიღრჭიალა რკინის კარებმა. მერაბის ბოლო გამოხედვა, უსაზღვრო სევდა, განწირული, მაგრამ არდაცემული კაცის ტკივილი — ყველაფერი იყო ამ გამოხედვაში.

მე გარეთ გამოვედი. უსამართლობა, რომელსაც ვერაფრით შეებრძოლები, შენი უსუსურობა ამ უსამართლობის წინაშე, ეს უსასრულო ციმბირის მიწა, სადაც მამაჩემის ძვლებიც განისვენებს და მილიონობით სხვა უდანაშაულო ადამიანის — ნახევარი საათი გაქვავებული ვიდექი ბანაკის წინ, ვფიქრობდი, ტკივილისაგან გული გამისკდებოდა, ძლივს მოვერიე საკუთარ თავს, რომ ნაბიჯი გადამედგა.

**დაიწყო ანგარსკის წლები. ანგარსკიდან წერილები რუსულ ენაზე მოდიოდა. მეც რუსულად ვპასუხობდი. პერმის ბანაკი პოლიტიკური პატიმრებისა იყო და იქ, სუკში, ეტყობა, ჰყავდათ თარჯიმნები, რომ პატიმართა წერილები წაეკითხათ.** ანგარსკში მერაბი უცხო ტიპის პატიმარი იყო, ისედაც შეწუხებულები იყვნენ. იქაურმა თანამშრომელმა ქალმა მითხრა — **მოსასმენი აპარატურა ამ ბანაკში არასოდეს ჰქონიათ, მხოლოდ მერაბის მისვლის შემდეგ დადგეს.** როცა ბანაკის უფროსს ვკითხე, რატომ არ გვაძლევთ მშობლიურ ენაზე მიწერ-მოწერის საშუალებას-მეთქი, თავხედურად მიპასუხა — **რუსული ენა თქვენი მშობლიური ენაა, ჩვენ არ ვმალავთ, რომ პატიმრების წერილებს ვკითხულობთ, ამიტომ ჩვენთვის გასაგებ ენაზე უნდა იყოს დაწერილიო.**

●

1983 წლის მაისში გრძელვადიან პაემანზე მე და ირაკლი წავედით. ანგარსკში ცივი, თოვლიანი და უსიამოვნო ამინდი დაგვხვდა. კვლავ პატიმართა პატრონების სასოწარკვეთილი სახეები, სიღატაკე, სიდუხჭირე, არყის და ოფლის სუნი მოსაცდელ ოთახში... მთელი დღე ლოდინის შემდეგ ანგარსკში დავბრუნდით. მეორე დღეს, როგორც იქნა, პაემანი მოგვცეს. **ისევ რკინის კარების ღრჭიალი, აგდებული დამოკიდებულება. როგორც იქნა, შევედით ჩვენთვის განკუთვნილ ოთახში. რამდენიმე საათის ლოდინის შემდეგ მერაბი შემოიყვანეს.**

ძალიან ცდილობდა, მხნე, გაუტეხელი და მხიარული ყოფილიყო. მაგრამ მის თვალებში უკვე უიმედობა იკითხებოდა. მე ვკითხე: **„მერაბ, საზღვარგარეთ წასვლა რომ შეგთავაზონ, წახვალ?“** მიპასუხა: **„საზღვარგარეთ წასვლა ნიშნავს, რომ საქართველოში ვეღარასოდეს დავბრუნდები. თუ აქედან გამოშვებას არასოდეს არ მიპირებენ, მაშინ ციხეში მუდმივად ყოფნას საზღვარგარეთ წასვლა მირჩევნია. მაგრამ თუ ოდნავ იმედი არსებობს, რომ გინდაც 10 წლის შემდეგ საქართველოში დავბრუნდები, ისევ ციხეში ყოფნა მირჩევნია...“**

ამ დროისათვის ბალინა პოპოვას მოწოდებული ჰქონდა ინფორმაცია ჩვენთვის, რომ **ირკუტსკის ოლქის სუკში თქვეს, რომ კოსტავას ციმბირიდან არასოდეს გამოუშვებენ.**

ბევრ ქვეყანაში ამ პერიოდში საბჭოთა დისიდენტების დასაცავად მძლავრი აქციები მიმდინარეობდა. იყო მოთხოვნები დისიდენტების საზღვარგარეთ გადაცემის შესახებ. ეს იყო ასეთი შეკითხვის დასმის მიზეზი.

ისევ საათობით გვიყვებოდა მერაბი თავის ფიქრებზე, აზრებზე. ბევრი ილაპარაკა პატიმართა ფსიქოლოგიაზე, მიზეზებზე, რომლებმაც ეს ადამიანები ბოროტმოქმედებამდე მიიყვანა, სიკეთის ნაპერწკალზე, მაინც რომ ბჟუტავს მათ ცოდვით ჩაბნელებულ სულებში; მოიგონა ყველა ნათესავი, მეზობელი, მეგობარი, ცალკე გამოიკითხა თითოეულის ამბავი. ირაკლი თბილისურ ანეკდოტებს უყვებოდა, გულიანად აცინებდა მერაბს და რამდენიმე წუთით სამივეს გვავიწყდებოდა, სად ვიყავით...

სამი დღე, როგორც ყოველთვის, ძალიან სწრაფად გავიდა. გაიყვანეს მერაბი და ჩვენ ანგარსკში დავბრუნდით.

●

1984 წლის აპრილი. მე და ირაკლი კვლავ დავადექით ანგარსკის გზას. ყველაფერი ჩვეულებრივად იყო. წვალება გზაში. ღამისთევა აეროპორტში. ისევ ბანაკის ჭუჭყიანი მოსაცდელი ოთახი. მთელი დღის ლოდინი. პაემანი არ მოგვცეს. უკან, ქალაქში დავბრუნდით. მეორე დღეს ისევ საათობით ლოდინი. ისევ რკინის კარების ღრჭიალი.

**მერაბს დიდხანს ველოდით, ბოლოს შემოიყვანეს. ყველაფერი ისე იყო, როგორც ყოველთვის... მხოლოდ არც მერაბი, არც ირაკლი და არც მე მაშინ ვერ ვიფიქრებდით, რომ მამა-შვილი უკანასკნელად ხედავდა ერთმანეთს.**

ამ შეხვედრაზე, ძირითადად, ირაკლი და მერაბი საუბრობდნენ. ირაკლი ამ დროისათვის ღრმად და ფართოდ განათლებული ბიჭი იყო. წაკითხული ჰქონდა პლატონი, არისტოტელე, შოპენჰაუერი, ნიცშე, ვეინინგერი; ბიბლიიდან ზეპირად იცოდა ძალიან ბევრი ადგილი, მთლიანად ზეპირად იცოდა „იოანეს სახარება“, ქართული პოეზიის უამრავი შედევრი, რუსი პოეტები — განსაკუთრებით, მანდელშტამი და მაიაკოვსკი... ფილოსოფიურ და რელიგიურ თემებზე თანაბარი ძალით საუბრობდნენ, მე-20 საუკუნის ლიტერატურა და პოეზია ირაკლიმ უკეთესად იცოდა. როცა ირაკლი კამათს მოიგებდა, მერაბი ჯერ ბავშვივით გაიბუტებოდა, შემდეგ სახე გაუნათდებოდა და შვილს სიამაყით შეხედავდა. უხაროდა მისი ნიჭიერება, მისი გონიერება. მოსწონდა, ირაკლი ფიზიკურად ძლიერი და ლამაზი რომ იყო. **ჩვენთვის განკუთვნილი საათები ელვის სისწრაფით გადიოდა და მამა-შვილის სამუდამო განშორების დროს აახლოებდა...**

მაშინ დამშვიდობებისას ყურადღება არ მიმიქცევია. მერე მომაგონდა. **განშორებისას დიდხანს ჩახუტებული ჰყავ-**

## კვირგვინოსნები

**ნინო სურგულაძე**
*ოპერის მომღერალი*



ჩვენმა შვილებმა უნდა იცოდნენ ჩვენი ისტორია და წარმომავალობა. **უნდა გავუფრთხილდეთ ამ საოცარ ქვეყანას, საქართველოს და მასში და მის ფარგლებს გარეთ კიდევ უფრო საოცარ ქართველებს!** ჩვენ ამით ვართ, პირველ რიგში, ქართველები და შემდგომ მდიდრები! **ეს ქვეყანა იმსახურებს ბედნიერებას, გაბრწყინებას და გამთლიანებას!**

„სარკე“

**ბესო ზანგური**
*მსახიობი*



ჩემი და **რობერტ სტურუას** ურთიერთობა **ვიღაცების ენებს შეეწირა. რობერტ სტურუა** ჩემთვის ისევ იმ პიროვნებად დარჩება, ვინც აქამდე იყო და რადაც ვთვლიდი. **85 წლის ასაკში ადამიანმა შენზე რაიმე რომც დაიჯეროს, არა გაქვს უფლება, მასზე ცუდი რამ თქვა** — ჩემგან ეს გამორიცხულია!

„კვირის პალიტრა“

**მარიკა კარბოზია**
*ტელეწამყვანი*



მე **არ შემიძლია** საქართველოს გარეშე და **არც ვაპირებ** ცხოვრების წესის შეცვლას.

„თბილისელები“

**ზანდა იოსელიანი**
*მსახიობი*



**ზოგიერთმა ამ სიბერეში გამიმჟღავნა, რომ თავის დროზე მოვწონდი.**

„სარკე“

# უცნობი დღიურები



**და ირაკლი, გულზე მჭიდროდ მიკრული, მერე ასხლეტით მოიშორა, მე გადამკოცნა, ჩქარი ნაბიჯებით წავიდა თავის მხლებლებთან ერთად კარისკენ, კარმა გაიღრჭიალა, გასვლამდე მოიხედა.** ასეთი განწირულობა მე ადამიანის თვალებში არასოდეს მინახავს. არა, ცრემლები არ ჰქონდა თვალებში. სრული უიმედობა და განწირულობა. **უგრძნო გულმა, რომ შვილს უკანასკნელად ხედავდა? არ ვიცი, თვითონ არ უთქვამს. იქნებ ვერც გააცნობიერა და სხეულმა უგრძნო...**

•

**გამარჯობა, მერაბ!** გილოცავ დაბადების 45-ე წლისთავს. გისურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სულის სიმხნევეს, დიდხანს სიცოცხლეს და თავისუფლებას...

გუშინ შენი დაბადების დღე აღვნიშნეთ. მოვიდნენ **გიზო კორძაძე, რუდიკო შაუთიძე, ვაჟა ადამია, დათო კოსტავა,** ჩემი დაქალები: **ლიანა პაქსაშვილი, ზეინაბ ებრალიძე, მანანა ჯაფიაშვილი,** რა თქმა უნდა, **ქეთინო ბერიძე და ელიკო გოგუაძე.** ირაკლის მეგობრები მთლიანი შემადგენლობით გამოცხადდნენ. მთავარი სტუმარი ჩვენთან შენი ქალიშვილი **თამთა** იყო. **გაცნობა ასე მოხდა: ირაკლიმ ქუჩაში დაინახა თამთა და დედამისი, გაჰყვა, მაგრამ მისვლა მოერიდა. მეორე დღეს, ჩემი გამხნევების დახმარებით, გაბედა მათთან ასვლა.** ძალიან კარგად მიიღეს. **თამთამ იცოდა უკვე, რომ ძმა ჰყავდა და ძალიან გაიხარა მისი ნახვით.** ირაკლი ძალიან დაუმეგობრდა თავის დაიკოს, ატარებს სასეირნოდ მთაწმინდაზე, ვაკის პარკში, დაჰყავს სტუმრად ნათესავებთან და მეგობრებთან. გუშინ კი შენს დაბადების დღეზე, ჯავახიშვილზე მოიყვანა. მშვენიერი გოგონაა. ძალიან ჰგავს ოლიკოს. **მე და თამთა სწრაფად დავმეგობრდით. ძალიან თბილი და ალერსიანი ბავშვია. კარგად ხატავს.** შენ საჩუქრად თავისი ნახატი მოგიტანა. ფოსტით არ მინდა გამოვგზავნო, როცა ჩამოვალ, ჩამოგიტან. მე ძალიან მიხარია ირაკლის და თამთას დაახლოება.

ყველანი კარგად ვართ. ახალი არაფერია. გკოცნი ბევრს.

**რუსუდანი**
**27.05.84**

•

**გამარჯობა, მერაბ!** შენი წერილი დიდი ხანია, არ მიგვიღია. როგორ ხარ? როგორია შენი განწყობა? **ოლიკომ დაწერა განცხადება თხოვნით შენი საქართველოში გადმოყვანის შესახებ. მიიღო პასუხი, რომ საქმე წარმოებაში გადაეცა. ალბათ, ერთი თვის შემდეგ პასუხი იქნება.**

ჩვენ ცოცხლები და ჯანმრთელები ვართ. ირაკლი აგრძელებს თამთას მოვლას, დაჰყავს სასეირნოდ, დაჰყვება კონსულტაციებზე და გამოცდებზე (თამთა მუსიკალურ სკოლაში აბარებს). შაბათს მეც ვიყავი ჯავახიშვილზე და თამთა სადილად დავპატიჟეთ. **ძალიან მიხარია, რომ თამთამ და ირაკლიმ ერთმანეთი იპოვეს.**

სასწავლო წელი დამთავრდა. ახლა გამოცდები მეწყება და მთელი თვე დაკავებული ვიქნები.

აგვისტოში დედაჩემი სურამში მინდა წავიყვანო. ძალიან მოუხდა იქაური ჰავა.

ოლიკო შენთან აპირებს ჯერ და მერე გალინასთან უნდა სტუმრად დარჩეს.

როდის გაქვს მოკლევადიანი პაემანი.

მოგვწერე წერილი. გკოცნი.

რუსუდანი
7.06.84

•

**ჩემო მერაბ!** შენმა წერილმა ისევ დაიგვიანა. როგორ ხარ? როგორია შენი განწყობა? დრო შენთვის, ალბათ, ძალიან ნელა გადის, მაგრამ ხომ მაინც ახლოვდება შენი დაბრუნების დრო.

თუმცა მე მორწმუნე არა ვარ, მაგრამ მაინც ხშირად შევდივარ ეკლესიაში და ორ სანთელს ვანთებ. ერთ სანთელს ვანთებ და ჯანმრთელობას და სულის სიმხნევეს გისურვებ, მეორე სანთელს შენი დაბრუნების სურვილით ვანთებ...

თქვენთან კი ზამთარია, ცივა. ყოველთვის ვკითხულობ გაზეთებში ამინდის ბიუროს ცნობას.

თბილისში ბოლო დღეები ცივია. აქამდე სულ მზიანი დღეები გვქონდა.

ჩვენ ყველანი ჯანმრთელად ვართ — ირაკლი, ოლიკო, ნინა და მე.

**მერაბ, წელს ჩვენ „ვერცხლის“ ქორწილი გვაქვს — 25 წელი. ვიცხოვრეთ ძნელი, რთული, ხანდახან ბედნიერი, ხანდახან ცრემლიანი — მთელი ახალგაზრდობა.**

გახსოვს, ერთხელ მე და შენი მორიგი გაშორების დროს მე ვიხუმრე, რომ „ვერცხლის“ და „ოქროს“ ქორწილს ერთად შევხვდებით-მეთქი. ჩემი წინასწარმეტყველების პირველი ნაწილი შესრულდა, ვნახოთ, როგორი იქნება „ოქროს“ ქორწილი — 2009 წელს. **მომისმინე, 2009 წელს ჩვენ სულ „ახალგაზრდები“ ვიქნებით — 70-წლისანი.**

ხანდახან მეჩვენება, რომ რაღაც მისტიკაა ჩვენი ერთმანეთისგან გაქცევასა და დაბრუნებაში...

შემდეგ წერილში, ძალიან გთხოვ, წაიფილოსოფოსე ამ თემაზე.

მაცნობე, როდის არის პაემანი. გკოცნი.

რუსუდანი
12.04.84

•

**გამარჯობა, მერაბ!** დიდი ხანია, წერილი არ მომიწერია შენთვის. ძალიან ნაწყენი ვიყავი, ველოდი, როდის გამივლიდა წყენა. წყენამ არ გამიარა, მაგრამ შემიძლია ამ წყენაზე მშვიდად ვილაპარაკო. შენ, ალბათ, იცი, რომ ოლიკო და გალინა სოხუმში ისვენებდნენ ბაჩანასთან. როცა მე ოლიკოს ვკითხე, რატომ გააკეთა ეს, მან მიპასუხა, რომ ეს მერაბის სურვილი იყოო. **შენ ბევრი დრო გაქვს მაქ ფიქრისთვის, მერაბ, იფიქრე, რამდენად სამართლიანია ეს ჩემ მიმართ. თუ საჭირო და აუცილებელი იყო გალინას სოხუმში ნათესავებთან წარდგენა, არ შეიძლებოდა, გეკითხა ჩემთვის და შეგეთანხმებინა? შენ ხომ იცი, მე გალინას საწინააღმდეგო არაფერი არა მაქვს, აქ ჩემ მიმართ დამოკიდებულებაზეა საუბრი. დამეთანხმე, არავის არ უყვარს, როცა მას იგნორირებას უკეთებენ.**

სიყვარული ღმერთის მიერ არის მოცემული. მისი მოთხოვნა არ შეიძლება. მაგრამ კორექტულობა ურთიერთობაში, მე მგონი, აუცილებელია.

**23 აგვისტოს დედაშენის დაბადების დღეა. შენ უგზავნი მას მოლოცვას — ძალიან კარგია, შენ ვალდებული ხარ, ეს გააკეთო, მაგრამ 20 აგვისტოს ხომ ჩემი დაბადების დღეც იყო.** არ შეიძლებოდა, ერთი ღია ბარათი გამოგეგზავნა? ნუთუ მე, როგორც მეგობარმა, ამ წლებში ეს არ დავიმსახურე?

შენ ყველაფერ ამაზე იფიქრე და თუ საჭიროდ ჩათვალო, მიპასუხე.

რუსუდანი
16.10.84

•

**გამარჯობა, რუსუდან!**

ცოტას იწერებით. ანტრაქტები, ცოტა არ იყოს, ხანგრძლივი გამოგდით. ყურებს გაუფრთხილდით. მშვენივრად ვიცი ირაკლის დამოკიდებულება ეპისტოლარული ლიტერატურისადმი, მაგრამ დაე, იცოდეს, რაკიღა თხზვის მოთხოვნილება გაუჩნდა, რომ ყველა დიდი მწერალი ჩინებულად ფლობდა ამ ჟანრსაც. აღარც დედა მწერს აღარაფერს. არადა, პაუზები რაღაცას ავს გაფიქრებინებს ადამიანს. კარგი, როგორა ხართ მაქ, თქვენთან? რაც მთავარია, ცოცხლები ხომ ხართ და ჯანმრთელები?

**აქ ზამთრის გაყინული ხერხემალი უკვე ხრჭიალს გამოსცემს და სკდება. საკმაოდ დათბა. შორიდან და სუსტად, მაგრამ მაინც რაღაც ნიშანს იძლევა უკვე გაზაფხული. მაგრამ რაც გინდა თქვი და ზამთარს თოვლისა და ყინვის ნაკლებობა არ უნდა ეტყობოდეს. როგორც ჩვენთან გაზაფხული, ზაფხული და შემოდგომა, აქ ზამთარია შეუდარებელი.**

აი, ახლა, ამ წუთში მივიღე შენი წერილი. მთხოვ, წავიფილოსოფოსო იმასთან დაკავშირებით, რომ **25 წელი გავიდა ჩვენი დაქორწინებიდან და რომ ჩვენ, არც მეტი, არც ნაკლები, 45-45-წლისანი ვართ.** აქ ფილოსოფოსობა კი არა, იუმორია საჭირო, ვიცინოთ უნდა, ჩვენსავე თავს უნდა დავცინოთ, ან თითო აგური უნდა დავიჭიროთ ორივე ხელში და თავში ვირტყათ. ხუთი წელია, ხომ უკვე, რაც შენ პოტენციური ბებია ხარ, მე კი — ბაბუა?! კარგად ჟღერს, არა? არ ვიცი, დავბერდი თუ არა, მაგრამ სიბერის არ მეშინია. **სიბერის შიში იგივე სიკვდილის შიშია და ხევსურული ხალხური ლექსი ხომ გახსოვს:**

„სიკვდილმა ჩამოიარა,
ბერკაცი დახვდა წინაო“.

არ არის ზუსტი, რა თქმა უნდა, მაგრამ არსი დაჭერილია.

**რა ბედენაა, სიკვდილი თუ წამიყვანს — ერთი კარგი ჩვენებური დახვედრა უნდა, როგორიც იმ ბერიკაცმა მოუწყო, რა მნიშვნელობა აქვს — როდის? გინდა, ახლავე იყოს, გინდა — ოცდახუთი წლის მერე.** ამიტომ არ უნდა გეშინოდეს მისი პარლამენტარისა — სიბერის. სულაც არ არის პირქუში ფილოსოფია, მაგრამ ზოგიერთებს შეიძლება ასე მოეჩვენოთ. კეთილი: დავკმაყოფილდეთ უფრო ნათელი, გოეთესეული ფორმულირებით — სიბერე სიჭაბუკეში და სიჭაბუკე სიბერეში, ანუ ნაადრევი სიბრძნე ახალგაზრდობაში და ბავშვური სიწმინდე და სიცოცხლის წყურვილი სიბერეში.

ჰო, გოეთე მაქსიმალისტი იყო და არ არის ეს ცუდი.

აბა, ჯერჯერობით. გისურვებ ყოველივე საუკეთესოს. მოკითხვა ყველას. გკოცნი.

მერაბი
26.11.1984 წ.

P.S. **პაემნის დღე 5 აპრილია.**

ძალიან ძნელი ყოფილა წარსულთან დაბრუნება. იშლებიან მოგონებები, მაწვალებენ, თავს არ მანებებენ. თითქმის გათენებამდე ვწევარ ლოგინში გახელილი თვალებით, მაგონდება, მტკივა, ყველა ჭრილობა ერთად გაიხსნა...

ბოლო წერილები უპასუხოდ რჩებოდა. მერაბი ღებულობდა ჩემს წერილებს **(ყველა ჩემი წერილი, რომელიც მომყავს, მერაბმა ჩამოიტანა გადასახლებიდან, პერმის და კვიტოკის წერილები გალინასთან დატოვა და მერაბის გარდაცვალების შემდეგ გალინამ ჩამომიტანა)**. მერაბის წერილები ჩვენთან არ მოდიოდა.

•

1984 წლის შემოდგომაზე „ამერიკის ხმამ“ გვამცნო, რომ მერაბს შიმშილობა ჰქონდა გამოცხადებული, რადგან უარი განაცხადა, მისი ღირსების შემლახავი სამუშაო შეესრულებინა ბანაკში. **„ამერიკის ხმა“ თითქმის ყოველდღე იტყობინებოდა მერაბის მდგომარეობას. 12 დეკემბერი იყო, მგონი, გადმოსცეს, რომ მერაბის ჯანმრთელობა საფრთხეშია,** მოშიმშილე **საკანშია მიტოვებული და საავადმყოფოში არ გადაჰყავთ.** 14 დეკემბერს ირკუტსკში ჩავფრინდი. ირაკლი თხოულობდა, რომ წამეყვანა, მაგრამ ვარჩიე, მარტო წავსულიყავი.

ირაკლი ყოველ ჩამოსვლაზე, როგორც კი აგდებულად მოგვექცეოდნენ, ფიცხდებოდა და ყოველ ჩასვლაზე გული მისკდებოდა, ისიც არ დაეპატიმრებინათ „ხულიგნობის“ მუხლით. **ირკუტსკში 50 გრადუსი ყინვა დამხვდა. ტრაპიდან ფეხი რომ ჩამოვდგი, სუნთქვა შემეკრა. აეროპორტის შენობა ასიოდე მეტრით იყო დაშორებული, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ნაბიჯის გადადგმის ძალა არ მქონდა. შემოვუძახე საკუთარ თავს, ამოვისუნთქე და საკუთარი თავი ვაიძულე, ნაბიჯი გადამედგა.**

მეორე დილით ბანაკის უფროსის კაბინეტში ვიყავი. უხეშად შემხვდა, მითხრა, რომ შენი მეუღლე უარს ამბობს მუშაობაზე და ისინი სისხლის სამართლის საქმეს აღძრავენ, რადგან კანონით მუშაობაზე უარის თქმა ისჯება. მე ვუთხარი, რომ მერაბის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა და ისინი ვალდებულები არიან, საავადმყოფოში გადაიყვანონ. კვლავ უხეშად მიპასუხა, არავითარ საავადმყოფოში არ გადავიყვანო. ახლა უკვე მეც ავუმაღლე ხმას, ვუთხარი, რომ **მერაბ კოსტავა** მთელი მსოფლიოსთვის ცნობილი პოლიტიკური პატიმარია, რომ მოსკოვში მე მყავს ნაცნობები, რომელთა საშუალებით გენერალურ პროკურორთან შევალ და გავაგებინებ მასაც და მთელ მსოფლიოსაც, რა უსამართლობა ხდება მის ბანაკში. არავითარი ნაცნობობა მე მოსკოვში არ მყავდა, მაგრამ, ეტყობა, სიმწარემ დამაჯერებლობა შემატა ჩემს ხმას, თუ შეშინდა, რომ მართლა სკანდალს მოვაწყობდი, მაგრამ მეორე დღეს ბანაკში რომ მივედი, გამაგებინეს, რომ მერაბი საავადმყოფოში არის გადაყვანილი. ნახვის უფლებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. წერილი დავუტოვე და წამოვედი.

**მერაბს დიდხანს ველოდით, ბოლოს შემოიყვანეს. ყველაფერი ისე იყო, როგორც ყოველთვის... მხოლოდ არც მერაბი, არც ირაკლი და არც მე მაშინ ვერ ვიფიქრებდით, რომ მამა-შვილი უკანასკნელად ხედავდა ერთმანეთს!**

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

## კვირგვინოსნები

**ბასა ფოცხიშვილი**
რეჟისორი



მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი შეზღუდვა იყო, მიმაჩნია, რომ **მამაჩემის თაობა ყველაზე თავისუფალი იყო,** გაცილებით თავისუფალი, ვიდრე, რასაც ახლა ვუყურებ.

„სარკე“

**კარინა ლესენკო**
მოცეკვავე, ქორეოგრაფი



შემიძლია ვთქვა, რომ **საქართველო ჩემი მშობლიური ქვეყანაა.** ვგრძნობ, აქ ჩემი სახლია. **ქართული სამზარეულო საოცრებაა!** ვვარჯიშობ, ისეთი ხინკალი გამომივიდეს, როგორსაც თქვენ, ქართველები, აკეთებთ.

„სარკე“

**ჯემალ სეფიაშვილი**
კომპოზიტორი, მომღერალი



**ქალი იმდენჯერ უნდა გათხოვდეს, სანამ ბედნიერი არ იქნება.**

„TV იმედი“

**ნუცა შანშიაშვილი**
მომღერალი



პლასტიკურ ოპერაციებს ჯობია, **ნაოჭი გაგიჩნდეს და შიგნით ჯანსაღი იყო!**

„სარკე“

**მერი სულხანიშვილი**
ჟურნალისტი



დღეს როგორიც ვარ, **არასწორად მიღებული გადაწყვეტილებების** დამსახურებაა.

„თბილისელები“



# მიხეილ ცაგარელი:

# ზოდიაქოს ნიშნების ანგელოზები და დემონები

*— კუროს ნიშნით დაბადებულს მუდმივად შინაგანი ბრძოლა რასთან უწევს? რაში უშლის ხელს, რას აშორებს და რას აიძულებს ბნელი ძალა? სამაგიეროდ, ზოდიაქოს მთავარი მფარველი ანგელოზი ამათიელი რის დანახვასა და განხორციელებაში ეხმარება? ტყუპს რასა და რას შორის უწევს არჩევანის კეთება? ხშირად რას მალავს მხიარულებისა თუ მიამიტობის ნიღბის ქვეშ? სამაგიეროდ, მთავარი მფარველი ანგელოზი ბარაჰიელი რასგან იცავს და რაში ეხმარება? მგრძნობიარე კირჩხიბი წინასწარ ვის მოახლოებას შეიგრძნობს? რა უჭირს და ამის გამო ხშირად რით შეიძლება დაღალოს ახლობლები და მეგობრები? სამაგიეროდ, მფარველი ანგელოზი დანიელი რისი უნარით აჯილდოებს და რის გაცნობიერებაში ეხმარება? ლომს გამკლავება რასთან უჭირს და ამიტომ რა არის მისთვის აუცილებელი? ამ ზოდიაქოს მთავარი მფარველი ანგელოზის აქვარიელის სინათლით გამთბარი თავადაც რას დაიწყებს? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი* ***მიხეილ ცაგარელი*** *გვესაუბრება.*

— როგორც აღნიშნეთ, თითოეულ ჩვენგანს ჰყავს თავისი პერსონალური მფარველი ანგელოზი და მაცდუნებელი დემონი, მაგრამ ამჯერად განვაგრძობთ საუბარს თანავარსკლავედების მთავარი მფარველი ნათელი ძალებისა და ბნელი ძალების შესახებ. ამ მიმართებით, რას გვეტყვით კუროს ზოდიაქოს და ამ ნიშნით დაბადებულთა მფარველი ანგელოზის თუ მაცდუნებელი დემონის შესახებ?

— **2. კუროს მუდმივად უწევს შინაგანად ბრძოლა სიძუნწის, რისხვის, სიბრაზის, სიფიცხის დემონსა და კეთილსულიერებისა და ერთგულების ანგელოზს შორის. ნიშანდობლივია ისიც, რომ კუროს ფლეგმატურობის მიღმა ვნებებისა და ემოციების ზღვა იმალება. დემონი კუროს** ხელს უშლის, იყოს ერთგული მეგობარი. აიძულებს, გამოირჩეოდეს სიძუნწითა და მომხვეჭელობით. ეს მასში აყალიბებს არაჯანსაღ მატერიალისტობას და აშორებს ამ ნიშნის წარმომადგენლებს სულიერებას. **კუროს მფარველი ანგელოზი ამათიელი** კი ეხმარება სასიყვარულო ურთიერთობებში და დადებითი ცხოვრებისეული ცვლილებების განხორციელებაში. მისი დახმარებით, გულში ნათელი შუქი და იმედი უჩნდება, რის შედეგადაც კუროს ნიშნით დაბადებულებს შეუძლიათ იმ ჭეშმარიტი გზის დანახვა, რომელიც შინაგან სამყაროსა და ყოფა-ცხოვრებას გაულამაზებს.

**3. ტყუპს რაც შეეხება, იგი მუდმივად ლავირებს ცბიერების, მზაკვრობის დემონსა და სიხალისის, სიხარულის ანგელოზს შორის.** ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ნიშნის წარმომადგენელს, როგორც არავის, ძალუძს მლიქვნელობა, პირფერობა, სიცრუე, სიყალბე, რაც ხშირად იმალება მიამიტობის, მხიარულების ნიღბის ქვეშ, რამეთუ მას უადვილდება კონტაქტების დამყარება და მარტივად ურთიერთობს, მაგრამ ეს ყოველივე დაუსჯელი არ რჩება. ამიტომ **ტყუპის თანავარსკვლავედის მფარველი ანგელოზი ბარაჰიელი იცავს მას ხალისისა და შინაგანი სიხარულის შეგრძნების უნარის დახმარებით პესიმიზმისა და დეპრესიისგან, მძიმე ცხოვრებისეული ცვლილებისგან.** ზოდიაქოს მთავარი მფარველი ანელოზი ეხმარება სირთულეების დაძლევასა და მოვალეობების შესრულებაში.

**4. კირჩხიბი კი ტყუილების დემონის ყურადღების ობიექტია, მაგრამ, ამავდროულად, მას გრძნობათა და თანაგრძნობის მფარველი ანგელოზი მფარველობს. უნდა აღინიშნოს, რომ კირჩხიბი შეიგრძნობს თავისი დემონის მოახლოებას და ეზიზღება იგი, მაგრამ ძალიან უჭირს მასთან გამკლავება, ამიტომ ავად იყენებს მის ძალას.** ასე, მაგალითად, **კირჩხიბს** შეუძლია, თავისი ახლობლები, საყვარელი ადამიანი თუ მეგობრები დაღალოს გაუთავებელი წუწუნით, უკმაყოფილებით, ცრემლებით, საყვედურებით. რომ თითქოსდა ის არავის სჭირდება, არავის უყვარს. ამგვარად, ცდილობს ისინი დაადანაშაულოს, თავი შეაცოდოს. ამავდროულად, **მთავარი მფარველი ანგელოზი დანიელი, რომელიც განკარგავს თანაგრძნობას, აკავშირებს კირჩხიბის ნიშნით დაბადებულს სხვა ადამიანებთან, აჯილდოებს სიბრალულითა და ქველმოქმედების უნარით. ნიშანდობლივია ისიც, რომ კირჩხიბს განსაკუთრებულად შეუძლია სუსტი ადამიანის მფარველობა და მის გვერდით დადგომა.** გარდა ამისა, მფარველი ანგელოზი ეხმარება ახალ-ახალი ცოდნის მიღება-გააზრებაში, რათა გააცნობიეროს, რომ სიბრძნე მოდის მაშინ, როცა კითხვები ჩნდება.

**5. ლომს რაც შეეხება, ამ ზოდიაქოს წარმომადგენელს ძალიან უჭირს გადამეტებულ პატივმოყვარეობასთან გამკლავება, ამიტომ აუცილებელია, მთავარი მფარველი ანგელოზის აქვარიელის ხმა ისმინოს. მხოლოდ ამ შემთხვევაში გარდაიქმნება ამპარტავანი, ქედმაღალი, ბაქია ლომი კეთილშობილ, გულისხმიერ ადამიანად. უნდა აღინიშნოს, რომ თავისი მფარველი ანგელოზის სინათლით გამთბარი, იგი თავად დაიწყებს სითბოსა და სინათლის გამოსხივებას და მისი თვალები განსაკუთრებულად მბრწყინავი და წყლიანი გახდება.** ანგელოზი **აქვარიელი** ეხმარება ლომის ნიშნით დაბადებულს გარემო სამყაროს, ცხოვრების მთავარი ფასეულობების დანახვასა და გააზრებაში და მიანიშნებს სულიერი სრულყოფილების მიღწევის გზას.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 25 – 31 მარტის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
როგორც საქმიანი, ისე პირადი ურთიერთობებისთვის საკმაოდ რთული პერიოდია. შესაძლოა, ახლობლებს დახმარება დასჭირდეთ, რაც ბევრ დროსა და სახსრებს მოგთხოვთ, რის გამოც დაწყებულ პროექტს ანდა ჩანაფიქრს, ჯერ ვერ დაასრულებთ. აგრესია დაიოკეთ და სიმშვიდე შეინარჩუნეთ, რათა სამართალდამცველებთან ურთიერთობა არ მოგიწიოთ. მოგზაურობა გადადეთ და დრო დაუთმეთ ჯანმრთელობის გაუმჯობესებასა და პირადი ურთიერთობის გამოსწორებას.

**კურო** (21.04-20.05)
კოლეგების წრეში თქვენი ავტორიტეტი რომ არ შეილახოს, ნუ გამოთქვამთ პროტესტს და ნუ გამოიყენებთ ახალ მეთოდებსა და არაორდინარულ გზებს. ახალი გეგმის რეალიზება პარტნიორთა დახმარებით გაგიადვილდებათ. პირად ურთიერთობაში შესაძლოა, მნიშვნელოვანი უთანხმოება გაჩნდეს. ფულს უყაირათოდ ნუ დახარჯავთ, რათა ვალის აღება არ მოგიწიოთ. ხანგრძლივი მოგზაურობაც ჯობს, უკეთესი პერიოდისთვის გადადოთ.

**ტყუპი** (21.05-22.06)
ორაზროვანი სიტუაციები დამღლელი იქნება, მაგრამ ყველა პრობლემას თავს უშეცდომოდ დააღწევთ. ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. ეს დრო სახლის ინტერიერის შესაცვლელად გამოიყენეთ. გართობასა და ახალ ნივთებზე ბევრ ფულს ნუ დახარჯავთ. ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა გაუმჯობესდება და, შესაძლოა, დაწინაურებით დაგვირგვინდეს. ეცადეთ, არ გადაიღალოთ, რამეთუ თქვენი ორგანიზმი ისევ დასუსტებულია.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
პროფესიულ სფეროში კონკრეტული მიზნის დასახვა და მოქმედება გაგიჭირდებათ. ამიტომ შესაძლოა, დაუკმაყოფილების შეგრძნება მოგეძალოთ. სამსახურში ნურავის ნურაფერს დაამალებთ. ფინანსური მდგომარეობა თქვენს გამჭრიახობასა და ქმედითუნარიანობაზე იქნება დამოკიდებული. ამ პერიოდში სიყვარულსაც საქმიანი ელფერი ექნება. უცხოეთში გამგზავრების შემთხვევაში კი ბევრ დადებით შთაბეჭდილებას მიიღებთ.

**ლომი** (23.07-23.08)
აქტიურობის სურვილი მოგემატებათ, თუმცა, გარშემო მყოფების მხრიდან, შესაძლოა, წინააღმდეგობებს წააწყდეთ. ხელმძღვანელობაც და უფროსი თაობის ადამიანებიც გაგაღიზიანებენ, ამიტომ ეცადეთ, მათთან ნაკლებად იკამათოთ. მგზავრობა წარმატებას არ მოიტანს, თუმცა, საქმიანი ვიზიტები კარიერაზე პოზიტიურად აისახება. კარგი პერიოდია პროფილაქტიკური სამედიცინო გამოკვლევებისა და მკურნალობის დასაწყებად. უეცარ სასიყვარულო კავშირს კი მოერიდეთ.

**ქალწული** (24.08-23.09)
ბევრი შეხვედრა და სამუშაო გელით. შესაძლოა, თავი იჩინოს ადრე დაშვებულმა შეცდომებმა. მიზნის მიღწევისას არაკეთილსინდისიერ მეთოდებსა და ხერხებს მოერიდეთ. სამსახურის შესაცვლელად არახელსაყრელი პერიოდია. მეგობრებთან სიფრთხილე გამოიჩინეთ, რათა ურთიერთობას არ ავნოთ ან უსიამოვნო სიტუაციაში არ აღმოჩნდეთ. მეუღლესა და შვილებთან უთანხმოებაც ჯობს, დროულად მოაგვაროთ.

## 25 – 31 მარტის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
ეს ნელი, მაგრამ მნიშვნელოვანი ცვლილებების პერიოდია. ყურადღებით იყავით, რადგან მაღალია ინფორმაციის იგნორირებისა და შეცდომების დაშვების ალბათობა. სიფრთხილე გმართებთ ხელშეკრულებების დადების შემთხვევაშიც. საქმეთა სიუხვემ, შესაძლოა, მეუღლის ან შეყვარებულის უკმაყოფილება გამოიწვიოს. შეეცადეთ, არ გადაიღალოთ, რათა სტრესულ მდგომარეობაში არ აღმოჩნდეთ და ჯანმრთელობას ზიანი არ მიაყენოთ. გზებზე გადაადგილებისას ასევე სიფრთხილე გამოიჩინეთ.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
ადრინდელი მორალური თუ ფინანსური ვალები დროულად დაფარეთ, რადგან ახალი სამუშაო სწრაფად შემოსავალს ვერ მოგიტანთ. ახალ შემოთავაზებებზე უარი არ განაცხადოთ, ნურავის ნურაფერს შეჰპირდებით, რამეთუ შესრულება გაგიჭირდებათ. ძველი სასიყვარულო ან პირადული საიდუმლოს გამოაშკარავება ოჯახის წევრებთან ან მეუღლესთან ჩხუბის საბაბი გახდება. ეს პერიოდი არასახარბიელოა უცხოეთში გამგზავრებისთვისაც.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
შესაძლოა, თქვენი მსოფლმხედველობა და შეხედულებები ბევრად შეიცვალოს. საქმეში და იურიდიულ საკითხებთან მიმართებით შეფერხება შემოსავლის მიღებას დაამუხრუჭებს. ოჯახში მეტი დრო გაატარეთ, ოღონდ შვილებთან ზედმეტად მომთხოვნი ნუ იქნებით. შეხვედრა-კონტაქტების რაოდენობა გაიზრდება, მაგრამ მოგზაურობა ჯობს, გადადოთ, მოსალოდნელია ძველი სასიყვარულო კავშირის დაბრუნება.

**თხის რქა** (22.12-19.01)
ოჯახში სიტუაციის შეცვლა თქვენს ინტერესს სახლისადმი გაზრდის. ახალი სტაბილური ურთიერთობის ჩამოყალიბებას ხელს შეუშლის სწრაფვა დამოუკიდებლობისკენ. აზრების თუ გრძნობების გამოხატვა და მოწინავე იდეების ჩამოყალიბება გაგიადვილდებათ. სასიყვარულო სფეროში დროებით სიცივე დაისადგურებს. ფიზიკური დატვირთვა, მოგზაურობა ანდა ბევრ ადამიანთან ურთიერთობა არ არის რეკომენდებული, რადგან თქვენი ორგანიზმი დასუსტებულია.

**მერწყული** (20.01-18.02)
ფინანსურ სფეროში ცვლილებები არ არის მოსალოდნელი, თუმცა, შესაძლოა, პერსპექტიულ პროექტს ჩაეყაროს საფუძველი. იურიდიული, საკანონმდებლო ან სადაზღვევო საქმიანობა წარმატებას გიქადით. შესაძლოა, ნათესავები გესტუმრონ და კარგი სიახლე გაცნობონ. ოჯახის წევრების რჩევები სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დაგეხმარებათ. ახალი მეგობრობა ანდა სასიყვარულო ურთიერთობა დიდხანს გასტანს. კარგი პერიოდია ახლო მანძილზე მოგზაურობებისთვისაც.

**თევზები** (19.02-20.03)
ახლობლებისგან შემოთავაზების მიღების შემთხვევაში, საჭირო იქნება კვალიფიკაციის ამაღლება. თუ უეცარ ხარჯებს თავს აარიდებთ, დანაზოგს სახლის კეთილმოწყობისთვის სასიკეთოდ გამოიყენებთ. შეყვარებულის მიერ გამოთქმულ პრეტენზიას გულთან ახლოს ნუ მიიტანთ. მოგზაურობა გადადეთ, რათა სირთულეებს თავი აარიდოთ. ჯანმრთელობასაც გაუფრთხილდით, რადგან ენერგეტიკული მაჩვენებელი დაქვეითებას იწყებს.



## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია

**25, 27, 29 და 30 მარტი**

**10 მარტი – ახალმთვარეობა, პიკი – 13.03 საათზე.**
**25 მარტი – სავსემთვარეობა, პიკი – 10.03 საათზე.**
**მთვარის დაბნელება, პიკი – 11.13 საათზე.**



# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 25 მარტი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.55 საათზე, ჩადის 18.19 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 18.34 საათზე, ჩადის 26 მარტს 06.01 საათზე (**სავსემთვარეობაა,** პიკი — 10.02 საათზე. ამ დროს იწყება მე-3 ფაზა. **მთვარის დაბნელებაა,** პიკი — 11.13 საათზე. მთვარის მე-16 დღე იწყება 20.18 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მძიმე კოსმოსური ენერგიების დღეა, რაც განაპირობებს აგრესია-დეპრესიას, კონფლიქტებს, ცდუნებებს, შეცდომებს და სხვა ნეგატიურ მოვლენებს. ილოცეთ და ყველა დალოცეთ! დღე მშვიდად გაატარეთ, მაგრამ ნუ განმარტოვდებით. მოერიდეთ კამათსა და პროვოკაციებს, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას. არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, ყიდვა-გაყიდვა, ფულის სესხება-გასესხება, ალკოჰოლური სასმლის, ალერგიული პროდუქტების, ხორცეულის მიღება. სიფრთხილე გამოავლინეთ განსაკუთრებით საჭის მართვისას, მჭრელი საგნების გამოყენებისას და ცეცხლთან მიმართებით. განეწყვეთ პოზიტიურად. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** გიშერი, ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ტოპაზი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თევზებისთვის.

## 26 მარტი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.54 საათზე, ჩადის 18.20 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 19.36 საათზე, ჩადის 27 მარტს 06.19 საათზე (მთვარის მე-17 დღე იწყება 21.35 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** ეცადეთ, დღე მშვიდად გაატაროთ, ნუ გადაიღლებით. შესაძლებელია, სამყაროს კანონების ინტუიციურად შეცნობა. შედეგიანი იქნება კბილებისა და ტერფების მკურნალობა, კოსმეტიკური პროცედურები. კარგი დღეა მეგობრული კონტაქტებისთვის, ქორწინებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, ავეჯის, მუსიკალური აპარატურის, აქსესუარების, პარფიუმერია-კოსმეტიკის შესაძენად, ექიმთან კონსულტაციისა და მკურნალობის დასაწყებად. არ არის სასურველი ბევრი სითხის მიღება, მანქანის ყიდვა-გაყიდვა, ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კანი, ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, საფირონი, ციტრინი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის.

## 27 მარტი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.52 საათზე, ჩადის 18.21 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (12.59) ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 20.39 საათზე. ჩადის 28 მარტს 06.38 საათზე (მთვარის მე-18 დღე იწყება 22.54 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 03.10 საათიდან 13.04 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს მეტი დრო დაუთმეთ სახლის, საყოფაცხოვრებო საკითხების მოგვარებას. შეამცირეთ კონტაქტების რაოდენობა. მოერიდეთ კამათსა და არასასიამოვნო საუბრებს. კარგი დღეა რეცხვისთვის, რემონტისთვის, დამცავი სიგნალიზაციის დასაყენებლად, ავტომობილის ყიდვა-გაყიდვისთვის, თვითშემეცნებისთვის, კომპეტენტურობის გამოსავლენად. ეფექტურია კბილების, ზედა სასუნთქი გზების, ენდოკრინული სისტემის მკურნალობა. არ არის სასურველი ქორწინება, ინტიმური კონტაქტები, ნოტარიუსთან საბუთების გაფორმება, სხივური თერაპია, მგზავრობა, ბინის შეცვლა, სესხის აღება. მეტი იმოძრავეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ნეფრიტი, ტოპაზი, ობსიდიანი, ლაზურიტი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, მერწყულისთვის.

## 28 მარტი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.50 საათზე, ჩადის 18.22 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 21.44 საათზე, ჩადის 29 მარტს 07.00 საათზე (მთვარის მე-19 დღე იწყება 23.17 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** დღის მოვლენები დაგვეხმარებიან, დავინახოთ და ერთმანეთისგან გავმიჯნოთ კარგი და ცუდი. შესაძლებელია პირადი ურთიერთობების გაუმჯობესება-განახლება. ეფექტურია ყელ-ყურ-ცხვირის, ენდოკრინული სისტემის მკურნალობა. კარგი დღეა თვითშემეცნებისთვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, რემონტისთვის, რეცხვისთვის, აუდიტისა და გამოძიებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, გეგმის დასახვისთვის, მასაჟისა და კოსმეტიკური პროცედურებისთვის. არ არის სასურველი სხივური თერაპია, ნოტარიუსთან საბუთის გაფორმება, ბინის შეცვლა, სესხის აღება, ქორწინება, ინტიმური კონტაქტები, მგზავრობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, ობსიდიანი, ქრიზოპრაზი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 29 მარტი, პარასკევი

**მზე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 05.49 საათზე, ჩადის 18.23 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (23.46) მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 22.51 საათზე, ჩადის 30 მარტს 07.26 საათზე (მთვარის მე-19 დღე გრძელდება. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 19.41 საათიდან 23.53 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს სასიკეთოა სახლის გაწმენდა, დასუფთავება-დალაგება, ოთახებში სანთელ-საკმევლის შემოტარება (მათ შორის, ბინის კარებთანაც). კარგი დღეა თვითშემეცნებისთვის, გეგმების დასახვისთვის, საგამოძიებო საქმიანობისთვის, მასაჟისა და კოსმეტიკური პროცედურებისთვის. არ არის სასურველი ურთიერთობისას აგრესიულობის, სარკაზმის, სიჯიუტის გამოვლენა, სხივური თერაპია, ნოტარიუსთან საბუთების გაფორმება, მგზავრობა, ინტიმური კონტაქტები, სესხის აღება, ბინის შეცვლა, ახალი საქმის დაწყება, ქირურგიული ოპერაციის ჩატარება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა, ცხვირი. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, ობსიდიანი, ზურმუხტი, ონიქსი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის.

## 30 მარტი, შაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.47 საათზე, ჩადის 18.25 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 23.35 საათზე, ჩადის 31 მარტს 07.58 საათზე (მთვარის მე-20 დღე იწყება 01.44 საათზე. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს შესაძლებელია არაერთი საკითხის მშვიდად გააზრება და სწორი გადაწყვეტილების მიღწევა. სასიკეთოა ლოცვა, სახლის განწმენდა და დალაგება, ზედმეტი უსარგებლო ნივთებისაგან გათავისუფლება. ეფექტურია სასუნთქი სისტემის, მეტყველების მკურნალობა, სუნთქვითი ვარჯიში, ურთიერთობისას სასურველია, მეტი მოთმინება და ტაქტი გამოავლინოთ. კარგი დღეა მგზავრობისთვის, მოგზაურობისთვის, უცხოელებთან კონტაქტისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, სპორტული ღონისძიებებისთვის, ხელშეკრულების დასადებად, პრეზენტაციებისთვის. არ არის სასურველი მშენებლობა, სარკასტულობა, სისხლის გადასხმა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაღვლის ბუშტი, ღვიძლი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, ლაზურიტი, საფირონი, ქარვა, იაგუნდი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 31 მარტი , კვირა

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.45 საათზე, ჩადის 18.26 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 23.59 საათზე, ჩადის 1 აპრილს 08.38 საათზე (მთვარის 21-ე დღე იწყება 03.10 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** იმატებს ინტუიცია. კარგი დღეა მგზავრობისთვის, ტურისტული ლაშქრობისთვის, სპორტული ღონისძიებებისთვის და ვარჯიშისთვის, უცხოელებთან კონტაქტისთვის, სულიერ-ინტელექტუალური განვითარებისთვის. არ არის სასურველი სარკასტულობა, მშენებლობა, სისხლის გადასხმა, კამათი. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, საფირონი, სერდოლიკი, ნეფრიტი, ციტრინი. **პოზიტიური** დღეა ტყუპისთვის, ლომისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის.

# საეკლესიო კალენდარი

**25 მარტი. ორშაბათი.** კეთილმსახურისა მეფისა მოწამისა **დემეტრე თავდადებულისა; გრიგოლ დიალოღოსისა,** რომის პაპისა; ღირსისა **თეოფანე აღმსარებელისა,** სიღრიანელისა; მართლისა **ფინეზისა;** ღირსისა **სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველისა; საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღე.**

✝ **26 მარტი. სამშაბათი.** აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა **ნიკიფორე კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა;** მოწამისა **საბინესი;** მოწამეთა: **აფრიკანესი, პუპლიოსა და ტერენტისა;** მოწამისა **ალექსანდრესი;** მოწამისა **ქრისტინე სპარსისა;** ღირსისა **ანინე ხუცისა.**

✝ **27 მარტი. ოთხშაბათი.** ღირსისა **ბენედიქტესი; ევსქიმონ აღმსარებელისა,** ლამპსაკიელი ეპისკოპოსისა; **თეოგნოსტესი,** კიეველი და მოსკოველი მიტროპოლიტისა.




31 მარტი – წმინდა მოწამენი ტროფიმე და ევკარპი

✝ **28 მარტი. ხუთშაბათი.** მოწამისა **აგაპისა** და მისთანა შვიდთა მოწამეთა: **პუპლისა, ტიმოლასი, რომილესი, ორთა ალექსანდრეთა** და **ორთა დიონისეთა;** მღვდელმოწამისა **ალექსანდრესი, სიდელი ხუცისა;** მოწამისა **ნიკანდრესი;** მოწამეთა **ფილექტიმონისა** და მისთანათა.

✝ **29 მარტი. პარასკევი. ამბროსი აღმსარებელისა,** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა; ღირსთა: **პიმენ სალოსისა,** ლეკთა განმანათლებელისა და **ანტონი მესხისა,** მეფეთა მამხილებელისა; მოწამისა **საბინესი;** მოწამისა **პაპასი;** მოციქულისა **არისტობულესი,** ბრიტანელი ეპისკოპოსისა; მღვდელმოწამისა **ალექსანდრესი,** რომის პაპისა; მოწამისა **იულიანე ანაზავრელისა;** მღვდელმოწამეთა: **ტროფიმესი და თალასისა, ლაოდიკიელ ხუცესთა.**

✝ **30 მარტი. შაბათი. მიცვალებულთა ხსენება.** ღირსმოწამისა **გაბრიელ მცირისა,** ლეკთაგან წამებულისა; ღირსისა **ალექსი ღმრთისკაცისა;** მოწამისა მამისა **მარინოსი;** ღირსისა **თეოქტირისტე** აღმსარებელისა.

✝ **31 მარტი. კვირა.** წმიდა **გრიგოლ პალამასი,** თესალონიკელი მთავარეპისკოპოსისა; კრება ყოველთა ღირსთა მამათა, კიევის ქვაბთა შინა დავანებულთა; **კირილე იერუსალიმელი** მთავარეპისკოპოსისა; მოწამეთა: **ტროფიმესი და ევკარპისი** და მათთანათა; ღირსისა **ანინე** მონაზონისა.


ლეგენდარული დიმიტრი ალავიძე
ლეგენდარული ვასილ მჟავანაძის
პირველი სტუმრობიდან 57-ე წელია,

მცხეთის სალობიეში
გეპატიჟებათ!






მაღაზია «ბუკვიცა»
ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე
574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90
მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.


### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ბოსტონი; 6. ტოკიო; 12. მანტუ; 13. რონდელი; 14. რექტორი; 15. რაბლე; 16. ჯანყი; 17. გამბიტი; 18. ოტარიდი; 22. ნორიო; 23. ტიპი; 25. ნელსონი; 26. ტრაგედია; 27. მესი; 29. ლიფტი; 30. კასიკი; 33. სილიკონი; 37. ლუკმა; 38. არვე; 39. ნიკელი; 40. ქამანდი; 41. დინგო; 42. კიმ; 44. ბი; 45. ნუნისი; 46. იმამატი; 50. ნიში; 52. მილანი; 54. ვითომ; 57. პანასონიკი; 61. რომბი; 62. პესო; 64. კეგლი; 65. სანტიმეტრი; 67. ანძა; 68. იგავი; 69. რატომ? 71. ალიგატორი; 72. სილა.

შვეულად: 1. ბორდო; 2. სექტა; 3. ობოლი; 4. იმიჯი; 5. ანანდი; 6. ტურინი; 7. კაბერნე; 8. ორეგონი; 9. ანომალია; 10. ბერიმორი; 11. მირიკინი; 19. ტორფი; 20. რაგბი; 21. დიდრო; 23. ტალი; 24. პიფერო; 27 მილედი; 28. სეკუნდი; 30. კანონი; 31. სეკანსი; 32. კალისტო; 33. საქსი; 34. ლომია; 35. კენია; 36. ნაიკი; 43. მაიკ; 44. ბრა; 47. მთა; 48. მკა; 49. ტაო; 50. ნირო; 51. შუმანი; 52. მი; 53. ლიპი; 54. ვიკარი; 55. თეგეტა; 56. მაიამი; 57. პასკა; 58. ნუნცი; 59. საიგა; 60. ნიელო; 63. საგა; 66. რაი; 67. ავი; 70. ალ.

**სადაფიგაროტენორისიგარაჟირაფინადიმიმირანდა ტორიჩელინისანიტარიელიოტიატრიბუტიამალაგალა**

| ნიჟარის შიდა პრიალა მხარე | დასჯა დახრჩობით ესპანეთში | მსახიობი ჩაკ ... | რიაზანოვის ფილმი | წმინდილი შაქარი | პანტომიმის მსახიობი | გრძელი შალაშინი |
|---|---|---|---|---|---|---|

| უზრალო, მარტივი | სევილიელი დალაქი | კატის სასიმღერო ხმა | თამბაქოს ნაწარმი | ზოლიანი ცხენი | წვეულება | პლანეტა ურანის თანამგზავრი |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 1. ვალსის სახეობა; 6. იაპონიის დედაქალაქი; 12. კანის სინჯი ტუბერკულოზზე; 13. ქართველი რეჟისორი („მამლუქი“); 14. უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელი; 15. ფრანგი მწერალი; 16. ე. ნინოშვილი — „... გურიაში“; 17. ჭადრაკის პარტიის დასაწყისი; 18. მერკურის ძველი ქართული სახელი; 22. სოფელი გარდაბნის რაიონში; 23. ვიგვამი; 25. ინგლისელი ადმირალი; 26. დრამატული ნაწარმოები; 27. არგენტინელი ფეხბურთელი; 29. „ტრანსპორტი“ მაღალსართულიან სახლებში; 30. ინდიელთა ბელადი მექსიკაში; 33. მაღალმოლეკულური ნივთიერება; 37. საჭმლის მცირედი ნაწილი; 38. თხის ჯოგი; 39. ქიმიური ელემენტი, ლითონი; 40. ლასო; 41. ავსტრალიური ველური ძაღლი; 42. მსახიობი ... ბესინჯერი; 44. გაორმაგების ნაწილაკი; 45. სოფელი ხარაგაულის რაიონში; 46. იმამის ხელისუფლება; 50. თარო კედელში; 52. ქალაქი იტალიაში; 54. დამხმარე სიტყვა, თითქოს; 57. იაპონური ტექნიკის ფირმა; 61. გეომეტრიული ფიგურა; 62. ფულის ერთეული არგენტინაში; 64. ერთგვარი თამაში ხის ბურთით; 65. სიგრძის საზომი ერთეული, მეტრის მეასედი; 67. მაღალი ძელი გემზე იალქნისთვის; 68. მოკლე ალეგორიული მოთხრობა; 69. რისთვის? 71. ნიანგის სახეობა; 72. ალიყური.

შვეულად: 1. ერთგვარი წითელი ღვინო; 2. ეკლესიიდან განდგომილი გაბატონებული ჯგუფი; 3. უდედმამო; 4. პრესტიჟი, სახე; 5. ინდოელი მოჭადრაკე; 6. ქალაქი იტალიაში; 7. ფრანგული ვაზის ჯიში; 8. აშშ-ის შტატი; 9. ნორმიდან გადახრა; 10. ჰოლივუდის მსახიობი დრიუ...; 11. ფართოცხვირიანი მაიმუნი; 19. ჭაობში წარმოქმნილი საწვავი მასა; 20. სპორტის სახეობა; 21. ფრანგი მწერალი, ფილოსოფოსი; 23. რიგელი მოჭადრაკე; 24. იტალიური ხალხური მუსიკალური საკრავი; 27. მიმართვა ლორდის მეუღლისადმი ინგლისში; 28. წამი (მოძვ.); 30. საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ დადგენილი სავალდებულო წესი; 31. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 32. პლანეტა იუპიტერის თანამგზავრი; 33. საქსოფონის გამომგონებელი; 34. ბოლოკას როლის შემსრულებელი; 35. აფრიკის სახელმწიფო; 36. ამერიკული სპორტული ნაწარმის ფირმა; 43. ამერიკელი მოკრივე ... ტაისონი; 44. კედლის სანათი; 47. დედამიწის ამაღლებული ადგილი, გორა; 48. პურეულის მოჭრა ნამგლით; 49. მხარე ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში; 50. ამერიკელი მსახიობი რობერტ დე ...; 51. გერმანელი კომპოზიტორი; 52. მესამე ნოტი; 53. სრიალა ზედაპირის მქონე რამ; 54. არქიელის თანაშემწე მართლმადიდებელ ეკლესიაში; 55. ავტოპროდუქტების, ავტონაწილებისა და ავტოტექმომსახურების ცენტრი; 56. ქალაქი აშშ-ში; 57. სააღდგომო ნამცხვარი; 58. რომის პაპის წარმომადგენელი რომელიმე სახელმწიფოს მთავრობასთან; 59. წყვილჩლიქიანი გარეული ცხოველი; 60. მოსავადების ტექნიკა; 63. თქმულება, ლეგენდა; 66. იტალიის ტელევიზია; 67. კაპასი; 70. მსახიობი ... პაჩინო.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| იტალიელი ფიზიკოსი | იაპონური ავტო | ნესტან-დარეჯანის სატრფო | ყურის ექიმი | ვინც ხშირად იბუტება | ესპანური ღვინო | მე-6 ნოტი |
|---|---|---|---|---|---|---|

| ნადირის თათი | იტალიელი სკულპტორი | უმცროსი მედიცინის მუშაკი | ფრანგი პოეტი | საგნის, მოვლენის არსებითი თვისება | მეფის მხლებლები | დიდი კონცერტი |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

- სასიამოვნო, სასიკეთო დღე.
- პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.
- მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.
- ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.
- მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.
- მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.
- მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.
- მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.
- რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.
- ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.
- შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




- რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.
- შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.
- კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.
- მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.
- წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.
- სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.
- ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.
- შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.
- შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.
- გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.
- იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზვავარბიული

ასავალ დასავალი

2024 წლის 25 – 31 მარტი №14 (1532)

გამოდის ორშაბათობით

მეღიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი


*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*


**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**

**mail@asavali.com**

„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**

გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


